

K 214421
3

საქართველოს საგვირაულოს და უცხოულის
ხელმიწილი კომისია



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისანი
სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ბ. ფარცხაძეია

სხერველთა ღანარელი სედგომების მიკროკლიმატი ღა მისი მკვიდრზეაცია

დამხმარე სახელმძღვანელო.

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუ-
ტის — 1507 ვეტერინარული და — 1506 ზოოსაინჟინრო
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საგზოს სასურათო და შეცილების
სახელმწიფო კომისია



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისანი
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ბ. ფარცხანია —

სერველთა დანარული საღვრების მიკროელემაზი და მისი რაზიმიზაზი

დამხმარე სახელმძღვანელო

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუ-
ტის — 1507 ვეტერინარული და — 1506 ზოოსაინჟინრო
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის



1. საქართველო - სამეცნიერო მუზეუმი მუზეუმი
2. საქართველო - სამეცნიერო მუზეუმი მუზეუმი

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია მიკროკლიმატის მცირებელი მუზეუმი
ბი, როგორიცაა ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობა, მავნე ინტენსივობი,
მტვერი, მიკროორგანიზმები და სხვ. გაანალიზებულია აღნიშნული ფაქტორების
გავლენა ცხოველთა განმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. წიგნში აგრეთვე
მოტანილია ცნობები ამინდის, კლიმატის და ცხოველთა საღგომების ვენტილა-
ციის შესახებ.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ვეტერინარული და ზოოსაინკინ-
რო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე იგი დიდ დახმარებას გაუწევს წარ-
მოებაში მომუშავე სპეციალისტებსა და მეცხოველობის მუშაკებს.

რეცენზენტი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი
ინსტიტუტის ზოოპიგიენის განყოფილების გამგე, დოც. გ. სამხარაძე

რედაქტორი ზოოპიგიენისა და ვეტსაფუძვლების კათედრის დოც. ჭ. ნაჭიუბია



K 214.421

ISBN 5—8120—0005—0

© საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1990

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ითვალისწინებს ავიყვანოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა თვისებრივად ახალ საფეხურებზე; უზრუნველყოთ მატერიალური, სოციალური და კულტურული დოვლათის მოხმარების ისეთი დონე და სტრუქტურა, რომლებიც კველაზე სრულად შეესატყვისება პარმონიულად განვითარებული, სულიერად მდიდარი პიროვნების ჩამოყალიბებას. საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება სასაზრდოო პროდუქტებით, სკპ უმთავრესი პროგრამული მოთხოვნილებაა. სკპ სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას.

სასურსათო პროგრამის რეალიზაცია მოითხოვს მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, მეცხოველეობისათვის მყარი საკვებები ბაზის შექმნას, მეცხოველეობის ინტენსიუფიკაციას; ცხოველთა მოვლისა და შენახვის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას; პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. მეურნეობის გაძლიერის ინტენსიური ფორმების დანერგვასთან ერთად აუცილებელია სათანადო ზოოტექნიკური და ვეტერინარულ-სანიტარული მომსახურების ორგანიზაცია.

ვეტერინარი და ზოოტექნიკოსი სპეციალისტების მუშაობის შედეგად უნდა მოისპოს ცხოველთა დაუვადებები; მინიმუმამდე შემცირდეს პირუტყვის სრულილიანობა, რაც დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის წარმატებით განვითარებას და პროდუქციის წარმოების ზრდას.

მეცხოველეობის სპეციალისტებმა და მუშაკებმა უნდა შეძლონ გარემო ფაქტორების ისე მართვა და შეცვლა, რომ უზრუნველყოფილი იქნას ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა, რაც პროდუქტიულობის საწინდარი იქნება.

მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ცხოველის ორგანიზმების გარემო არის ფაქტორების ზემოქმედებას და სახავს მათი მართვის პირობებს, ზოოპიგიენა ეწოდება. ზოოპიგიენა პროფილაქტიკური

მეცნიერებაა და მისი მიზანია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ჯანმრთელობის დაცვა და მათი პროდუქტიულობის ხრდა. ზოოპიგიენა ნერგავს მეცნიელეობის პრაქტიკაში შეცნერულ მონაბოვრებს, რითაც დიდ დახმარებას უწევს მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთათვის ჯანმრთელი გარემოს შექმნის საქმეში.

ვეტერინარ და ზოოტექნიკოს სპეციალისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მეტეოროლოგიური გარემოს და სხვა გამაღიზიანებელი ფაქტორების, ასევე საკვების მიზნობრივი შერჩევით შესაძლებელია ცხოველის ორგანიზმს შევმატოთ მისთვის სასარგებლო თვისებები და მიზანდასახულად შევცვალოთ და ვმართოთ იგი.

გარემო არის ძირითად ფაქტორებს, რომელიც გადამწყვეტვაც უცლენას ახდენს მეცხოველეობის მდგომარეობაზე, მიეკუთვნება, პირველ რიგში, ცხოველთა კვების, მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის პირობები. აქედან გამომდინარე, ვეტერინარი და ზოოტექნიკოსი სპეციალისტებისა და მეცხოველეობის მუშაკთა მუშაობის წარმატებები დამოკიდებულია ერთი მხრივ, კვების, მოზარდულის რაციონალური გამოზრდის, მოვლა-შენახვის პირობებზე და მეორე მხრივ, მოშენებაზე, შერჩევასა და გადარჩევაზე. ამ ფაქტორების გამოყენებით ჩვენი ქვეყნის მრავალ მეურნეობაში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესების და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა პაროვანი გარემო, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იძყრობს ცხოველთა დახურულ სადგომებში შენახვის დროს; მას აგრეთვე მნიშვნელობა აქვს ცხოველთა საძოვრული შენახვის დროსაც. ცხოველთა დახურული სადგომის პაროვან გარემოს მიკროკლიმატს უწოდებენ. წიგნში აღწერილია მიკროკლიმატის პარამეტრები, მათი სანიტარულ-პიგიენური მნიშვნელობა და ოპტიმიზაციის საშუალებანი.

პაროვანი გარემო

ჰეროვანი გარემოცვა ის გარემოა, რომელშიც მიმდინარეობს ცხოველთა ორგანიზმის სიცოცხლე და რომელთანაც ცხოველი განუწყვეტელ ურთიერთობაში იმყოფება. ჰეროვანი გარემო ცხოველთა ორგანიზმის გარეგანი გამაღიზიანებელი ფაქტორია, იგო იწვევს ორგანიზმის სხვადასხვა რეაქციებს, აგრეთვე გარგვეულ პროცესებს ორგანიზმში და შეგუებით ცვლილებებსაც. ეს იმითაცა საინტერესო, რომ ჰეროვანი გარემო არ არის სტატიკური, ის ცვალებადია და შესაბამისად, ცვალებადია მისი გამაღიზიანებელი ზემოქმედება და საპასუხო რეაქციებიც, ჰეროვანი გარემოს ზოგი ფაქტორი აძლიერებს ცხოველის ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს და სასარგებლოდ მოქმედებს ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე; ზოგ შემთხვევაში კი საწინააღმდეგო მოქმედებასა და შედევოან ვკაქვს საქმე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხოველთა დახურული სადგომის ჰეროვან გარემოს, რომელიც ადვილად განიცდის ცვლილებებს, მასში წყლის ორთქლის, სითბოს, მავნე აირების და სხვათა დაგროვების გამო. ამის შედეგად ჰერი იძენს ახალ თვისებებს, რაც თავის მხრივ აძლიერებს ან ასუსტებს ორგანიზმში მიმდინარე რეაქციებს. ამ რეაქციების ხასიათის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ დახურული სადგომის ჰეროვან გარმოს მდგომარეობაზე — რამდენად სასარგებლო ან საზიანოა ის ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობისათვის. ჰეროვანი გარემოს შედგენილობისა და თვისებების ცვლილებებით შეიძლება გავლენა მოვახდინოთ ცხოველის ორგანიზმის რეაქციების ხასიათზე და შევცვალოთ ისინი.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰეროვანი გარემოს მთავარ ფაქტორებს, რომლებიც მოითხოვს შესწავლასა და მართვას, მიეკუთვნება: ჰერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობის სიჩქარე და აიროვანი შედგენილობა; გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჰერში მექანიკური მინარევების არსებობას (მიკროორგანიზმები, მტვერი). ცხოველთა დახურული სადგომის ჰერი უნდა იყოს გარკველის ორგანიზმის რეაქციების ხასიათზე და შევცვალოთ ისინი.

ული აიროვანი შედგენილობის, მას უნდა ჰქონდეს შესაცერისი
ტემპერატურა, ტენიანობა და მოძრაობის სიჩქარე.

როგორც აღნიშნეთ, ჰაეროვანი გარემო საყურალებრი-ასა
მარტო ცხოველთა შენახვისას, დახურულ სადგომებში, არამედ
საძოვრული შენახვის დროსაც; აქედან გამომდინარე მოკლედ გა-
ვეცნოთ ამინდსა და კლიმატს.

ამინდი და კლიმატი

ხანმოქლე დროის პერიოდში ამა თუ იმ რეგიონის ატმოსფე-
რული ჰაერის ფიზიკურ მდგომარეობას ამინდს უწოდებენ. ის
ხასიათდება მეტეოროლოგიური ფაქტორების: ჰაერის ტემპერატუ-
რის, ტენიანობის, ატმოსფერული წნევის, მზიური რაღიაციის ინ-
ტენსივობის, მოლრუბლულობის, ნალექების, ქარის გარკვეული
შერწყმით. რამდენადაც მეტეოროლოგიური ფაქტორები ხშირად
განიცდიან ცვლილებასა და რხევებს, ამინდიც ცვალებადია და
არამყარი. ამინდის ცვალებადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს
ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე, ე. ი. მის ჯანმრთელობასა
და პროდუქტიულობაზე. ცხოველის ჯანმრთელობაზე ამინდის გა-
ვლენის დამადასტურებელია ზოგიერთ დაავადებათა სეზონურობა.
ასე, მაგალითად, გაზაფხულისა და შემოდგომის ცივი და ნესტია-
ნი ამინდი ხელს უწყობს გაციებითი დაავადებების აღმოცენებას.
ცხელი ამინდი კი ცხოველთა გადახურებისა და განსაკუთრებით,
მოზარდებში კუჭ-ნაწლავის, აგრეთვე ზოგიერთი ინფექციური და
ინვაზიურ დაავადებების გავრცელებისადმი ხელისშემწყობი ფაქ-
ტორია. ზოგიერთ დაავადებათა გაჩენა განპირობებულია ცხოვე-
ლის თერმორეგულაციაზე ამინდის მოქმედებით და ასევე მისივე
გავლენით. ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა აღმძერელ-
ებზე.

ამინდის თანდათანობითი შეცვლა არ იწვევს მკვეთრ რეაქციას
ორგანიზმის მხრივ, ხოლო სწრაფი ცვლა კი უმეტესად მძაფრი სა-
პასუხო რეაქციის საფუძველია, ამ დროს ხშირად იგვიანებს შემ-
გუებლობითი რეგულატორული მექანიზმების აღმოცენება, ანდა
ისინი უკმარისი არიან. ამინდის სწრაფი შეცვლა განსაკუთრებით
უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე, ასევე ყველა სხვა სახის ცხო-

ველზე, ოომელიც დახურულ სადგომში სტაბილური მიკროკლიმა-
ტის პირობებში ცოცხლობს. ამინდის მიმართ ცხოველის ორგანი-
ზმის შეგუებას აღაპტაციას უწოდებენ.

ამინდის ცვალებადობა, ორგორც გარეგან გამაღიზიანებელთა
შეცვლა, იწვევს ცხოველის ორგანიზმში საპასუხო რეაქციათა კომ-
პლექსის აღმოცენებას. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ხშირად
და ხანგრძლივად მოქმედებენ ეს გამაღიზიანებლები ცხოველზე,
იმდენად ორგანიზმი მეტად იწრთობა და აღაპტირდება მათ მი-
მართ: მაშასადამე, ცხოველის ორგანიზმი უფრო ამტანი და გამო-
წრთობილი ხდება. ამინდის ზომიერი შეცვლით აღმოცენებული
ფაქტორები ხელს უწყობს თერმორეგულაციის ფაქტორების სრულ-
ყოფას; აუმჯობესებს კანისა და სისხლძარღვთა ფუნქციას, ტონუს-
სა და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში.

ამინდის მიმართ ცხოველთა ორგანიზმის წრთობის საუკეთე-
სო საშუალებას წარმოადგენს მოციონი — ცხოველთა სასეირნოდ
გაშვება სეირანზე (ბაკში). დახურულ სადგომებში სასოფლო-სამე-
ურნეო ცხოველთა ხანგრძლივი ბაგური შენახვა, როდესაც ისინი
მოკლებულნი არიან მოციონს, ფრიად არასასურველ გავლენას ახ-
დენს ცხოველის ორგანიზმზე. ასეთ პირობებში შენახვის დროს
ცხოველები ხანგრძლივად იმყოფებიან ერთგვაროვანი, ნაკლებად
ცვალებადი მიკროკლიმატის გავლენის ქვეშ, რის გამოც დუნდე-
ბიან, ქვეითდება გაზთა ცვლა, ბუნებრივი რეზისტენტობა, რეაქ-
ტიულობა, მაღა; უხალისოდ იღებენ საკვებს, მთლიანად ვერ ით-
ვისებენ მას, რის შედეგად მცირდება პროდუქტიულობა. ბოლოს-
დაბოლოს ვითარდება ფრიად არასასურველი მოვლენა — აღინამია
(„უძრაობის ავადმყოფობა“). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომ-
დინარე, აუცილებელია, ხანგრძლივი ბაგური შენახვის პირობებში
სასოფლო-სამეურნეო ცხოველები უზრუნველყოფილნი იქნენ მო-
ციონით სუფთა ჰაერზე ყოველდღიურად, გარდა ძლიერ ცივი დღე-
ებისა (როცა ტემპერატურა მინუს 25°-ზე ქვევითაა, წვიმს, თოვს
და ძლიერი ქარია). მოციონი ხელს უწყობს ფიზიოლოგიური პრო-
ცესების სტიმულირებას და აწრთობს ორგანიზმს. ცხოველის ორ-
განიზმზე მზის სხივების პირდაპირი მოქმედება მაღლა სწევს სქე-
სობრივ აქტივობას და სპერმის ხარისხს; მდედრ ცხოველებში იზ-
რდება ნაყოფიერება და განაყოფიერება. მაკე ცხოველების მოცი-
ონით უზრუნველყოფა, ჯანსაღი ნამატის მიღების საუკეთესო გა-

რანტიაა; გარდა ამისა, ის ხელს უწყობს მსუბუქ მშობიარობის და ამცირებს მშობიარობის შემდეგ გართულებებს.

ყოველდღიური მოციონი ზრდის ულუფის საყუათო ნევთიერებების შევთვისებას, წველადობას და რძის ცენტრიანობას, მოზარდებში ცოცხალი მასის მატებას, ფრინველში კვერცხმდებლობს; ცხვარში მატყლის ნაპარსს. საყურადღებოა, რომ ყოველდღიური მოციონი ზრდის არა მარტო ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობას, არამედ დაავადებათა მიმართ მათ გამძლეობასაც, რაც დადასტურებულია მრავალი ცდით. ა. კორნეტის ცნობით ფურებში, რომლებიც ყოველდღიურად 4 კმ მანძილს გაივლიან, საკონტროლოებთან შედარებით წველადობა იზრდება 16,2%-ით, ხოლო რძის ცენტრიანობა — 0,37%-ით.

მოციონისათვის ცხოველთა საღგომებთან ახლოს აწყობენ განიერ ბაკს, ეზოს, სასეირნო მოედანს ან ბილიკებს. სეირანის ტერიტორია მყარი უნდა იყოს და ყოველდღიურად სუფთავდებოდეს ნაკელისა და თოვლისაგან. სასეირნო მოედნებზე სასურველია მწვანე ნარგავების გაშენება, ფარდულების მოწყობა, რათა ცხოველები მცხუნვარე მჩისაგან, თოვლისა და წვიმისაგან დავიცვათ. მოზრდილი ცხოველებისათვის მოციონის საშუალო ხანგრძლივობა 3—4 საათს შეადგენს დღეში. მოციონს ცხოველები აღრეული ასაკიდან თანდათანობით უნდა შევაჩიოთ. ახალშობილთ მოციონს 10 დღის ასაკიდან აჩვევენ; პირველად ისინი სუფთა ჰაერზე გაჰყავთ 10—15 წუთით, და მოციონის ხანგრძლივობას თანდათანობით ზრდიან 1,5—2 საათამდე. მოციონის დროს ცხოველები აქტიურად უნდა მოძრაობდნენ, ამიტომ ზოგჯერ მას იძულებით ხასიატი აქვს. იძულებითი მოციონისათვის სასურველია მოწყობის სასეირნო ბილიკები ფურებისათვის — 1,5—2 კმ და ღორისათვის 0,5—1 კმ. ეს ბილიკებიც ყოველდღიურად უნდა სუფთავდებოდეს ნაკელისა და თოვლისაგან.

ამგვარად, ცვალებადი ამინდის უარყოფითი მოქმედება ცხოველის ორგანიზმზე შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ცხოველთა თანდათანობითი შეგუებით ამინდის ცვალებადი ფაქტორებისადმი (განსაკუთრებით ტემპერატურის, ჰაერის ტენიანობისა და მოძრაობის ცვლილებებისადმი); ეს ხორციელდება ვარჯიშითა და ორგანიზმის გამოწრობით; რა თქმა უნდა ყველა შემთხვევაში აუცილებელია ცხოველთა დამაკმაყოფილებელი კვება. ყოველგ

ივე ეს პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ სანაშენე და მაღალპრო-
დუქტიული ცხოველების მიმართ, რომელთა სამეურნეო გამოყენე-
ბის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია.

ამინდი რა თქმა უნდა აღამიანის ორგანიზმსა და აღმგრანტ
საზოგადოებაზედაც ახდენს გავლენას. ამინდის ზემოქმედებას აღ-
ასიანზე შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდა-
პირი ხასიათი. ამინდთანაა დაკავშირებული აღაძიანის მთელი რიგი
დაკავდებების აღმოცენება. გარდა ე. წ. სეზონური ხასიათის და-
კავდებებისა, აღინიშნება ზოგიერთი დაავადების მოულოდნელი
ფეთქება. ამის მაგალითია ზოგიერთი ეპიდემია, რომელიც ხშირად
იჩენს თავს ზომიერ განედებში: მალარია, ქოლერა, დიზენტერია,
ჭირი. განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი ამინდთან დაკავშირე-
ბით მაღარიის ეპიდემიების გაჩენა.

როგორც ცნობილია, აღამიანის მაღარიას სისხლის სპეციფი-
კური პარაზიტები — პლაზმოდიები იწვევენ. დაავადება ჯანმრთელ
აღამიანზე გადააქვს სპეციფიკურ კოლოს — ანოფელებს. როდე-
საც კოლო მაღარიით ავადმყოფი აღამიანის ან პარაზიტმტარებელის
სისხლს წუწნის, მის სხეულში მოხვდებინ მაღარიის გამომწვევი
პლაზმოდიები. კოლოს ორგანიზმი პლაზმოდიები განვითარების
სპეციფიკურ ციკლს გაივლიან და იძენენ დაავადების გამოწვევის
უნარს. დადგენილი იქნა, რომ გადამტანი კოლოს ორგანიზმში პლა-
ზმოდიების განვითარებისათვის გარემოს გარკვეული ტემპერატუ-
რაა საჭირო. თუ გარკვეული ღროის მანძილზე პარაზიტი
ტემპერატურა საშუალოდ 16° -ს არ აღმატება, კოლოს
სხეულში პარაზიტის განვითარება-მომწიფება არ ხდება და შე-
საბამისად — ასეთი კოლოს კბენით დაავადება არ აღმოცენდება.
სწორედ ამიტომ ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის პირობე-
ბში მაღარიის პლაზმოდიები კოლოს სხეულში შეიძლება განვითა-
რდნენ ზაფხულის ცხელ დღეებში. გარდა ამისა თვით კოლოს არ-
სებობაც გარკვეულად გაპირობებულია მეტეოროლოგიური ფაქტ-
ორებით. თუ კოლო დაიღუპება მის სხეულში პლაზმოდიების მომ-
წიფებამდე, მაღარია რა თქმა უნდა ვერ გავრცელდება.

ამინდი, განსაკუთრებით მისი მძაფრი შეცვლა დიდ გავლენას
ახდენს აღამიანის არა მარტო ფსიქიკურ, არამედ ფიზიკურ მდგო-
მარეობაზე. აღამიანი აღლვებულია, ან დაბეჩავებული, განიცდის
ფიზიკურ ტკივილებს; ზოგჯერ მისი მოქმედება უმართავი ხდება.

ვარაუდობენ, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია აღამიანის ვე-
გეტატიური ნერვული სისტემის ძვრებთან, რაც ოღონებულება ატ-
მოსფეროში მეტეოროლოგიური პირობების შეცვლით. ამინდის
შეცვლით გამოწვეული აღამიანის ფსიქიკური მდგომარეობა მშვე-
ნივრად აქვს ოღწერილი შტეფან ცვაიგს თავის ერთ ნოველაში.
აღამიანის ფსიქიკურ-ფიზიკური განცდა ამინდის შეცვლასთან და-
კავშირებით ასევე ოღწერა ფ. პეტერერმაც, მოვიტანთ ციტატას მი-
სი წიგნიდან „ამინდი აინტერესებს ყველას“ (რუსული თარგმანი, 1966 წ.).

„რამოდენიმე წლის წინ მე დავინახე ჭალარა კაცი, რომელიც
ბნელ საღარბაზოში იდგა. ის სახეს იფარავდა დიდი ცხვირსა-
ხოცით და ხმამაღლა კვნესოდა. დილა იყო, დაახლოებით ცხრის
ნახევარი. ჩემს შეკითხვაზე თუ რა დაემართა, მან არაფერი არ მი-
ჰასუხა და განაგრძობდა კვნესას. არავის შეეძლო ეთქვა თუ რა-
ტომ ამბობდა უარს დახმარებაზე მოხუცი. თითქმის ერთი საათი
გავიდა და ის ისევ უცვლელ მდგომარეობაში იყო. მას ისევ ჭით-
ხეს თუ რა დაემართა. მისი კვნესა ლულლულში გადაიზარდა და
უხალისოდ იქითხა თუ როდის დაიწყებოდა ჭექა-ქუხილი. თითქოს
არავითარი კავშირი არ არსებობდა მის ახირებულ ქცევასა და ჭე-
ქა-ქუხილს შორის, ვინაიდან ცაზე არსად ღრუბლის ნატამალი არ
ჩანდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, ხომ არ იყო ის სულიერად ავა-
დმყოფი? შემდგომ გამოყითხვაზე მან განაცხადა, რომ ის გაგზავ-
ნეს ქალაქში საყიდლებზე, თუმცა მას სახლიდან გასვლა არ უნ-
დოდა. ქუჩაში მან იგრძნო ძლიერი ტკივილები, რაც ამინდის შე-
ცვლის მაუწყებელია. ის ისევ კვნესოდა და კონკალუბდა. ჩქარა ცა-
ზე გაჩნდა ღრუბელი და მოიქურა და დაიწყო ჭექა-ქუხილი. აღა-
მიანს ეხლა უკვე სჭირდებოდა დახმარება, რამდენადაც მისი კვნე-
სა თანდათან ძლიერდებოდა. მოულოდნელად იჭექა, გაიელვა. მო-
ხუცი ძლიერ შეირყა. სწორედ ამ დროს მოხდა საკვირველება: ის
აღგა საფეხურიდან, რომელზედაც იჯდა, მოიწმინდა ცრემლები და
დაივარცხნა თმა. ჩემს წინ იდგა სრულიად სალი, მაგარი და შესა-
ხედავად ჭანმრთელი შუახნის კაცი. პირველი გაელვებისთანავე ტკი-
ვილები გაუქრა. ის მტკიცე ნაბიჭით გამოვიდა საღარბაზოდან და
მიუხედავად ძლიერი წვიმისა გაემართა საქმეზე, თითქოს ელვა,
ჭექა და წვიმა სრულებით არ ეხებოდა მას.“

ამინდის პროგნოზირება. ამინდი, როგორც უკვე ითქვა, ატ-
მოსფეროს გარკვეული ფიზიკური მდგომარეობაა, რომელიც გან-
უწყვეტელ ცვალებადობას განიცდის. ატმოსფერო, როგორც ზოგა-
ჯერ ეს პრიმიტულად წარმოგვიდგენია, სიცარიელე არ აოის; და-
დამიწას ირგვლივ უზარმაზარი აიროვანი გარსი აქვს, რომელიც
შეიცავს მიახლოებით 10^{14} სხვადასხვა გაზების მოლეკულას და
ჩვენს პლანეტას აწვება 51 კვადრილიონი ტონის ძალით. ატმოს-
ფეროში შეუზღუდავად გაბატონებულ ძალებს ყოველწლიურად
შეუძლიათ თავს დაგვატეხონ უამრავი უბედურებანი და ადამია-
ნთა და ცხოველთა დაღუპვა. არაიშვიათი, როდესაც ტროპიკული
განედების ქარიშხლები სულ რამდენიმე საათში სპობენ ადამიანის
შრომით შექმნილ ღირებულებებს; ანადგურებენ ტყეებს, სოფ-
ლებსა და ქალაქებსაც კი. ატმოსფერო მილიარდი წლებია არსე-
ბობს და ის მუდამ იცვლებოდა. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი
ჰქონდა კლიმატის შეცვლას გამყინვარების პერიოდში.

კლიმატისა და ამინდის შეცვლა დღესაც გრძელდება. უკანა-
სკნელი ოთხი-ხუთი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად შეი-
ცვალა კლიმატი არქტიკაში. ასე, მაგალითად, შპიცერგენზე 26
წლის განმავლობაში (1912—1938) ზამთრის ჰერიოლის საშუალო
ტემპერატურა 10° -ით გაიზარდა. გრენლანდის სამხრეთ რაიონებ-
ში, სადაც ჯერ კიდევ 1931—32 წლებში არსებობდა უზარმაზარი
ყინულოვანი გამოქვაბულები, რომლებიც პოლარულ მყლევართა
კარგ თავშესაფარს წარმოადგენდა, ეხლა მწვანე მინდვრები გაჩ-
ნდა, სადაც ცხვრის ფარები ძოვენ.

მოსალოდნელი ამინდის გამოცნობა, ანუ პროგნოზირება დი-
დი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია. ადამიანს
უნდა ეზრუნა თავისი პრსებობისათვის, დაცვა თავი ბუნების ისე-
თი სტიქიური მოვლენებისაგან, როგორიცაა: წყალდიდობა, ვულ-
კანების ამოფრქვევა, ქარიშხალი და სხვ. ამინდის გამოცნობას აღრე
პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა. ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე
ხანგრძლივმა დაკვირვებამ აღამიანს მისცა შესაძლებლობა გამოე-
ცნო მოსალოდნელი ამინდი, რაშიც მას გარკვეულ დახმარებას უწ-
ევდა შინაურ ცხოველთა ქცევაზე დაკვირვება. საყურადღებოა,
რომ ამინდის მოსალოდნელ შეცვლას ხშირად ცხოველი უფრო
ადრე გრძნობს, ვიდრე აღამიანი. ცნობილმა ქართველმა მეცნიერ-
მა, პროფ. ი. გაჩეჩილაძემ ლექციაზე ერთი ასეთი მაგალითი მოი-

ტანა. ერთხელ საქართველოში ევროპიდან სწავლულები ჩამოსულან ჩვენი ქვეყნის გასაცნობად. ქართველ კოლეგებს ისინი გურიაში წაუყვანიათ. ერთ დღეს მუშაობით დაღლილი ქართველი და უცხოელი სწავლულები ერთ გლეხს წვევიან სტუმრად, რა თქმა უნდა, გურული გლეხი დიდებულად გაუმასპინძლდა — სტუმრებს. მოსალამოვდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა; არაჩვეულებრივად წყნარი და კარგი ამინდია. როდესაც მოსვენების დრო დადგა, მასპინძელმა სტუმრებს შესთავაზა სახლში გაეთიათ ღამე. სტუმრებმა უარი თქვეს სახლში მოსვენებაზე. ზაფხულია, ასეთი წყნარი და კარგი ღამეა და ვაკირჩევნია გარეთ მოვისვენოთო. მასპინძელს უთქვამს, ამაღამ გაავდრდებაო. ერთმა სტუმარმა ჰკითხა მასპინძელს, კი მაგრამ თქვენ საიდან იცით, რომ ამაღამ გაავდრდებაო. გურულ გლეხს უთქვამს, ჩვენი ხალხის დაკვირვებით თუ ღორმა ბუნავის მოძიება დაიწყო, აუცილებლად გაავდრდებაო. მე შევამჩნიე, რომ ჩემი ღორი ამ სალამოს ბუნავს დაედებდაო. რა თქმა უნდა, სწავლულმა სტუმრებმა გურული გლეხის ეს განმარტება არ დაიჯერეს და ღამის გასათვად გარეთ გაიშალეს ლოგინი. ნაშუალმევს საშინელი თავსხმა წვიმა წამოვიდა და სტუმრები კარგადაც გაიწუწნენ.

ასევე, ადამიანები წინასწარმეტყველებდნენ მოსალოდნელ ამინდზე ატმოსფერულ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად. შუა საუკუნეების ადამიანისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ თუ ბუზი მწარედ იქმინებოდა, მდინარესა და ტბაში თევზი წყლიდან ზევით ხტებოდა, ეს საღწმუნო ნიშანი იყო ამინდის გაუარესებისა. მაგალითად, დიდი ხნიდანაა ცნობილი, რომ ორუბლების მოძრაობის ხსიათი, ცის ფერი, ამინდის შეცვლის მაუწყებლია.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უბრალო ემპირიული დაკვირვების შედეგი იყო და მას არ ჰქონდა მეცნიერული ხასიათი.

ამინდის შეცვლის მეცნიერული პროგნოზირება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა ღრმად შეისწავლა ატმოსფეროში მიმღინარე მოვლენები; შექმნა მთელი რიგი ხელსაწყოები და ა. შ. ჩამოყალიბდა სპეციალური ცოდნის დარგი — მეტეოროლოგია. შეიქმნა მეტეოროლოგიური სამსახურის დაწესებულებები და ა. შ. ამინდის პროგნოზირებაში დიდი წვლილი შეიტანა აღამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობამ და ათვისებამ. ამისათვის ფართოდ გამოიყენება სპეციალური დანიშნულების დედამიწის

ხელოვნური თანამგზავრები. მიზნადაა დასახული, მომავალში შეიქმნას სპეციალური აპარატი, რომელიც იმოძრავებს ატმოსფერულ ჰედა საზღვარზე და საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად განკარგოთ ამინდის პროგნოზირება.

კლიმატი (ჰავა)

კლიმატს უწოდებენ ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელ ატმოსფერულ პირობებსა და პროცესებს, რომლებიც სეზონურ ცვლილებებს განიცდიან და გარკვეულ ფარგლებში ვარირებენ, მაგრამ ნაკლებად იცვლებიან ერთი მრავალწლიანი პერიოდიდან, მეორეში. ზოგიერთი ავტორის შეხედულებით კლიმატი არის ყველა ტიპის ამინდის ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ზონისათვის. კლიმატის თავისებურება მრავალი ფაქტორის შექმნასთანაა დაკავშირებული: აქ მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ განედს, მზიური ენერგიის მიღებასა და ხარჯვას, ატმოსფეროს ცირკულაციას, ზღვის დონიდან მდებარეობას, ადგილის რელიეფს, მის მცენარეულ საფარველს, წყალს და სხვ. ამა თუ იმ ადგილის კლიმატი, ამინდისაგან განსხვავებით მდგრადიობით ხსიათდება. კლიმატის არსებითი შეცვლა ხდება გეოლოგიური ეპოქების მანძილზე, თუკი რაიმე კატაკლიზმს არ ექნება ადგილი. მთავარი ბუნებრივი ფაქტორები, რომელთა ზემოქმედებითაც კლიმატი იცვლება, შემდეგია: კოსმოსური (მზის რაღიაციის შეცვლა), ასტრონომიული (დედამიწის ორბიტისა და ლერძის ცვლილებები), გეოლოგიური (ვულკანური აქტივობა, გაზომურებული არმოქმნა) და ცირკულაციური. კლიმატის შეცვლაში დიდ როლს ასრულებს ადამიანის საქმიანობა, მისი ნიაღავზე, მცენარეულ საფარველზე და წყალსატევებზე ზემოქმედება (ტყის შენარჩუნება და ტყის ზონების გაშენება, მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლა; სარწყავი სისტემის, წყალსაცავების მოწყობა და სხვ.).

ყოველ გეოგრაფიულ ზონას ახსიათებს თავისი კლიმატური მონაცემები. რაიონის კლიმატურ დახასიათებას აკეთებენ სპეციალური მეტეოროლოგიური საღურების ხანგრძლივი დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე. შექმნილია კლიმატის კლასიფიკაციის რამდენიმე სქემა: მათ შორის ყველაზე გავრცელებული დაფუძნებულია ლანდშაფტურ ნიშნებზე (მოწყობებულია აკადემიკოსი ო. ბერგის მიერ). ამ კლასიფიკაციის მიხედვით ასხვავებენ

12 ტიპის კლიმატს: მუდმივი გამყინვარების, ტუნდრის, ტაიგის, ზომიერი სარტყლის ფართეფოთლიანი ტყის, ზომიერი განეფის მუსონებს, სტეპის, ტროპიკულის გარეშე უდაბნოს, ხმელთაშუაზღვის, სუბტროპიკული ტყის (სავანეები) და ტენიანი ტროპიკული ტყის.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვევდებით შემდეგი სახის კლიმატს: მუდმივი გამყინვარების, ტუნდრის, ტაიგის, ზომიერი სარტყლის ტყის, ტროპიკულის გარეშე უდაბნოს, ხმელთაშუაზღვის, სუბტროპიკული ზონის და მაღალი მთის.

კლიმატს მეცხოველეობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კლიმატი მრავალმხრივ პირდაპირ და არაპირდაპირ გვლენას ახდენს ცხოველის ორგანიზმზე. კლიმატთანაა დაკავშირებული ცალკეული სახისა და გიშის ცხოველთა გავრცელების საზღვარი. კლიმატური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ყალიბდება მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელი ცხოველთა ჯიშები. ასე, მაგალითად, კონტინენტური კლიმატის პირობებში, რომელსაც ახასიათებს მკაცრი ზამთარი ქარებით და წლიური ჰაერის ტემპერატურის. მერყეობის დიდი ამპლიტუდა, ცხოველები დიდი მასის მქონეა, აქვთ სქელი კანი, ხშირი და გრძელი ბალნის საბურველი; მათი ჩლიქები სქელია, რქები მოკლე და თხელი. ცხელი და მშრალი კლიმატის პირობებში ცხოველის კანი ნაზია, თხელი, მუქი ფერის; უხვადაა მოფენილი საოფლე ჯირკვლებით; რქები მსხვილია, ჩლიქი ბრტყელი და მტკიცე. მთის კლიმატის პირობებში ცხოველებს კარგად უვითარდებათ სასუნთქი თრგანოები, კუნთები და ძვლები; სისხლში მომატებულია ერითროციტები და ჰემოგლობინი.

კლიმატი, მისი სეზონური თავისებურებებით, მნიშვნელოვან გვლენას ახდენს ცხოველთა შორის მოელ რიგ ინფექციურ, ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებათა გაჩენაზე. ამა თუ იმ ზონის კლიმატიურ ფაქტორებზე შეგუებული ცხოველები გამძლენი არიან აღვილობრივ დაავადებათა მიმართ; ახასიათებთ კარგი მემკვიდრულობა და მაღალი პროდუქტიულობა; ჩქარა და კარგად ვითარდებიან.

კლიმატოფიზიოლოგის თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის კლიმატები შეიძლება განვიხილოთ როგორც დამზოგავი და გამაღიზიანებელი. პირველ ჯგუფში შედის ისეთები, რომლებიც ხასი-

ათდებიან ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, მოძრაობის და წნევის რხევების უმნიშვნელო ამპლიტუდით. ისინი მცირე მოთხოვნილებებს უყენებენ ცხოველის ორგანიზმის იაბპტაციურ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს და ხელს უწყობენ ჩქარი აკლიმატიზაციის პროცესს. გამაღიზიანებელ კლიმატს შეიძლება მივაკუთვნოთ საბჭოთა კავშირის ცივი და კონტინენტური ზონები; ასეთი კლიმატი რთულ მოთხოვნილებებს უყენებს ორგანიზმს და ამდენად, ძნელი ასატანია განსაკუთრებით სუსტი ცხოველებისათვის. მაგალითად, ცივი სარტყლისათვის დაბალი ტემპერატურით, დამახასიათებელია ჰიპოთერმა და გაციებითი ხასიათის დაავადებანი; მზის სხივების უქმარისობა; ულტრაიისფერი სხივების დიდი დეფიციტი; ნიადაგსა და საკვებში კალციუმის, ფრორის, იოდის და სხვ. დეფიციტი. ცხელი კლიმატის პირობებში საქმაოდ ხშირია ცხოველის ორგანიზმის გადახურება; წყლის ბალანსის მძაფრი ამაღლება, გულ-სისხლძარღვთა ჭარბი დატვირთვა. გარდა ამისა, ივნის-აგვისტოს პერიოდში მცენარეებში მნიშვნელოვნად მცირდება პროტეინის, მინერალური ნივთიერებების და განსაკუთრებით, ვიტამინების შემცველობა.

ამინდი და კლიმატი არსებით გავლენას ახდენს საკვებ ბაზაზე და შესაბამისად, ცხოველთა პროდუქტიულობაზე. ნაოესი კულტურების, საძოვრებისა და სათიბების მოსავლიანობა დიდადაც დაზოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე, ნიადაგის ხასიათსა და წყალზე.

1973 წელს მკულევარმა რ. ინგრანმა საყურადღებო ნამუშევარი გამოაქვეყნა საერთაშორისო ბიომეტრეოროლოგიურ უურნალში. აკითხი ეხება ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის, ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის გავლენას ფურების განაყოფიერებაზე. გამოკვლევები ჩატარდა პოლმტაინის ჯიშის ორ ნახირზე. რომ ნახირი 600 ფურით მექსიკაში იმყოფებოდა, ხოლო მეორე ნახირი — 1300 ფურით. — ჰავაზში. მხედველობაში იყო შილებური აღგილის ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და ტემპერატურული ტენიანობის ინდექსი შეადგენდა: 35,1°, 62% და 87,3; რაც შეეხება შეზალო მინიმალურ ტემპერატურას, ტენიანობას, ტემპერატურა

— ტენიანობის ინდექსს, ის ალტევდა: 26.5° , 94% და 79 . ჰავაიში ეს მაჩვენებლები ტოლია და საშუალოდ შეადგენდა 31.3° , 44% , 79 და 12.9° , 96% , 67.6 . ორივე ნახირს ინახავდნენ ლია განაკეში; ვანსევავება ის იყო, რომ მექსიკაში მოწყობილი ჰქონდათ ფარდულები, ხოლო ჰავაიში — არა. ცდა გრძელდებოდა 3 წელს, შედეგებს საზღვრავდნენ ყოველ 100 ფურზე მიღებული ნამატით. ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ მექსიკის ნახირში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციას საშუალო თვიურ ტემპერატურულ-ტენიანობის ინდექსსა და განაყოფიერებას შორის. ასეთივე დამოკიდებულება დადგინდა ჰავაის ნახირშიც, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხით. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ეს მაჩვენებლები ხელოვნური დათესვლის ჩატარების წინა ორ დღეში. დადგინდა, რომ განაყოფიერებას დეპრესიას იწვევს მაღლი ტემპერატურულ-ტენიანობის ინდექსი.

ამ ბოლო წლებში დიდ ყურადღებას აქცევენ ამინდისა და კლიმატის ცხოველის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლას. შეძლება ითქვას, ჩემოყალიბდა ცოდნის ახალი დარგი — ბიომეტროლოგია.

იმისათვის, რომ კლიმატისა და ამინდის უარყოფითი გავლენა შინაურ ცხოველთა ორგანიზმზე მინიმუმამდე იქნას შემცირებული და მაქსიმალურად გავაძლიეროთ მისი დადებითი გავლენა, აუცილებელია ფართოდ გაიშალოს მუშაობა ისეთი ჯიშების გამოსაყვანად, რომლებიც კარგად არიან შეგუებულნი კონკრეტულ კლიმატურ პირობებს. კლიმატურ პირობებს ანგარიში უნდა გაეწიოს მეურნეობათა განლაგების, ცხოველთა საღვომების დაპროექტება — მშენებლობის დროს; ასევე ულუფის შედეგებისა და კვების დროს; კლიმატური პირობები ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ცხოველთა დავადებების საწინააღმდეგო ვეტერინარულ-სანიტარული ონისძიებების გატარების დროს.

ცხოველთა აკლიმატიზაცია. აკლიმატიზაცია არის ახალი საარსებო არისადმი ცხოველის შეგუების პროცესი ან ხანგრძლივი ადაპტაცია. წარმატებით აკლიმატიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახისა და ჯიშის ცხოველების მოშენებისათვის ისეთ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც აღრე ისინი არ ბინადრობდნენ. აკლიმატიზაცია ცხოველის ორგანიზმსა და გარემოს ფაქტორებს

შორის რთული ურთიერთქმედების პროცესია. ის აღმოცენდება ცხოველის ორგანიზმსა და გარემოს ფაქტორებს შორის რთული და ხანგრძლივი ურთიერთხემოქმედების შედეგად. ეს ხდება ორგანიზმის ინდივიდუალურ და მრავალ თაობებზე კომპლექსურ გამაღიზიანებელ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად. ამას მოსდევს ცხოველის ორგანიზმში მეტ-ნაკლებად მყარი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომელთა წყალობით ორგანიზმები არა მარტო ინარჩუნებენ არსებობას, არამედ მრავლდებიან კიდეც და ინარჩუნებენ თავიანთ სამეურნეო თვისებებს. აკლიმატიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ნიშან-თვისებები, რომელიც ამ ჯიშს არ ჰქონდა თავისი თავდაპირველი ბინადრობის ადგილზე, სახეობათაშორის ცვალებადობის მაგალითს წარმოადგენს.

აკლიმატიზირებულად ჩაითვლებიან ის ცხოველები, რომლებიც, აქტიურად შეეგუებიან ამ პირობებს, მრავლდებიან, იძლევიან ჯანმრთელ თაობას და ხასიათდებიან მაღალი პროდუქტიულობით. ცხოველის ორგანიზმის შეგუების პროცესი განსხვავებულია, ამიტომ ყველა ცხოველს არ გააჩნია აქტიური აკლიმატიზაციის უნარი სამეურნეო ნიშან-თვისებების შენარჩუნებითა და ამაღლებით. საყურადღებოა, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველები აკლიმატიზაციისა და ეკოლოგიური პირობების მიმართ კონსერვატიულობით ხასიათდებიან, რამდენადაც ცხოველის ყოველ ჯიშს თავისი კლიმატური ოპტიმუმი გააჩნია. ზოგი სახის ცხოველს ახალი პირობებისადმი შეგუების კარგი თვისებები აქვს და ჩქარა განიცდის აკლიმატიზაციის; ზოგი სახის ცხოველებში კი პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს; არსებობს კიდევ ცხოველთა სხვა სხევა, რომლებშიც ადამიანის აქტიური ჩარევის გარეშე აკლიმატიზაცია არ ხდება. აკლიმატიზაციის სხვადასხვა უნარი გაპირობებულია სხვადასხვა სახის ფილოგენეზით, მემკვიდრულობით და გარემო პირობების მიმართ საპასუხო რეაქციების თავისებურებებით.

ცხოველის აკლიმატიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, საკვები, ნიადაგი, სინათლის ინტენსივობა და სხვ. ბინადრობის ახალ პირობებს შეუძლია გააძლიეროს, ორგანიზმის მაღალი სამეურნეო თვისებები, ან პირიქით—გააუარესოს ისინი. ბინადრობის მძაფრი არახელსაყრელი პირობების მიმართ ცხოველთა აკლიმატიზაცია არ ხერხდება. მეცხოველეობის პრაქტიკაში ბევრი მაგალითია ცნობილი, როდესაც საუკეთესო ჯი-

შის ცხოველები, მათი ორგანიზმის მოთხოვნილებათა არახელსა-
ყრელ პირობებში ჩაყენებისას, კარგავდნენ თავიანთ შალალორო-
დუქტიულობას და არა მარტო ჩამოპირებოდნენ აღილობრივ და-
ბალპროდუქტიულ საქონელს, არამედ სრულ გადავისარებას გათაც-
დიდნენ.

უველა სახის ცხოველი ერთნაირად არ განიცდის აქლიმატიზა-
ციას სხვადასხვა განედებში. ასე, მაგალითად, აქლემი და კამეჩი
ძნელად ეგუება ჩრდილოეთის ზონას, ხოლო ჩრდილოეთის ირე-
მი—სამხრეთს. რაც შეეხება ძროხას, ცხვარსა და ღორს, ისინი მრა-
ვალ ზონას აღვილად ეგუებიან. საყურადღებოა ისიც, რომ ერთი
სახის ცხოველთა სხვადასხვა ჭიშები, ხოლო ჭიშის სხვადასხვა ინ-
დივიდები აკლიმატიზაციის სხვადასხვა უნარით ხასიათდებიან.

კლიმატური და ეკოლოგიური პირობების მიმართ შინაურ
ცხოველთა დამოკიდებულება შნიშვნელოვნად სუსტდება და იცვ-
ლება ადამიანის ზემოქმედებით. მაგალითად შუა აზიაში მოსაშენე-
ბლად შეუვანილ შვიცისა და შავ-ჭრელ ძროხას პირველ ხანებში
ძალიან გაუჭირდა შეგუება; დაქვეითდა მათი ნაყოფიერება და მერ-
ძეულობა და შეიცვალა ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებელი;
შემდგომში, როცა ადამიანმა მათ შეუქმნა მოვლა-შენახვის და კვე-
ბის საუკეთესო პირობები, მოხდა ამ ცხოველის კარგი აკლიმატიზა-
ცია და ეს ჭიშები დღეს საუკეთესო ჭიშებადაა აღიარებული შუა
აზიის რესპუბლიკებისათვის. როგორც მთელმა რიგმა გამოკვლე-
ვებმა დაადასტურა, ამა თუ იმ ჭიშის ცხოველთა წარმატებითი აკ-
ლიმატიზაციისთვის გადამწყვეტი შნიშვნელობა აქვს შევარებით,
ხელოვნურ გადარჩევას, შერჩევით მემკვიდრული ნიშან-თვისე-
ბების გამდიდრებასა და განმტკიცებას, აგრეთვე მათ მიზანდასახულ
მოშენებას. ერთნაირ პირობებში, ახალი გარემოსაღმი შეგუებისა
და აკლიმატიზაციის უნარი უფრო კარგად აქვთ გამოსახული მო-
ზარდებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ახალი გარემოცვის პი-
რობებში დაიბადნენ და იზრდებიან და აგრეთვე ცხოველებს, რომ-
ლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთ ზონებში გადაჰყავთ მოსაშენებ-
ლად.

როგორც კ. ფილიანსკი აღნიშნავს, აკლიმატიზაცია საუკეთე-
სო შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც ძველი და ახალი არსებობის
ზონებში პირობები იღენტურია ან ახლო დგანან ერთმანეთთან, ე. ი.

მათ შორის არსებობს ეკოლოგიური ანალოგია. ცხოველის ყოველ
ჯიშს აქვთ თავისი არსებობის პირობები, ფაქტორები, რომელთა
ზემოქმედების პირობებშიც ჩამოყალიბდნენ ისინი. რაც დიდია
განსხვავება ამ პირობებს შორის, სამეურნეო თვალსაზრისით აკ-
ლიმატიზაცია მთთ უფრო უშედეგოა. მცდელობა, მოვაშენოთ შეი-
მე პირობებში ცხოველები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ არსებითად
განსხვავებულ კლიმატიურ და ეკოლოგიურ პირობებში, უნაყოფო
და უშედეგოა. ასეთ მცდელობას სახალხო მეურნეობისათვის ზია-
ნის შეტი არაფერი არ შეუძლია მოგვცეს. ყოველივე ეს კარგად
უნდა გვახსოვდეს კულტურული ჯიშების შემოყვანისა და მოშე-
ნების დროს. ამ პირობების გათვალისწინებითა და განხორციელე-
ბით ჩვენს ქვეყანაში მოხერხდა ბევრი კულტურული ჯიშების ცხო-
ველის წარმატებით აკლიმატიზაცია, მოშენება და გამრავლება,
რომლებიც ხასიათდებიან კარგი ჯანმრთელობით და მაღალი პრო-
დუქტიულობით.

მიკროკლიმატი

მცირე, შეზღუდული ტერიტორიის კლიმატს, მიკროკლიმატს
უწოდებენ. მიკროკლიმატი ბევრ სამეურნეო და საწარმოო ობი-
ექტს ახასიათებს. მეცხოველეობის პრაქტიკაში მიკროკლიმატის
ქვეშ გვესმის ცხოველთა დახურული სადგომების ჰაეროვანი გარე-
მო მისი სხვადასხვა თვისებებით. ცხოველთა დახურულ სადგომე-
ბში მიკროკლიმატის ჩამოყალიბება მრავალ ფაქტორზეა დამოკი-
დებული, კერძოდ: ადგილობრივ კლიმატზე, ზღუდეების კონსტ-
რუქციასა და თბოლდაცვის უნარზე, სადგომის ექსპლუატაციის ხა-
სიათზე, ცხოველთა კვების ტექნოლოგიაზე, შენობიდან ნაკელის
და წუნწუხის გატანაზე, ჰაერცვლის მოცულობაზე, სადგომში მო-
რავსებულ ცხოველთა რაოდენობაზე და სხვ. მიკროკლიმატზე
მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზღუდეების შინაგანი ზედაპირის
ტემპერატურა, ნამის წერტილი და ასევე ამ ზედაპირებსა და ცხო-
ველთა შორის რადიაციული თბოცვლა. ცხოველთა დახურული
სადგომის მიკროკლიმატის მართვა და მისი სასურველი მიმართუ-
ლებით შეცვლა შედარებით იოლი განსახორციელებელია.

მეცხოველეობის ეკონომიკური ეფექტიანობა დიდადაა დამო-
კიდებული ცხოველთა რაციონალურ შენახვაზე, ამ დროს ძალიან

დიდი მნიშვნელობა აქვს დახურულ სადგომებში პრიმალური მიკროკლიმატის შექმნას. როგორი კარგი ნიშან-თვისებებითა და გენეტიკური მონაცემებით არ უნდა ხასიათდებოდნენ, ცხვევლები, ოპტიმალური მიკროკლიმატის შექმნის გარეშე ისინი გრეტ შესძლებენ კარგი ჯანმრთელობისა და მაღალი პროდუქტიულობის შენარჩუნებას. მთელი რიგი ავტორების (მოტესი, პ. ვ. ტერენტიანი და სხვ.) მონაცემებით მეცხველეობის პროდუქციის წარმოების 20% დაკავშირებულია ოპტიმალურ მიკროკლიმატთან. მიკროკლიმატის გავლენა ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე მულავნდება მისი პარამეტრების ერთობლივი ზემოქმედებით ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. ცხოველთა დახურულ სადგომებში არადამაკმაყოფილებელი მიკროკლიმატის შედეგად მეურნეობა დიდ ზარალს განიცდის ნახირის პროდუქტიულობის დაქვეითების, ნაყოფიერების შემცირების და ცხოველთა დახოცვის შედეგად; საყურადღებოა რომ ერთდროულად იზრდება საკეთების ხარჯვა პროდუქციის წარმოებაზე. ხაზი უნდა გაისვას იმ გარემოებას, რომ არახელსაყრელი მიკროკლიმატის პირობებში ქვეითდება ცხოველის ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობა და იმუნური რეაქტიულობა მთელ რიგ დაავადებათა მიმართ. ისიც საყურადღებოა, რომ ტემპერატურულ-ტენიანობის პირობები სადგომის ექსპლუატაციის ვადას ამცირებს.

მრავალი დაკვირვებით და გამოკვლევით დადგენილია, რომ მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ცხოველები უფრო მგრძნობიარება მიკროკლიმატის მიმართ, ვიდრე დაბალპროდუქტიული. არადამაკმაყოფილებელი მიკროკლიმატის ძირითადი მიზეზებია: ცხოველთა სადგომების მშენებლობის დროს საშენი მასალისა და კონსტრუქციებისადმი ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დარღვევა, კანალიზაციისა და ვენტილაციის მოუწყობლობა და სხვ. ასეთ სადგომებში ზამთარში ჰაერის ტემპერატურა ძალიან დაბალია, ხოლო ტენიანობა მაღალი, რაც იწვევს ცხოველთა გაციებით დაავადებებს; ქვეითდება მათი პროდუქტიულობა. ცუდი მიკროკლიმატის ქვენე სადგომებში ცხოველთა პროდუქტიულობა 10—50%-ით მცირდება, ნაყოფიერება — 15—20%-ით, ხოლო მოზარდთა დახოცვა 10—30%-ს აღწევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ ინტენსიური მეცხველეობის პირობებში აუცილებელია ცხოველის

თა, დახურულ სადგომებში შექმნილი და დაცული იქნას ოპტიმა-
ლური მიკროკლიმატი; ის საჭიროა არა მარტო ცხოველებისათვის,
არამედ ფერმებში მომუშავე აღამიანისთვისაც, მეცხოველეობის
სპეციალიზებული მეურნეობებისათვის, კომპლექსებისათვის და
სხვ. დამუშავებებულია მიკროკლიმატის პარამეტრების ოპტიმალუ-
რი მაჩვენებლები, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ნაშრომს ბო-
ლოში ერთვის მიკროკლიმატის პარამეტრების სტანდარტები, რო-
მელთა მიხედვით უნდა ისარგებლონ ყოველგვარი ხასიათის მეც-
ხოველეობის მეურნეობებსა და ფერმებში.

ცხოველთა დახურული სადგომის მიკროკლიმატის ძირითად
პარამეტრებს მიეკუთვნება დახურული სადგომის ჰაერის ფიზი-
კური (ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობა), ჰიმიური (ჰაერის
აიროვანი შედგენილობა, განსაკუთრებით მავნე აირები) და მექა-
ნიკური მინარევები (ჰაერის მტვერი და მიკროორგანიზმები). ქვე-
მოთ მოცემულია ცხოველთა დახურული სადგომის მიკროკლიმა-
ტის პარამეტრების დახასიათება.

ჰაერის ტემპერატურა

ჰაერის ტემპერატურა, ცხოველის ორგანიზმის ძირითადი ფი-
ზიკური გამოიზიანებელია. ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა
ფართო ფარგლებში მერყეობს და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდე-
ბული. მნიშვნელობა აქვს წლის დროს, მზის რადიაციას, აღგილის
რელიეფს, რა სიმაღლეზე იმყოფება ზღვის დონიდან და სხვ.

გარემოს ტემპერატურის ჰიგიენური მნიშვნელობა იმაში გა-
მოიხატება, რომ ის მძლავრად მოქმედებს ორგანიზმის ობურ მდგო-
მარეობაზე, მის თერმორეგულაციაზე. გარემოს ტემპერატურის ხა-
სიათის მიხედვით იცვლება ცხოველის ორგანიზმის თერმინირეგუ-
ლაცია. მაღალი ტემპერატურის პირობებში ორგანიზმი ამცირებს
სითბოს წარმოქმნას და ზრდის მის გაცემას; რაც შეეხება დაბალ
ტემპერატურას, პირიქით — ორგანიზმი ზრდის სითბოს პროცე-
სიას და ამცირებს სითბოს გაცემას.

სხეულის ტემპერატურის ხასიათის მიხედვით, როგორც ცნო-
ბილია ცხოველები იყოფა ორ ჯგუფად: თბილსისხლიანებად (პო-
მოითერმული) და ცივსისხლიანებად (პოიკილოთერმული). ცივ-
სისხლიანებს მიეკუთვნება ცხოველები, რომელთა სხეულის ტემ-

პერატურა ცვალებადია და დიდადაა დამოკიდებული გარემოცვის (უმეტესად ჰაერის) ტემპერატურაზე. თბილსისხლიანი ცხოველები სხეულის მუდმივი თანაბარი ტემპერატურით ხასიათდებიან, რომელიც 36° -დან 42° ფარგლებში მერყეობს. თბილსისხლიანებს მიეკუთვნებიან: ადამიანი, შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველი. თბილსისხლიან ცხოველთა ორგანიზმში ყველგან ერთნაირი ტემპერატურა არ აღინიშნება და ის გარკვეულ ფარგლებში მერყეობს კიდეც. უფრო მეტად მუდმივი ხასიათის ტემპერატურა დამახასიათებელია სისხლისათვის, თავის ტვინისა, გულისა და ღვიძლისათვის; მაშინ, რაოდესაც, მაგალითად, კანის ტემპერატურა მეტეოროლოგიური ფაქტორების და ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციათა გავლენით, მნიშვნელოვან ფარგლებში ცვალებადობს.

ცხოველის სხეულის ტემპერატურის მუდმივობა განპირობებულია მისი სითბური წონასწორობით. ამის საფურველს წარმოადგენს წარმოქმნილ და გაცემულ სითბოს რაოდენობას შორის შესატყვისობა, ე. ი. სითბოს ბალანსირებული წარმოქმნა და ხარჯვა. ცხოველის ორგანიზმში მუდმივად ხდება სითბოს წარმოქმნა და გაცემა, რაც ოერმორეგულაციითა განპირობებული. ოერმორეგულაციის ქვეშ იგულისხმება ორგანიზმის უნარი — შეინარჩუნოს სხეულის ტემპერატურა შედარებით მუდმივ დონეზე. სითბოს რეგულაცია მდგრამარეობს ნივთიერებათა ცვლის გადიდებაში ან შემცირებაში და ამის შესაბამისად — ორგანიზმში სითბოს წარმოქმნის გადიდებასა ან შემცირებაში; ამის შესატყვისად ძლიერდება ან მცირდება ორგანიზმიდან სითბოს გაცემა. ამგვარად, ოერმორეგულაციას ორი მხარე აქვს: სითბოს წარმოქმნა და სითბოს გაცემა.

სითბოს წარმოქმნა ხდება ცხოველის ორგანიზმის ყოველი ცოცხალი უჯრედის ცხოველმყოფლობის შედეგად. სითბო წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებების: ცილების, ნახშირწყლებისა და ცხიმის უჯრედებში აერობული და ანაერობული დაშლის შედეგად. ასე, მაგალითად, ყოველი გრამი ცილისა და ნახშირწყლის დაშლის შედეგად წარმოიქმნება 4,1, ხოლო ცხიმის — დაშლისას — 9,3 კგლ სითბო. ყველაზე ჭარბი რაოდენობით სითბო წარმოიქმნება ჩონჩხის კუნთებში, ღვიძლში, ასევე თირკმლებში, ენტო-

კრინულ ჯირკვლებში, ფილტვებში და თავის ტეინში. სითბოს წარმოქმნას მნიშვნელოვნად ზრდის ჰაერის დაბალი ტემპერატურა, კუნთების მუშაობა, მაკეობა, ლაქტაცია და სხვა ფაქტორება; გასრულოს მაღალი ტემპერატურა, მოსვენებული მდგომარეობა, კასტრაცია, კანქვეშა სქელი ცხიმოვანი შრე და უხვი ბალნის საბურველი აქვეითებს სითბოს წარმოქმნას.

თერმორეგულაცია ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემით, ძირითადად, კანისა და -სასუნთქი ორგანოების გზით და ასევე სხვა მრავალრიცხოვანი სარეგულაციო მექანიზმებით. ნათებების ჰიპოთალამუსში მოთავსებულია თერმორეგულაციის ცენტრი, რომელიც იმპულსებს იღებს კანისა და სისხლისაგან, სიცივისა და სითბოს აღმენელი ექსტერო და ინტერორეცეპტორების აღზებით სათანადო განკარგულება გაიცემა. ეს რეგულაცია ხორციელდება ვაგიტატური ნერვული სისტემით, რასაც მოჰყვება რეფლექტორულად შესაბამისი ცვლილებები. რეფლექტორულად იცვლება ჩონჩხის კუნთების, გულის კუნთის, სუნთქვის ხასიათი და სხვ.

ცხოველის ასაკის, მასის, კვების პირობების, მუშაობის პროდუქტიულობისა და სხვათა მიხედვით მეცნიერების მიერ განსაზღვრულია სითბოს პროდუქციის მოცულობა. ერთი საათის განმავლობაში წარმოქმნილი სითბოს რაოდენობა ერთ კილოგრამ ცოცხალ მასაზე შეადგენს: ცენტი-მოსვენების მდგომარეობაში 1,13 კკლ, ზომიერი მუშაობისას — 10,46 და მძიმე მუშაობისას — 19,5 კკლ-ს. ფურში — მოსვენებისას, კვების სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა პროდუქტიულობისას — 1 დან 3 კკლ; ცხვარში — 1—2,1, ღორში. — 2,15—2,90, ბოცვერში — 5,6 და ფრინველში მოსვენების პირობებში — 7,5 კკლ-ის. ეს მონაცემები მიუთიებს, რომ რაც მცირეა ცხოველის სხეულის მასა, იმდენად მაღალია მისი სითბოწარმოქმნა. ჩვეულებრივად ცხოველის ორგანიზმში სითბო ჭარბი რაოდენობით წარმოიქმნება. დადგენილია, რომ ცხოველის ორგანიზმს სასიცოცხლო პროცესების განსახორციელებლად სჭირდება მხოლოდ წარმოქმნილი სითბოს საშუალოდ 20%, დანარჩენი სითბო ჭარბია, ამიტომ ორგანიზმია ჭარბი სითბო უნდა გასცეს, რათა შეინარჩუნოს ნორმალური სითბური ბალანსი. ცხოველის ორგანიზმის თერმორეგულაციაში განსაკუთრებით ღიღი მნიშვნელობა აქვს სითბოს გაცემას. სითბოს გაცემა ორგანიზმი

დან სხვადასხვა გზით ხორციელდება. თითქმის ყველა გამოშუოფი თრგანოებით ხდება სითბოს გარკვეული რაოდენობის გაცემა. სითბო გაიცემა კუჭ-ნაწლავით (მიღებული წყლისა და საკვების გათბობა, ფეხალით სითბოს გაცემა), სასუნიზტი როგორ ებით, შარდგამომყოფი ორგანოებით. ორგანიზმიდან სითბოს გაცემის მთავარი გზა არის კანი. კანიდან სითბოს გაცემა ჩვეულებრივი ფიზიკური მოვლენებით აიხსნება და ის აგრეთვე რეგულირდება ცენტრალური ნერვული გზით. კანიდან სითბოს გაცემა შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს. კანი სითბოს გაცემს რადიაციით, კონვექციით, სითბოგამტარებლობით და წყლის აორთქლებით.

გამტარებლობით სითბოს გაცემა ჩვეულებრივი ფიზიკური მოვლენაა. ყოველი თბილი სხეული სითბოს გადასცემს ცივ საგნებს. რაკი კანის ტემპერატურა ჩვეულებრივ უფრო მაღალია ვიდრე გარემოს ჰაერისა და საგნებისა, კანი ამ გზით უმეტესად სითბოს გაცემს. გამტარებლობით ბევრი სითბო გაიცემა, ბინაობისა და ჩამობანვის დროს, ასევე როდესაც ცხოველის სხეული ეხება (წევს) იატაკს, ნიადაგს, თოვლს. თუ გარეშე საგნების ტემპერატურა ჭარბობს კანისას, რა თქმა უნდა ამ გზით სითბო არ გაიცემა და ჰირიქით, — კანი იღებს თბილი საგნებილან სითბოს. სითბოგამტარებლობით კანიდან სითბოს გაცემა თერმორეგულაციაში დიდ როლს არ თამაშობს.

კონვექციით კანიდან სითბოს გაცემა. კონვექციით სითბოს გაცემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ როცა თბილი სხეულის ზედაპირზე სრიალებენ ჰაერის ცივი მოლეკულები, ან ეხეოქებიან მას, ისინი თბილ სხეულს სითბოს ართმევენ.

რაც უფრო ჩქარია ჰაერის მოლეკულების მოძრაობა (ნიავი, ქარი), იმდენად მეტი სითბო გაიცემა კანიდან. გამტარებლობითა და კონვექციით სითბოს გაცემა შეწყდება მაშინ, როცა კანისა და გარემო ჰაერის ტემპერატურა გათანაბრდება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გარემოს ჰაერის ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიღრე კანის, კონვექცია გამოიწვევს კანის გაცხელებას. რამდენადაც დახურული სადგომის ჰაერი მუდმივ მოძრაობაშია, ხოლო მისი ტემპერატურა კანისაზე დაბალია, კონვექციით სითბოს გაცემა დიდ როლს თამაშობს თერმორეგულაციაში. კონვექციით ინტენსიურად

სითბოს გაცემამ გაციებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ეს რომ არ
მოხდეს, საჭიროა არ დავუშვათ: 1) სადგომში პარის ტემპერა-
ტურის ძლიერი დაცემა; 2). პარის ტენიანობის ზრდა, განსაკუთრებით,
რებით როცა პარი ცივია და 3) გამჭოლი ქარი, განსაკუთრებით,
როცა პარის ტემპერატურა დაბალია, ხოლო მისი ტენიანობა—
აღალი.

რაღიაცით (სითბოს გამოსხივებით) კანიდან სითბოს გაცემა.
როგორც ცნობილია, ყოველი თბილი სხეული გამოასხივებს გრძელ-
ტალიან უხილავ ინფრაჭითელ სხივებს, რა გზითაც ის კარგავს
სითბოს. რაღიაცით გამოყოფილ სითბოს შთანთქავს სხვა ცივი
სხეულები. თბილი კანი (ტემპერატურა 30—36°) ასევე გამოასხი-
ვებს ინფრაჭითელ სხივებს და ამ გზით გასცემს სითბოს. ცხოვე-
ლის კანიდან გამოსხივებულ სითბოს შთანთქავს ცივი კედლები,
იატაკი, ჭერი, ტიხრები და სხვ. თუკი ამ საგნების ტემპერატურა
უფრო მაღალია ვიღრე კანისა, რა თქმა უნდა სითბოს გაცემა არ
მოხდება და პირიქით—რაღიაცით კანი მიიღებს სითბოს. მშრალი
პარი, მიუხედავად მისი ტემპერატურისა, კანიდან რაღიაცით
გამოყოფილი სითბოს უმნიშვნელო ნაწილს შთანთქავს და ამიტომ
რაღიაცით კანიდან სითბოს გაცემის გადიდებისათვის ან შემცი-
რებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ხოლო თუ პარი ტენიანია,
ისე როგორც სხვა საგნები, დიდი რაოდენობით შთანთქავს კანი-
დან რაღიაცით გამოყოფილ სითბოს; ასეთ შემთხვევაში ორგანიზ-
მება შეიძლება ბევრი სითბოც კი დაკარგოს. რაღიაციის გზით ორ-
განიზმის მიერ დიდი რაოდენობით სითბოს დაკარგვის გასაფრთ-
ხილებლად საჭიროა იატაკის, კედლების, ჭერის და სხვა ზედაპი-
რების გათბობა და დაბალი ტემპერატურის პირობებში პარის ტე-
ნიანობის შემცირება. რაღიაციით სითბოს დაკარგვას ამცირებს სა-
დგომში ცხოველების მჭიდროდ განლაგება, უხვი კანქვეშა ცხიმო-
ვანი ქსოვილი, მზის სხივებით დასხივება და სხვ.

აორთქლებით კანიდან სითბოს გაცემა. ორგანიზმიდან ტენი
ორთქლდება კანისა და სასუნთქი ორგანოების საშუალებით. სას-
უნთქი ორგანოებით წყლის აორთქლება უმნიშვნელოა; ამიტომ
ორგანოებულაციაში მთავარი მნიშვნელობა აქვს კანის საშუალე-
ბით წყლის აორთქლებას. წყლის აორთქლება სითბოს ხარჯვას
მოითხოვს, რის შედეგად ორგანიზმი ამ დროს მნიშვნელოვანი რა-

ოდენობით გაცემს სითბოს (როგორც ცნობილია, 1 გ წყლის აორთქლებაზე იხარჯება 0,6 კკლ სითბო).

სასუნთქი ორგანოებით სითბოს გაცემა ხდება წყლის აორთქლებით. როგორც ცნობილია, ამოსუნთქული ჰაერი თითქმის 100%-ით არის გაფერებული წყლის ორთქლით. სასუნთქული არის გათბობაზე. ამდენად, ამ გზით სითბოს გაცემის მოცულობა დამოკიდებულია ჩასუნთქული ჰაერის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე და ფილტვების ვენტილაციის მოცულობაზე. ზოგიერთ ცხოველებში კანიდან წყლის აორთქლება ფრიად შეზღუდულია საოფლე ჭირკვლების სიმცირის გამო (ძალი, კატა, ლორი). ამ ცხოველებში აორთქლებით სითბოს გაცემის მთავარი გზაა სასუნთქი ორგანოები. მაგალითად, ძალები და ფრიანველები, რომლებსაც საოფლე ჭირკვლები არა აქვთ, აჩქარებული სუნთქვით და პირის ლრუდან გარეთ გამოყოფილი ენით ახდენენ წყლის აორთქლებას და სითბოს გაცემას. ფრიანველში წყლის აორთქლება ხდება ბიბილოსა და ლაბაბის საშუალებითაც.

კანით წყლის აორთქლება რთული ფიზიოლოგიური აქტია, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის საშუალებით რეგულირდება. წყალს აორთქლებს კანში განლაგებული საოფლე ჭირკვლები, ხოლო მათი აღზნება ხდება რეფლექტორულად. რეფლექტორული აღზნება ხდება ან შინაგანი პროცესებისა და გალიზიანების, ან კანის სისხლძარღვოვანი და ჭირკვლოვანი სისტემის გარეგანი გამაღიზიანებლების ზემოქმედებით. გარეგანი გამაღიზიანებლებიდან მთავარი მნიშვნელობა თერმულ (სითბო, სიცივე) ფაქტორს აქვს. აორთქლება ხდება საოფლე ჭირკვლების სეკრეციის შედეგად. ნერვული სისტემის სიმპათიკური ნაწილის გაღიზიანება იწვევს ოფლის გამოყოფის შეკავებას, ხოლო პარასიმპათიკური ნერვები — პირიქით — აძლიერებს ოფლის გამოყოფას.

კანი ტენს გაცემს: а) ოფლის სახით და ბ) უხილავი, აეროვანი აორთქლებით. ხილულ ოფლიანობას ტრანსპირაციას უწოდებენ, ხოლო უხილავ აორთქლებას — პერსპირაციას. ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარისხი დამოკიდებულია ცხოველის მდგრადრეობასა და გარემონტველ ფაქტორებზე, პირველ რიგში ჰაერის ტემპერატურასა; ტენიანობასა და მოძრაობის სიჩქარეზე. კანიდან აორთქლებას აფერხებს ჰაერის მაღალი ტემპერატურა და ტენია-

ნობა. თუ გარემოს ჰაერის ტემპერატურა ისეთივეა როგორც კინის, ან აღემატება კიდეც მას, მაშინ სითბოს გაცემის მთავარი გზა აორთქლებაა (ამ გზით გაიცემა მთელი სითბოს 95%). მაღალი ტემპერატურის მქონე გარემოში ცხოველის ხანგრძლივი შენახვა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც დაბალია ჰაერის ტენიანობა, რაც ხელს უწყობს სითბოს გაცემას აორთქლებით. რამდენადაც დახურულ სადგომებში შესაძლებელია ვმართოთ ჰაერის ეს ფაქტორები, ამდენად ცხოველის შენახვის პირობების მოწესრიგებით შეიძლება მიღწეული იქნეს კანიდან აორთქლებით სითბოს გაცემის მართვა. ცხოველებსა და ფრინველში, რომელთა სხეულის ზედაპირი დაფარულია ბალნით ან ბუბულით, კანიდან სითბოს გაცემა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ბალნის საბურეველსა და ბუბულში ჰაერი იმყოფება, რომელიც ცხოველის სხეულის ირგვლივ ჰაეროვან ბალნშია ჰქმნის. ასეთი ჰაეროვანი ბალნში ცხოველს იცავს ჰაერის ტემპერატურის ზეგავლენისაგან, რამდენადაც ჰაერი სითბოს ცუდი გამტარია. ამის გამო ცხოველსა და ფრინველს შეუძლია შეინარჩუნოს სხეულის მუდმივი ცემპერატურა, მიუხედავად გარემოს ჰაერის მაღალი ან დაბალი ტემპერატურისა. სითბოს გაცემაში ბალნის საბურეველის როლი კარგად მეღავნდება პარსვის დროს. პარსვის შემდეგ, პირველ დღეებში სითბოს გაცემა 30%-ით და მეტადაც იზრდება. ეს გარემოება საჭიროა გათვალისწინებული იქნას ცხვრის პარსვის დროს, რათა ისინი ექსტრემალურ პირობებში მოხვედრისას დავიცვათ გაციებისაგან.

ცხოველის ორგანიზმიდან სითბოს გაცემის თუ რომელ გზას აქვს მთავარი მნიშვნელობა, ეს საჭიობი დღემდე საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. მედიცინაში ადამიანის მიმართ დადგენილია, რომ როდესაც ის მოსვენებულ მდგომარეობაში იმყოფება და ჰაერის ტემპერატურა $16-18^{\circ}$ -ის ფარგლებშია, სითბოს გაცემს: აორთქლებით 20—30%-ს, რადიაციით 56—59%-ს და კონვექციითა და გამტარებლობით — 41—44%-ს. რუბნერის მონაცემებით ცხოველის ორგანიზმიდან სითბოს გაცემა შეადგენს: აორთქლებით (კანიდან და სასუნთქი ორგანოებით) — 21%-ს, რადიაციით — 44%-ს, გამტარებლობით და კონვექციით — 31%-ს, ხოლო საკვებისა და ჰაერის გათბობით — 4%-ს. ვ. პარუნინი მეწველი ფურებისათვის ასეთ მონაცემებს გვთავაზობს: აორთქლებით გაიცემა 20%, კონვექციის გამტარებლობით და კონვექციით — 31%-ს, ხოლო საკვებისა და ჰაერის გათბობით — 4%-ს.

ქციით 67,5% და რაღიაციით — 9—13,5%. ა. კოსტინის მონაცემებით ამ ამტიმალური ტემპერატურის პირობებში ცხოველის ორგანიზმიდან სითბოს გაცემა ასე ნაწილდება: აორთქლებით — 21,7%, გამტარებლობით და კონვექციით 31%, რაღიაციით — 43,7%. მომწერლებელ ორგანოებში საკვების გათბობით 1,5%, ფილტვებში ჰაერის გათბობით 1,3% და შარდისა და ფეკალის გამოყოფით — 0,7%.

ორგანიზმის სითბური ბალანსი. ორგანიზმის სითბური ბალანსს უწოდებენ დროის ერთეულში ორგანიზმში წარმოქმნილი და დახარჯული სითბოს შეფარდებას. თუ დროის ერთეულში ორგანიზმში წარმოქმნილი და დახარჯული სითბოს რაოდენობა ტოლია, მაშინ მისი სითბური ბალანსი ნორმალურია და ის 0-ს უდრის. საუზრადლებოა, რომ ყოველთვის ტოლი არაა წარმოქმნილი და დახარჯული სითბოს რაოდენობა. ზოგ შემთხვევაში წარმოქმნილი სითბოს რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე იმავე დროში დახარჯულისა, ან და — პირუკუ. ამიტომაც სითბურ ბალანსს (S) შეიძლება ჰქონდეს პლუს ან მინუს ნიშანი. ცხოველის ორგანიზმის სითბურ ბალანსს ასეთი ფორმულით გამოსახავენ:

$$S = M - R \pm C - E$$

M — სითბოს პროდუქცია და მას რა თქმა უნდა, პლუს ნიშანი აქვს; R და C რაღიაციით და კონვექციით სითბოს გაცემაა და შეიძლება ჰქონდეთ პლუს ან მინუს ნიშანი, რაც შეეხება E-ს ეს აორთქლებით სითბოს გაცემაა და მუდამ მინუს ნიშანი აქვს. რაღესაც S შეადგენს 0-ს, ორგანიზმი იმყოფება თბური წონასწორობის პირობებში.

ჰაერის ტემპერატურის გავლენა ცხოველის ორგანიზმზე. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ორგანიზმი განუწყვეტლივ განიცდის ატმოსფეროს ან დახურული საღვომის ჰაერის ტემპერატურის ზემოქმედებას. ჰაერის ტემპერატურის ზემოქმედების ხასიათი და შედეგი სხვადასხვა ფაქტორზე, პირველ რიგში ტემპერატურის დონეზეა დამკიდებული. ტემპერატურის ხასიათის შესაბამისად იცვლება ორგანიზმში სითბოს პროდუქცია. გარემოს ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურის დროს სითბოწარმოქმნის ცვალებადობის დინამიკას ოთხი ზონა ახასიათებს: ნივთიერებათა გაძლიერებული ცვლის ქვედა ზონა, სითბური ინდიფერენტულობის ზონა, ნივთიერებათა დაქვეითებული ცვლის ზონა და ნივთიერებათა გაძლიერებული ცვლის ქვედა ზონა.

ებული ცვლის ზედა ზონა. ქვედა ზონაში ნივთიერებათა ცვლა და სითბოს პროდუქტია იზრდება ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში. ნივთიერებათა ცვლის ქვედა ზონაში, რამდენადაც ცხოველის სხეულის და გარემოს ტემპერატურა ერთმანეთს უახლოვდება, რეკონიერებათა ცვლა ფიზიოლოგიურ ზღვარს ქვემოთ ეშვება. ნივთიერებათა გაძლიერებული ცვლის ზედა ზონაში, ჰაერის ტემპერატურა ჭარბობს სხეულის ტემპერატურას.

გარემოს ტემპერატურას, რომელზედაც ნივთიერებათა ცვლა და სითბოს პროდუქტია მინიმალურია, სითბური გაურჩევლობის ზონას, ანუ ტემპერატურულ კომფორტს უწოდებენ (ინდიფერენტული ზონა). მას არა აქვს გარკვეული დონე და დამოკიდებულია ქვების დონეზე, ორგანიზმის გამოწრობაზე, წლის დროზე და სხვა ფაქტორებზე და ყოველთვის ცხოველის სხეულის ტემპერატურაზე დაბალია. ცხოველის უხვი კვებისას ის დაბალია, უკმარისი კვებისას — მაღალი, მაღალპროდუქტული ძროხისათვის ის 9—16°-ის ფარგლებშია, ხოლო ცხვრისათვის 5—8°-ისა.

თბური გაურჩევლობის ქვედა და ზედა ზონას, ანუ თერმონეიტრალობას კრიტიკულ ტემპერატურას უწოდებენ. როდესაც ჰაერის ტემპერატურა კრიტიკულზე დაბალია, ცხოველის ორგანიზმში იზრდება ნივთიერებათა ცვლა და სითბოს პროდუქტია. მიუხედავად ამისა, კრიტიკული ტემპერატურის დონე დამოკიდებულია ქვებაზე, ბალნის საბურველის ხარისხზე, კანქვეშა ცხიმის ორგანიზმში, ჰაერის ტენიანობასა და მოძრაობის სიჩქარეზე. ამდენად, დაბალი ტემპერატურის პირობებში ცხოველთა გამოზრდის წარმატება უხვი კვებით აიხსნება.

მრავალი გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ცხოველი რაც უფრო მეტად შეგუებულია გარემო ტემპერატურის ცვალებაზობას, მით უფრო ფართოა სითბური ინდიფერენტულობის ზონა. ცხელი კლიმატის პირობებში მყოფი ცხოველებისათვის ის მაღალი ტემპერატურისაკენ გადაინაცვლებს, ხოლო ზომიერი და ცივი კლიმატის ჯიშებისათვის — დაბალი ტემპერატურისაკენ. ინდიფერენტული ზონის დონეზე მოქმედებს როგორც გარეგანი მიზეზები (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობა, მზის რაღიაცია-ცხოველის კვებისა და დარწყულების ხასიათი და დონე), ასევე შინაგანი მიზეზები (შეფარდება სხეულის მასასა და ზედაპირის ფართს შორის, გამოკვებულობა, ბალნის საბურველის ხასიათი და

სხვ.). ხაზი უნდა გაესვას, რომ უფრო მეტ ადაპტაციას უხოველები ამჟღავნებენ დაბალი ტემპერატურის მიმართ.

საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოყვავების, ასევე მეცნიერებების პრაქტიკის საფუძველზე დადგენილია, რომ უფრო მიზანშეწონილია და ეკონომიურად გამართლებული ცხოველები შევინახოთ ინდიფერენტული ტემპერატურის და ნაც-თიერებათა ცვლის უმნიშვნელო მატების ქვედა ზონის პირობებში. ამ დროს შენარჩუნებულია ცხოველთა ჯანმრთელობა და პროდუ-ქტიულობა და მნიშვნელოვნად მცირდება პროდუქციის წარმოე-ბის ერთეულზე საკვების დანახარჯი.

ბევრი საზღვარგარეთელი მკვლევარი დიდ მნიშვნელობას აძ-ლევს ე. წ. კომფორტულ ტემპერატურას, ანუ ოპტიმალურ ტემ-პერატურას, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველისაგან მაქსიმა-ლური პროდუქციის მიღებას. ასე, მაგალითად, მერქეული ძროხი-სათვის ოპტიმალურ ტემპერატურად მიჩნეულია $10-16^{\circ}\text{C}$, (ხარ-ლასი), $4-24^{\circ}$ (მოტესი), $14-24^{\circ}$ (სუბტენი და ტანიჩური). ძროხის მოზარდისათვის $10-25^{\circ}$ (როგორალი და ჯონსონი), ხბოსათვის — $15-20^{\circ}$; ღორისათვის $12-20^{\circ}$ (სორენსენი); $15-22^{\circ}$ (მოტესი). გოჭისათვის $15-21^{\circ}$ (კინგი), $16-26^{\circ}$ (ხეიტმანი და ავტ.), $20-22^{\circ}$ (სიმეგი). საბჭოთა კავშირში მერქეული ფურებისათვის ოპტიმალურ ტემპერატურად თვლიან $8-16^{\circ}\text{C}$.

ცხოველის ორგანიზმე ჰაერის მაღალი ტემპერატურის გავლე-ნა. როდესაც გარემოს ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად სცი-ლდება ტემპერატურის ინდიფერენტულ ზონას და ცხოველი ხან-გრძლივად იმყოფება ასეთი ტემპერატურის პირობებში, ცხოველის ორგანიზმში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ჰალ-ალი ტემპერატურა აძნელებს კანით სითბოს გაცემას და ის თან-დათანობით გროვდება ორგანიზმში. ნორმალური სითბორი ბალა-ნისის შესანარჩუნებლად ორგანიზმი ამცირებს სითბოს პროდუქ-ციას (ცხოველს მაღალ ეკარგება და ცოტას ჭამს; ნაკლებად მოძრა-ობს, უმეტესად წევს) და შესაძლებლობის ფარგლებში ზრდის სი-თბოს გაცემას (კანის სისხლძარღვების ჰიპერემია). ამ მექანიზმე-ბის წყალობით ხერხდება სითბორი ბალანსის შენარჩუნება. როცა ჰაერის ტემპერატურა უფრო მაღალია და ხანგრძლივად მოქმედ-ებს, ორგანიზმს უკვე აღარ შეუძლია თერმორეგულაციით სით-

გური ბალანსის შენარჩუნება. იწყება ღრმა ცვლილებები. ორგანიზმში დიდი რაოდენობით გროვდება სითბო და იწყება მისი გადახურება, ჰიპერტონია, რაც მთავრდება სითბოს დაკვრით და ცხველი იღუპება. შეუქცევადი გადაგვარებანი ორგანიზმში იწყება მაშინ, როცა ძუძუმწოვრებში სხეულის ტემპერატურა $43-44^{\circ}\text{C}$ მიაღწევს, ხოლო ფრინველში — 47°C . მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივი მოქმედებისას თერმორეგულაციის მოშლის ორი ფაზა აღინიშნება: 1) ფიზიოლოგიური — როდესაც თერმორეგულაციის მექანიზმების წყალობით სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებში რჩება და 2) პათოლოგიური, როდესაც თერმორეგულაციის მექანიზმები უკმარისი ხდება, სხეულის ტემპერატურა ზევით იწევს და ყალიბდება ჰიპერთერმია და სითბური დაკვრა.

ჰიპერთერმიის ასარიდებლად საჭიროა ცხოველებს შეეცემნათ სათანადო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სითბოს გაცემის გაზრდას და სითბოს წარმოქმნის შემცირებას. დახურულ სადგომებში საჭიროა შევამციროთ ჰაერის ტენიანობა, გავზარდოთ მისი მოძრაობის სიჩქარე (ვენტილაცია, კარ-ფანჯრის გაღება), ხალვათად განლაგება, გრილი წყლით უხვად დარწყულება, ულუფის შემცირება. საძოვრული შენახვისას საყარს შემაღლებულ, ნივარიან აღვილებენ. შუადლებზე ცხოველებს ჩრდილში აყენებენ. აძოვებენ დილით ადრე, სამხარზე, ანდა მხოლოდ ღამით. ცხელ ამინდში ცხოველების ხანგრძლივი გადარეცვა არ შეიძლება. კარგია უხვად ცივი წყლით დარწყულება; თუ შესაძლებელია აბანვებენ და სხვ.

ცხოველის ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის მოქმედება. კრიტიკულზე დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივი მოქმედება ფრიად არასასურველ უარყოფით შედეგს იძლევა. დაბალი ტემპერატურა იწვევს ორგანიზმიდან სითბოს გაცემის გადიდებას. განსაკუთდებით მავნედ მოქმედებს მაღალი ტენიანობის მქონე ცივი ჰაერი, როდესაც მისი მოძრაობა ჩქარია. განსაკუთრებით უარყოფითად ეს ფაქტორები მოქმედებენ ახალშობილ ცხოველებზე. რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ განმტკიცებული თერმორეგულაციის მექანიზმები. დაბალი ტემპერატურის ცხოველის ორგანიზმზე მოქმედებას ორი სტადია ახასიათებს: 1) დამცველობითი შეგუების სტადია და 2) დათრგუნვის სტადია. დაბალი ტემპერატურის უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად საჭიროა შემ-

ცირდეს ორგანიზმიდან სითბოს გაცემა. კანიდან სითბოს გაცემის შემცირება ხორციელდება კანის სისხლძარღვოვანი სისტემის შევიწროებით. ამ გზით ორგანიზმს შეუძლია კანიდან სითბოს გაცემა 70%-მდე შეამციროს. ცხოველის კანი სიცივით გაღრმიანების მქაფრად რეაგირებს; ეს განპირობებულია კანში ნერვული რეცეპტორების უხვად არსებობით, რომლებიც სწრაფად რეაგირებენ სიცივით გაღიზიანებაზე. გარდა კანის ასეთი რეაქციისა, სითბოს გაცემის შესამცირებლად ცხოველები ცდილობენ შეამცირონ სხეულის ზედაპირის ფართობი, სუნთქვა ღრმა ხდება, პულსი ნელლება. თუ კანის გაციება სიცივის ზემოქმედებაზე მცირეა, ის ადვილად განიცდის სიცივის მიმართ აღაპტირებას და მისი სისხლძარღვები და ტემპერატურა ნორმას უბრუნდება.

როდესაც კანის სისხლძარღვოვანი და სითბოს გაცემის შემცირების სხვა მექანიზმები უქმარისხი ხდება, ცხოველის ორგანიზმი იწყებს სითბოს პროდუქციის გაძლიერებას. ის ვლინდება კანისა და კუნთების კანკალით, ენერგიული მოძრაობით და ყველა კუნთის ტრონუსის ამაღლებით. ამ პროცესების შედეგად იზრდება მაღალ; ცხოველი აძლიერებს საკვების მიღებას, კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, განსაკუთრებით კი ღვიძლის მოქმედებას. ამგვარად, ჰერის ტემპერატურის უმნიშვნელო დაცემა უხვი კვების პირობებში, თუ ცხოველის შენახვის პირობები კარგია, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს მათ პროდუქტიულობას და ხელს უწყობს დაბალი ტემპერატურის მიმართ ორგანიზმის გამოწრობას. მაგრამ ტემპერატურის კრიტიკულზე ქვემოთ დაცემა, მართალია ზრდის ნივთიერებათა ცვლას ($\text{ძროხაში } 2-3\%$, ღორჩილში 4% -ით, ტემპერატურის ყოველ ერთ გრადუსზე). მაგრამ მნიშვნელოვნად ($15-50\%-ით$) ზრდის საკვების ხარჯვას; რაც ეკონომიურად გაუმართლებელია. თუ მაგალითად $35-70$ კგ ცოცხალი მასის მქონე ღორჩილში მატემალური $20-22^\circ$ პირობებში ცოცხალი მასის საღელამისო მატება 900 გ-ს შეაღგენს, ტემპერატურის $4,5-5^\circ$ -მდე დაცემისას 500 გ-ით მცირდება; ხოლო საკვების ხარჯვა $1,5-2$ -ჯერ იზრდება. კვერცხმდებლობა ტემპერატურის 12° -დან $5,5^\circ$ -მდე დაცემისას $12\%-ით$ მცირდება. ასევე აღინიშნება ფურებში წველადობის შემცირება და მოზარდის ზრდა-განვითარება. ცხოველის, განსაკუთრებით მოზარდის ჯანმრთელობაზე ფრიად ცუდად მოქმედებს

ტემპერატურის მძაფრი ცვალებადობა, როდესაც ტემპერატურა
სწრაფად ეცემა. დაბალი ტემპერატურის პირობებში ეცემა, როგორ
ნიზმის ბუნებრივი რეზისტრობა; თავს იჩენს ზედა სასუნქტი
გზების კატარი, ბრონქოპნევმონია, დისპეფსია, ასევე ცურის, სან-
სრების, კუნთების, ნერვული სისტემის და სხვ. დაავადება.

ძალიან დაბალი ტემპერატურა და მისი ხანგრძლივი მოქმე-
დება ცხოველის ორგანიზმზე იმდენად არღვევს თერმორეგულაც-
იას, რომ სხეულის ტემპერატურა ეცემა $30-32^{\circ}$ -მდე და ვითარ-
დება ორგანიზმის გაციება, ანუ ჰიბიორმია. ამ დროს აღინიშნება
ძლიერი დათრგუნვა, ძილმღვიძრობა და ორგანიზმის ყოველგვარი
სასიცოცხლო ფუნქციების დაჭვებითება; ეცემა სისხლის წნევა, იწ-
ყება დამბლები და ცხოველი კვდება. ძალიან დაბალი ტემპერა-
ტურის ხანგრძლივ ადგილობრივ მოქმედებას, მოყინვაც შეუძლია
გამოიწვიოს. უფრო ხშირად ცხოველებს მოყინებათ ყურები, სა-
თესლე პარკი, ძუძუები, კუდი, პრეპუციუმი და კიდურების ქვედა
ნაწილი.

იმისათვის, რომ ცხოველები დავიცვათ დაბალი ტემპერატუ-
რის მავნე გავლენისა და გაციებისაგან, საჭიროა მათი შენახვა კე-
თილმოწყობილ სადგომებში; კარგად უნდა ვკვებოთ, გამოვაწრ-
თოთ დაბალი ტემპერატურის მიმართ; აუცილებელია ცხოველთა
სადგომებში დავიცვათ ტემპერატურული ნორმატივები.

დახურულ სადგომში ჰაერის ტემპერატურის დინამიკა. დღე-
ღამის განმავლობაში აღინიშნება ტემპერატურის მნიშვნელოვანი
მერყეობა დღისით და ნაკლები — ღამით. უფრო მაღალ დონეს
აღწევს ღამით და დილით, ხოლო დღის მანძილზე ნაკლებია. ვერ-
ტიკალურ ჭრილში ტემპერატურა მაღალია ჰერთან და დაბალი
იატაკთან. როგორც ცნობილია, ქვედა ზონაში გამთბარი ჰაერი კო-
ნცენტრით ზემოთ მიისწრაფვის. ამდენად, დახურული სადგომში
ყველაზე ცივი ზონაა ცხოველთა დგომისა და წოლის ადგილი. ია-
ტაკსა და ჰერთან ტემპერატურას შორის განსხვავება მნიშვნელო-
ვანია მაშინ, როცა იატაკი და კედლების ქვემო ნაწილი დათბუნე-
ბული არ არის, ხოლო ჰერს აქვს სითბოგაუმტარი საფენი. დასა-
შვებია იატაკსა და ჰერს შორის ტემპერატურის სხვაობა $2,5-3^{\circ}$ -
ის ფარგლებში და ტემპერატურის მატება ყოველ 1 მ სიმაღლე-
ზე არ უნდა აღემატებოდეს $0,5-1^{\circ}$ -ს.

ჰორიზონტალურ ჭრილში ტემპერატურა ცვალებადობს ცენტრიდან კედლისაკენ. ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა გარეგან კედლებთანაა. რამდენადაც დიდია ტემპერატურათვის გასტას სხვაობა, იმდენად გაძნელებულია ჰაერის ცენტრილაცია. ცივი კედლების ზედაპირზე ხშირად ნამის წერტილი ჩნდება.

ცხოველთა დახურულ საღვომებში აღინიშნება ტემპერატურის სეზონური, თვის მანძილზე და ზოგჯერ უფრო მოკლე დროშიც ცვალებადობა. ამაზე გავლენას ახდენს ატმოსფეროს ტემპერატურა, ზღუდების თბოდაცვითი თვისებები და ვანტილაციის მოცულობა. ცხოველთა დახურულ საღვომებში დღის მანძილზე ჰაერის ტემპერატურის დიდი ცვალებადობა დასაშვები არ არის. ზომიერი ტემპერატურული რევიმის დაცვა აუცილებელია უშუალოდ ცხოველის ბინაღრობის ზონაში. ცხოველთა დახურული საღვომების ჰაერის ტემპერატურის ნორმატივები წიგნის ბოლოში დართულ ცხრილებშია მოცემული.

ჰაერის მენიანობა

წყლის ორთქლის შემცველობას ჰაერში ტენიანობას უწოდებენ. წყლის ორთქლს მუდამ შეიცავს როვორც ატმოსფეროს, ასევე ცხოველთა დახურული საღვომების ჰაერი. ჰაერში არსებული წყლის ორთქლის რაოდენობა დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და მოძრაობის სიჩქარეზე; ასევე მნიშვნელობა აქვს წლის დროს, ამინდს, აღილის, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს და ასაორთქლებელ ზედაპირებს (მდინარე, ტბა, ზღვა და სხვ.). ჰაერში წყლის ორთქლის შემცველობა ფრიად ცვალებადია და ის ატმოსფეროს ჰაერის ყველაზე არამდგრადი ფაქტორია.

თუ ჰაერში წყლის ორთქლის რაოდენობა არ აღწევს გაჭერების ზღვარს, მაშინ წყლის ორთქლი ჰაერში იმყოფება ე.წ. გადახურებულ მდგომარეობაში და ასეთ ჰაერს კიდევ შეუძლია შეითავსოს წყლის ორთქლის გარკვეული რაოდენობა სანამ არ მოხდება მისი სრული გაჭერება. როდესაც წყლის ორთქლის რაოდენობა გაჭერების მაქსიმუმს მიაღწევს, ჰაერი მაქსიმალურად იულინთება ტენით. გამაჭერებელ წყლის ორთქლს აქვს მაქსიმალური სიმჭვრივე და წონა, რომლებიც მატულობს ტემპერატურის ზრდის კვალობაზე და კლებულობს მისი დაქვეითების დროს. თუ ჰაე-



აში წყლის ორთქლის რაოდენობა ჭარბობს გაფერების ზღვაზე
ჰაერი ხდება წყლის ორთქლით გადაჭერებული; ამ დროს ციცაბა
წყლის ორთქლის კონდენსაცია და ჩნდება ნისლი. წყლის ორთქ-
ლის სიმკვრივე, ჰაერის სიმკვრივესთან შედარებით, რომელიც
1-ს შეადგენს, უფრო ნაკლებია და 0,623-ის ტოლია: მაშასადამე,
ტენიანი ჰაერი, მშრალ ჰაერზე მსუბუქია და მისი ბარომეტრული
წნევა ეცემა. ასე, მაგალითად, 20° -ზე და 760 მმ წნევაზე 1 მ³ ჰაე-
რი იწონის 1205 გ, ხოლო წყლის ორთქლით გაფერებული — 1196
გ-ს.

ცხოველთა დახურულ სადგომებში, ჰაერში წყლის ორთქლის
რაოდენობა ჩვეულებრივ უფრო მეტია, ვიდრე ატმოსფეროში. დახურული სადგომის ჰაერში წყლის ორთქლის დაგროვების წყა-
როა: 1) ატმოსფერული ჰაერის ტენი (დაახლოებით 10—15%),
სველი ზედაპირებიდან (იატაკი, საკვებურები, სარწყულებლები და
სსვ.) აორთქლებული წყლის ორთქლი; მაგრამ ჰაერის დატენიანე-
ბის მთავარი წყარო დახურულ სადგომებში არის ცხოველის სხე-
ულიდან გამოყოფილი ტენი (კანით და რიგი გამომყოფი ორგანო-
ებით); დახურული სადგომის ჰაერის ტენიანობის ეს წყარო 75%-
მდე აღწევს. რაც უფრო მეტი რაოდენობის ცხოველებია მოთავ-
სებული დახურულ სადგომში, აქ მით უფრო მეტი რაოდენობით
გროვდება ჰაერში ტენი. ცხოველთა ფიზიოლოგიდან ცნობილია,
რომ დახურული სადგომის ჰაერის ოპტიმალურ ტემპერატურაზე
400 კგ მასის მქონე ფური დღე-ლამეში გამოყოფს 8,7—13,4 კგ
წყლის ორთქლს, მსხვილი მუშა ცხენი — 7—8,8, ძუძუს მაწვა-
რი — 2,2, ცხვარი — 1—1,25 კგ-ს. ცხოველთა დახურული სად-
გომის ჰაერის ტენიანობის 10—25% სველი ზედაპირებიდან აორ-
თქლებასთანაა დაკავშირებული. ყველაზე დიდია ეს წყარო სალო-
რეში (25%); დანარჩენი სახის ცხოველთა სადგომებისათვის, თვლი-
ან, რომ ის 10%-ს შეადგენს. ეს ოდენობანი გაანგარიშებულია
ცხოველების მიერ გამოყოფილი ორთქლის რაოდენობის მიმართ.
ტ. სტაროვის დაკვირვებამ გაუთბობი სალორის ჰაერის ტენიანო-
ბის დინამიკაზე უჩვენა, რომ თუ ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა
90% და მეტია, იატაკიდან აორთქლება წყდება, ხოლო თუ ის 70%-
მდე ეცემა, მკვეთრად მატულობს.

ჰაერის (ატმოსფეროს, დახურული სადგომის) ტენიანობის
დასახასიათებლად ჰიგიენის პრაქტიკაში ზოგიერთი ე. წ. ჰიგრო-

მეტრული მაჩვენებლები, ანუ ოდენობანი გამოიყენება. სუთებია: ჰაერის აბსოლუტური, მაქსიმალური, შეფარდებითი ტენიცენტრა, გაუღენთვის დეფიციტი და ნამის წერტილი.

აბსოლუტურ ტენიანობას (E) უწოდებენ 1 მ³ ჰაერში არსებულ წყლის ორთქლის რაოდენობას გამოსახულს გრამებში მოცემულ ტემპერატურაზე. ეს იგივე წყლის ორთქლის სიმკვრივეა სინდიკის სვეტის მშვევისას გამოსახული.

მაქსიმალური ტენიანობა (E) წყლის ორთქლის ზღვრული რაოდენობა 1 მ³ ჰაერში, გრამებში მოცემულ ტემპერატურაზე, ანდა მისი სიმკვრივე სინდიკის სვეტის მშ-ში.

შეფარდებითი ტენიანობა (R) არის აბსოლუტური ტენიანობის შეფარდება მაქსიმალურთან და პროცენტებში გამოისახება; მა:

$$\text{სი ფორმულა } R = \frac{e}{E} \cdot 100.$$

გაუღენთვის დეფიციტი (Δ) მოცემულ ტემპერატურაზე მაქსიმალურ და აბსოლუტურ ტენიანობას შორის სხვაობაა — $\Delta = E - e$.

ნამის წერტილი (T), ეს არის ტემპერატურა, რომელზედაც ჰაერში არსებული წყლის ორთქლი აღწევს სრულ გაჭერებას და ჩნდება ნისლი და წყლის წვეთები (ცივი საგნების ზედაპირზე ნამის კონდენსაცია წყლის წვეთების სახით).

ჰაერის ჰაეტტიკაში ასხვავებენ მეტეოროლოგიურ და ფიზიოლოგიურ ჰაერომეტრულ მაჩვენებლებს. მეტეოროლოგიური ჰაერომეტრული მაჩვენებლები ატმოსფეროს და დახურული საღვანის, ჰაერისათვისაა დამახასიათებელი.

იმავე მაჩვენებლებს, რომლებიც ცხოველის კანის ტემპერატურის მიმართა (30—36°) დაღვენილი, ფიზიოლოგიურ ჰაერომეტრულ მაჩვენებლებს უწოდებენ. როგორც ცნობილია, ცხოველის ბალნის საბურველში ჰაერი იმყოფება. ჰაერის ეს მასა ცხოველის სხეულის ზედაპირზე ქმნის ჰაერის ბუფერულ ბალიშაკს, რომელიც სითბოსა და ტენს იღებს კანიდან. აი, სწორედ ამ ინდივიდუალური ჰაეროვანი ბალიშაკის დასახასიათებლად გამოიყენება ფიზიოლოგიური ჰაერომეტრული მაჩვენებლები. რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში კანის ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე გარემო ჰაერის, ფიზიოლოგიური ჰაერომეტრული მაჩვენებლები

რიცხობრივად უფრო დიდია, ვიდრე მეტეოროლოგიური. გამომაკლისს შეადგენს მხოლოდ შეფარდებითი ტენიანობა. სწორედ ასეთი შეფარდება უზრუნველყოფს კანის საშუალებით სითბოს გაცემას, განსაკუთრებით აორთქლებით. ისინი ახასიათებენ ჰაეროვაიანი გარემოცვის მდგომარეობას, ორგანიზმის ინდივიდუალურ მიკროკლიმატს და განაპირობებენ ცხოველის ორგანიზმის თბურ მდგომარეობას.

პიგრომეტრული მაჩვენებლების ოდენობაზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურა. ჰაერის ტემპერატურის მომატება იწვევს აბსოლუტური ტენიანობის გადიდებას. ჰაერის ტემპერატურასა და შეფარდებითი ტენიანობას შორის უკუშექცევითი დამოკიდებულებაა; რაც მაღალია ტემპერატურა, მით ნაკლებია შეფარდებითი ტენიანობა. ცხოველთა დახურულ სადგომებში ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 50-დან 85% ფარგლებში მერყეობს, ხოლო ზოგჯერ შეიძლება მეტიც იყოს. რაც შეეხება აბსოლუტურ ტენიანობას, ოპტიმალურ ტემპერატურაზე ის 5—9-ე შეადგენს და ზოგჯერ 15-საც აღწევს. აბსოლუტური ტენიანობა ჭერეს მიმართულებით, ზევით იზრდება, ხოლო შეფარდებითი ტენიანობა, პირუკუ, იატაკისკენ.

გაუღენთვის დეფიციტი გვიჩვენებს თუ რამდენად მშრალია ჰაერი. გაუღენთვის დეფიციტის გაზრდას ხელს უწყობს ტემპერატურის მომატება. გაუღენთვის დეფიციტის გაზრდა აძლიერებს აორთქლებას და ხელს უწყობს გამოშრობას. ნამის, წერტილი მიუთითებს წყლის ორთქლით ჰაერის გაფერებაზე. ნამის წერტილის ტემპერატურა მატულობს ჰაერის ტემპერატურის გაზრდასთან ერთად. ამიტომ თუ ცხოველთა სადგომში ნამის წერტილი იქნება შემჩნეული (ცივი საგნების ზედაპირებზე ნამის გაჩენა), მისი მოხსის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ჰაერის ტემპერატურის ამაღლება.

ჰაერის ტენიანობის ჰიგიენური მნიშვნელობა ძალიან დაზიან. სხვა მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან ერთობლიობაში ჰაერის ტენიანობა საზღვრავს ჰაერის ფიზიკურ მდგომარეობას, ამინდს, ძლიმატს, მიკროკლიმატს; შესაბამისად ის ცხოველის ორგანიზმზე პირდაპირ და არაპირდაპირ მძლავრად მოქმედებს (ამინდის, ნიადაგის, წყლის; მცენარეულობის სახით).

Յայրուս ֆյուլուս առտյելուս პորֆապորո გազլենա օմա՛շի մքցոմա-
հյուծս, հռմ Յայրուս Երենունօննա Ցեմոյմեդցին առցանչմուս ողջ-
մորկյալլապությ, կը րժուա, Սոտծու գացյաթյ. յև პորցել հոց՛ն
ցիցի յանու ճա Սասունցի առցանցուատ ֆյուլուս առտյելլեցմաւ առ-
ցանչմուծան ֆյուլուս առտյելլեցմաւ ხարուսես ճամոյությունու-
թյ, յանուանուննաթյ, մոժրաուննաթյ ճա հա տյմա լինդա տցուուն առցան-
չմուս ցոնուուղցուուր մքցոմարյուննաթյ.

Ծուած Մեցարուցցուուտ Երենունօննա (85% ճա մերու) սարկոցուուտաւ մոյմեցցին առցանչմությ ճա Սոտծու գացյաթյ, հռցորու յարյմո-
ւուս մալալ, ասեց ճածալ Երմերաթյուրաթյ. ցեռցելու ութուումա-
լուր Երմերաթյուրուլ პորցեցմաւ Մենակցուսես, մուլու Սոտծոցցու-
մուս 20—25% առտյելլեցմաւ մուծուս.

Ֆյուլուս առտյելու յայլենուու Յայրունա յարյմուուս պորց-
եցմու ցեռցելու Մենակցուս դրու, արցանչմուծան առտյելլեցմու
Սոտծու յացյա Մեյլլեցմուու. ամուումաւ մալալու Երենունօննա,
հռուս Յայրուս Երմերաթյուրաւ մալալու, եռլու մոժրաուննա Սոհյա-
հյ մուրու, ովցու Սոտծու յացյամուս Մեյացմաւ ճա Յուցրուումուս,
հաւ Մյուուլեցմաւ Սոտծու ճակցուու ճամտացրուու. տօլու (Երմերա-
թյուրա ութուումալությ մերու) ճա Եյստիոն սացցումմու Մենակցուսես,
մածա յեցուուցմաւ, ցեռցելու մուցունցմուու, Մեյացմուու նոյուու-
հյեատա ցուլա ճա Մեսածամուսաւ, յցյամա პրուցույթուուննա, ծոյնց-
հուու հրեթուստյենթյունուս սեցացաւեցա ճաացացմաւ մոմարտ. յանսայու-
տրյեցմու յուլա մոյմեցցին Յայրուս մալալու Երենունօննա, հռուս Եր-
մերաթյուրա ճածալու. սցելու Յայրուս տօլուցուալուս 10-չյը մերու,
յուլու մշրալուս. ամուումաւ Եյստիոն Յայրու ճածալ Երմերաթյուրաթյ
գուցու հառցենուուտ Սոտծու արտյեցս ցեռցելուս սեցուլս (հալու-
ցուու), յուլու ասեուց Երմերաթյուրուս մյոնք, մշրալու Յայրու.

Ճածալու Երմերաթյուրուս մյոնք Եյստիոն Յայրուս պորցեցմաւ
ցեռցելու Մենակցա Ցրուու սակցու ხարչուս, ամուուրյեցմաւ პրուցույթ-
ուուննա, ցուլքալու մասուս մարտյեցմաւ: յցյամա մարտյուուս ხարուսես.
ցեռցելուս յեցուուցմաւ սակցու մոնցուու ճա առցուեցմաւ լին-
արու, սուելու յրուուրուություննա ճա Յեմոցլուննա հառցենուս
ճա սեց. Յայրուս Երենունօննա 90—95%-մու յաթրու սցեմս ցեռցե-
լու პրուցույթուուննա ճա եցլս յբյուու ճաացացմաւ օլմուց-
նյուաս.

ი. ხრაბუსტოვსკის ცდებით დაღგენილი იქნა, რომ 85% ზევით ჰაერის ტენიანობის ყოველი 5%-ით გაზრდა ფურებში წველადობას ამცირებს 1,43 კგ-ით, ხოლო თუ ჰაერი მთლიანად გაუდენდლია წლის ორთქლით, წველადობა ცეცხა 4,29 კგ-ით. ერთ კერძო ჩიმენტში ღორების ერთ ჯგუფს ინახავდნენ მაღალი ტენიანობის (90—100%) და დაბალი ტემპერატურის პირობებში (1—9°), ხოლო მეორე ჯგუფს 65—80% შეფარდებოთ ტენიანობის და 8—12° ტემპერატურის პირობებში; ცხოველთა მოვლა-კვების პირობები ერთნაირი იყო. ცდის შედეგად დადგენილ იქნა, რომ პირველი ჯგუფის ქუბებისა და ბურვაკების ფიზიოლოგიური მაჩვენებლები ძალიან ცუდი იყო. ამ ჯგუფის ცხოველებში დაბალი იყო: კანის ზედაპირის ტემპერატურა 21—30%-ით, ჰემოგლობინი 10—18%-ით, ერითროციტები — 9—13%-ით; ხოლო პულსისა და სუნთქვის სიხშირე გაზრდილი ჰქონდათ; პულსი — 4—9% და სუნთქვა — 20—24%. ცოცხალი მასის მატება 10—28%-ით ნაკლები იყო. ცოცხალი მასის მატებაზე საკვების ხარჯვა ამ ჯგუფისათვის ყოველ 1 კგ-ზე 6—12 საკვებ ერთეულს აღწევდა, მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფში ის არ აომატებოდა 4,5—5,5 საკვებ ერთეულს. დიდი იყო აგრეთვე ძუძუთა და ასხლეტილი გოჭების დახოცვა (12—28%-ით). ჰაერის მაღალი ტენიანობა არა მარტო ცხოველის ორგანიზმები მოქმედებს უარყოფითად, ის ასევე ძალიან სცემს სადგომის თბოტექნიკურ მაჩვენებლებს; ნესტიანდება კედლები, ჭერი, ტიხრები; მათზე ფეხს იკიდებს სხვადასხვა პათოგენური სოკოები და ზაქტერიიები და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ როგორც მაღალი, ასევე დაბალი ტემპერატურის პირობებში ცხოველები მშრალი ჰაერის მოქმედებას უფრო კარგად იტანენ, ვიდრე სველისა (ნესტიანის). მაღალი ტემპერატურის პირობებში მშრალი ჰაერი აძლიერებს სითბოს გაცემას, ხოლო ნესტიანი ჰაერი კი პირიქით — იწვევს სითბოს გაცემის გადიდებას. მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ არც ძალიან მშრალი ჰაერია ხელსაყრელი (30—40%-ზე ნაკლები), რადგან ამ დროს ძლიერდება ოფლიანობა და ორთქლება; ამას მოსდევს კანისა და ლორწოვანი გარსების კაშრობა და ძლიერ ეცემა გადამდებ დაავადებათა აღმძვრელების მიმართ ორგანიზმის რეზისტენტობა. იატაკის ზედაპირის, ასევე ნიადაგის ზედაპირის ძლიერი გამოშრობა ხელს-უწყობს ჰაერში

დიდი რაოდენობით მტვრის გაჩენას, რაც რა თქმა უნდა სასურველი არ არის.

ამგვარად, ჰაერის განსაზღვრული დონის ტენიანობა, რომელიც შეესაბამება ცხოველის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგრადობას, მისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცხოველთა სადგომებში ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ყველაზე უფრო სასურველად ითვლება 50—75%-ის ფარგლებში.

ცხოველთა დახურულ სადგომში ჰაერის ტენიანობის სასურველ დონეზე შენარჩუნების მთავარი პირობაა სადგომის მშენებლობის დროს თბოტექნიკურ მოთხოვნილებათა დაცვა, ხოლო ექსპლუატაციის ჰერიონდში ნორმალური მიკროკლიმატის შექმნა და სადგომის ცხოველებით დატვირთვის ნორმების უზრუნველყოფა. სადგომის ექსპლუატაციის ჰერიონდში სისტემატურად უნდა ვებრძოლოთ ჰაერის ტენიანობის ზრდის წყაროებს; საჭიროა კედლებისა და ჭერის დროულად დათბუნება, რომ მათზე ნამი არ გაჩნდეა; ნაკელის, წუნწუხის, საკვების ნარჩენის სისტემატური გატანა, ქვეშსაფენის გამოცვლა; არ დავუშვათ იატაკზე ბლომად წყლის დაღვრა და მისი აორთქლება; საჭიროა გამოვიყენოთ ტენშთანთქმის დიდი უნარის მქონე ქვეშსაფენი (ტორფი, ხორბლის ჩალა). აუცილებელია მკაცრი კონტროლი კანალიზაციასა და ენტილაციის ფუნქციონირებაზე. ყველაზე კარგ შედეგს ვაღწევთ მაშინ, როდესაც ეს ღონისძიებანი კომპლექსურად გამოიყენება.

ჰაერის მაღალ ტენიანობასთან ბრძოლის საჭმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს კარგად გამართული სავენტილაციო მოწყობილობანი და მათი წესიერი ფუნქციონირება. ყველაზე ეფექტურია ელექტროვენტილაცია მიღებული ჰაერის კალორიფერებში გათბობით. ჰაერის ტენიანობასთან ბრძოლის კარგ საშუალებას წარმოადგენს მშრალი, დიდი ტენტევადი ქვეშსაფენი. ა. დანილოვის ცნობით, კარგი ტორფის ქვეშსაფენი ჰაერის შეფარდებით ტენიანობას 8—12%-ით ამცირებს.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჰაერის მაღალ ტენიანობასთან ბრძოლის ჩამოთვლილი ღონისძიებანი საქმარისი არ არის, შეიძლება გამოვიყენოთ ჩაუმჯრალი კირი ფხვნილის სახით (3 კგ კირს უნარი აქვს ჰაერიდან შთანთქას 1 ლ წყალი). ჩაუმჯრალ კირს ყუთებში ყრიან და სადგომის კუთხეებში ათავსებენ ისეთ სიმაღლე-

ზე, რომ ცხოველი ვერ მიწვდეს. ცხოველების დაბმით შენახვის შემთხვევაში, კირი შეიძლება დერეფნებში მოაყარონ (ღამით, ან ცხოველთა მოციონს შორის შუალედებში). ჩვეულებრივად, გრძელ ნახერხში აურევენ და ისე მოაყრიან. სამ ვედრო ნახერხში გამოგად უნდა აირიოს ერთი ვედრო კირის ფხვნილი, რომელსაც 1 სმ სისქის ფენად მოაყრიან დერეფნებს. ამას აკეთებენ ღამით. დილით ამ ნარევს მოაყრიან სუფთა ნახერხს. ამ საშუალებით ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა შეიძლება 6—10%-ით შევამციროთ.

ტემპერატურა-ტენიანობის ინდექსი (ტტი). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰაერის ტემპერატურა-ტენიანობის ინდექსი მნიშვნელოვანი მეტეოროლოგიური ფაქტორია. ჰაერის ტემპერატურა-ტენიანობის ინდექსს საზღვრავენ ფორმულით: $T_{VI} = T_c - (0,55 - 0,55B_0)$. (T_c — 58). ამ ფორმულაში T_c მშრალი თერმომეტრით ნაჩვენები ტემპერატურაა. B_0 — კოეფიციენტია, რომელიც მიიღება შეფარდებითი ტენიანობის 100-ზე გაყოფით. როგორც ერთი ექსპერიმენტით იქნა დადგენილი, ტტ დიდ გავლენას ახდენს ფურრების განაყოფიერებაზე. მაღალი ტტი მოქმედებს როგორც დეპრესორული ფაქტორი. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში, ცხოველთა ჰიგიენიში ტტი ნაკლებად ცნობილი და გამოყენებული იღენობაა.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის ნორმატივები ცხრილებშია მოცემული.

ჰაერის მოძრაობა

ატმოსფეროს ჰაერი განუწყვეტილ მოძრაობაშია; ჰაერის მოვალების ტურბულენტური აღრევიდან დაწყებული, აღინიშნება ჰაერის მასის სხვადასხვა სიჩქარით ერთი წერტილიდან მეორისაკენ გადანაცვლება. ატმოსფეროს ჰაერის მოძრაობა გაპირობებულია მზის სხივებით დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გათბობით. ამის საფუძველზე ყალიბდებიან წერტილები განსხვავებული ტემპერატურით და წნევით. როგორც წესი, დაბალი ტემპერატურის მქონე წერტილიდან, სადაც წნევა მაღალია, ჰაერი იწყებს გადანაცვლებას მაღალი ტემპერატურის მქონე წერტილისაკენ, სადაც წნევა დაბალია. ჰაერის ასეთი გადანაცვლება — მოძრაობა ხდება როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური მიმართულებით. ქარის სიჩქარეს (ჰაერის მასის ცენტრიკალური გადანაცვლება) საზ-

ღვრავენ მანძილით, რომლითაც ის გადაინაცვლებს დროის ქრთე-
ულში. ჩვეულებრივად, ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს საზღვრულენ
მეტრებში ერთ წამში (მ/წ). ფართოდაა აგრეთვე გავრცელებული
ჰაერის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა ბალებში — ბოლო რ-
ტის თორმეტბალიანი შკალით.

ატმოსფეროს ჰაერის მოძრაობის სიჩქარე დიდ ფარგლებში
მეტყეობს; ზოგჯერ ის მეტრის რამდენიმე მეტრედს შეადგენს,
ხოლო ზოგჯერ აღწევს 30—60 მ-საც (ქარიშხალი, ქარბორბალი).
ქარის მიმართულებას ადგენენ ჰორიზონტის წერტილიდან, საიდ-
ანაც ქარი უბერავს რუმბებში. მხარეების შესაბამისად მათი აღნი-
შვნა ხდება ლათინური ან მშობლიური აღფაბეტის ასოებით. ძაგ-
ალითად: ჩრდილოეთი „ჩ“-თ N-ით, სამხრეთი — „ს“, S-ით;
აღმოსავლეთი — „ა“ E, დასავლეთი — „დ“ W. გარდა ძირითადი
რუმბებისა, ქარს აგრეთვე აღნიშნავენ დამატებითი საშუალები-
თაც, ე. წ. შუალედური რუმბებით, მაგალითად, ჩრდილო-აღმოსა-
ვლეთი „ჩა“, ან NE, სამხრეთ-აღმოსავლეთი — „სპ“ — SE,
სამხრეთ დასავლეთი — „სდ“ SW, და ა. შ., საყურადღებოა, რომ
ყოველ პუნქტში აღინიშნება ჰორიზონტის მიმართ ქარის ბერვის
სიხშირე. ამა თუ იმ პუნქტში ქარის მიმართულების ხასიათის ვრა-
ფიცულ გამოსხვას, ქარის ვარდს ეძახან. ქარის ვარდს ადგენენ
ორი წლის მანძილზე (ზოგჯერ სეზონურ და თვის მონაცემებით)
ქარის მიმართულების აღრიცხვით. ქარის ვარდის შედგენას დიდი
მნიშვნელობა აქვს მეცხველეობის მეურნეობის და ცხოველთა
საღგომების გასაშენებლად ნაკვეთის შერჩევის დროს. ის აგრეთვე
გათვალისწინებული უნდა იქნას ცხოველებისათვის ბანაკების და
საყარის მოწყობისას. ჩრდილოეთის განედის 30° -მდე გაბატონე-
ბულია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, 30 -დან 60° -მდე — სამხ-
რეთ-დასავლეთის და 60 -დან 90° -მდე, ისევ ჩრდილო-აღმოსავლე-
თის. ზღვისპირა და მთიან რეგიონებში აღინიშნება აღვილობრივი
ქარები; დღისით ზღვიდან უბერავს ხმელეთისაკენ, ხოლო ღამით
პირიქით — ხმელეთიდან ზღვისაკენ; დღისით დაბლობიდან ქარი
უბერავს მთებისაკენ, ხოლო ღამით — მთიან ბარისაკენ.

თავისუფალი ატმოსფეროს ქარი, როგორც ამინდის ფაქტორი,
ცხოველის ორგანიზმზე მრავალმხრივ პირდაპირ და არაპირდაპირ
გავლენას ახდენს. განსაკუთრებით ქარი გავლენას ახდენს კანი-
დან სითბოს გაცემასა და გაციებაზე. აქ მნიშვნელობა აქვს ჰაერის

ტემპერატურას, მოძრაობის სიჩქარეს და ტენიანობას. თუ მოძრავი ჰაერის მასის ტემპერატურა კანის ტემპერატურაზე დაბალია, ქანი არღვევს რა ცხოველის ორგანიზმის ინდივიდუალურ ჰაეროვან ბალიშაქს, აშიშვლებს კანს და ხელს უწყობს ცივი ჰაერის ჰემი ქმედებას კანზე. ეს იწვევს სითბოს გაცემის გადიდებას კონვექციით და ასევე ოორთქლებით. თუ მოძრავი ჰაერის მასის ტემპერატურა ახლოა კანისა და ბუფერული ჰაერის ტემპერატურასთან, როდესაც სითბოს გაცემა წყდება ან მნიშვნელოვნად მცირდება, მოძრავი ჰაერი ახდენს სითბოს გაცემის შემცირების მნიშვნელოვან კომპენსირებას, კონვექციის როლის ამაღლებით. როცა მოძრავი ჰაერის მასის ტემპერატურა აღმატება კანისა და ბუფერული ჰაერის ტემპერატურას, ამას შეიძლება მოჰყვეს კონვექციით სითბოს გაცემის შემცირება და კანის გაცხელებაც კი. ასეთ შემთხვევაში ძლიერდება სითბოს გაცემა ოორთქლებით.

ჰაერის მოძრაობა, ქარი საყურადღებოა ცხოველთა საძოვრული შენახვის დროს. ზომიერი ქარი დადებითად მოქმედებს ცხოველის ორგანიზმზე, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში. ცივი და ნესტიანი ქარი სასურველი არ არის. მას შეუძლია ცხოველის გაციება გამოიწვიოს. საყურადღებოა კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ცდები, რომლებიც ორ წელიწადს გრძელდებოდა. დადგენილი იქნა, რომ კვებისა და დარწყულების თანაბარ პირობებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა $31-32^{\circ}$ -ს აღწევს, ცხოველების შენახვა ბაჟში, სადაც ვენტილატორია მოწყობილი და ჰქმნის ჰაერის მოძრაობას $1,6 \text{ მ}/\text{მ}^2$ სიჩქარით, სასუქი ცხოველების ცოცხალი მასის სადლელამისო მატება $1075-1083$ გ-ს შეადგენს, ხოლო მეორე ბაჟის ცხოველებში, სადაც ჰაერის მოძრაობა $0,2 \text{ მ}/\text{მ}^2$ -ია, მასის მატება $585-848$ გ-ია მხოლოდ.

ჰაერის მოძრაობა აღინიშნება ცხოველთა დახურულ სადგომებშიც. აქაც ადგილი აქვს ჰაერის მოლეკულების ტურბულენტურ და ზოგჯერ სწორხაზობრივ მოძრაობას. ჰაერის მოძრავი ნაკადები ჩნდება კარების, ფანჯრების გაღების, ზღუდეებში ნაპრალების, ღუმელის ან ცხოველური სითბოთი ჰაერის გათბობის შედეგად. ჰაერის ყველაზე ცივი მასა იმყოფება ქვემოთ, ხოლო გამთბარი კონვექციური დინებით ჭერისაკენ მიისწრაფვის. კარების გაღების შედეგად შემოჭრილი ცივი ჰაერი ასევე ქვედა ზონას იყვებს

და იწვევს ტემპერატურის დაცემას. საყურადღებოა, რომ ყველაზე მაღალი ჭერის ზონა ნაკლებად ნიავდება და ნაკლებად ცვლდება. პროფ. ა. სკოროხოდვოს გამორჩევეთი, ბოსელში ჭერის მოძრაობის ცვალებადობა ყველაზე მკვეთრია ცხოველთა წოლის ზონაში და მნიშვნელოვნად ნაკლები—ცხოველთა დგომის ზონაში. ჭავრის მოძრაობა ძლიერდება დილიდან მოყოლებული; საღამოს-თვის მცირდება და ყველაზე მინიმალურია ღამით. საკმაოდ ხშირად, ცხოველთა წოლის ზონაში აღინიშნება ჰაერის მძაფრი მოძრავი ნაკადები. სავარაუდოა, რომ ანალოგიურ მდგომარეობას აღგილი აქვს სხვა სახის ცხოველთა სადგომებშიც. კაპიტალური ხასიათის ცხოველთა დახურულ სადგომებში რა თქმა უნდა ჰაერის მოძრაობა ისეთი ძლიერი არ არის, როგორც გარეთ, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება 0,3 მ/წმ-ს მიაღწიოს, რაც უკვე ორპირ ქარს ნიშნავს საყურადღებოა, რომ ჰაერის უმნიშვნელო სიჩქარით მოძრავი ნაკადი, რომელსაც ადამიანი თითქმის ვერ შეიგრძნობს, თუ ის ცხოველის ქანს პერპენდიკულარულად ხვდება, მოქმედებს შის თბურ მდგომარეობაზე. თუ ნაკადის სიჩქარე იზრდება, მოქმედებს როგორც გამაციებელი ფაქტორი. ეს დამტკიცებულია ცდებითაც.

მ. მარშაკის ცდებით ადამიანზე, ა. სკოროხოდვოს ცდებით—ძროხაზე და ვ. ჩერნიხისა — ცხენზე, დადგენილია, რომ დახურულ სადგომებში ჰაერის უმნიშვნელო სიჩქარით მოძრაობაც კი გავლენას ახდენს ქანის ტემპერატურულ და სისხლძარღვოვან რეაქციაზე. თუ ცხოველის კანზე მიშვერილ ჰაერის ჭავლის სიჩქარე, იზრდება, ტემპერატურა თანმიმდევრულად ქვეითდება: ჯერ ბალნის საბურველის ზედაპირზე, შემდეგ ბალნის საბურველში და ბოლოს კანის ზედაპირზე. ჰაერის ბერვის შეწყვეტის შემდეგ კანის ტემპერატურა მაღალ დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას. ა. სკოროხოდვოს მონაცემებით, ჰაერის მოძრაობა 0,0114 მ/წმ სიჩქარით მნიშვნელოვნად აციებს კუროს ქანს, რომელსაც 21 მმ სიგრძის ხშირი ბალნის საბურველი აქვს. ჰაერის მოძრავი ჭავლის მოქმედების 55 წუთის შემდეგ კანის ტემპერატურა დაეცა 3,5°-ით, ბალნის საბურველში — 2,18°-ით და მის ზედაპირზე — 2,9°-ით. რა თქმა უნდა, თუ ჰაერის ჭავლი უფრო ღიღხანს მოქმედებს, ამას მოჰყება ტემპერატურის დაცემა არა მხოლო კანში, არამედ მის ქვეშ მოთავსებულ ქსოვილებშიც და საბოლოოდ მივიღებთ ცხოველის

გაციებას. ამგვარად, ცხოველის სხეულზე ჰაერის ნაკადი მოქმედებს როგორც ცივი გამაღიზიანებელი. ამ მოქმედების შესასულ ტებლად საჭიროა მის მიმართ კანის აღაპტაცია. საყურადღებოა რომ მნიშვნელოვანი სისწრაფით მოძრავი ნაკადი, არა მარტო ცხოველის კანს აციებს, არამედ დახურული სადგომის ჰაერის ტემპერატურასაც სცემს. ასე, მაგალითად, ჰაერის მოძრაობის გადიდება 0,1-დან 0,4 მ/წმ-მდე დახურული სადგომის ჰაერის ტემპერატურას 5°-ით ამცირებს.

წლის ცივ პერიოდში ცხოველები რომ გაციებისაგან დავიცვათ, საჭიროა არ დავუშვათ ჰაერის ძლიერი მოძრაობა დახურულ სადგომებში. თუ ჰაერის წინასწარი გათბობა არ ხდება, უნდა შემცირდეს ვენტილაციის მოცულობა ზამთარში და გარდამავალ პერიოდში. ამ შემთხვევაში ვენტილაციით მიღებული ჰაერის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთჯერ აღებულ სადგომის შინაგან კუბატურას. ზამთარში, გაუთბობ სადგომში სასურველია ჰაერის მოძრაობა შევინარჩუნოთ 0,15-დან 0,3 მ/წმ-მდე, ხოლო გათბობილ სადგომში — 0,5 მ/წმ-მდე თუ კი სადგომში გვაქვს ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა და ტენიანობა. ზაფხულში დახურულ სადგომში ჰაერის მოძრაობა დასაშვებია 0,5-დან 1 მ/წმ-მდე. საზოგადოდ ეს საკითხი მოითხოვს შემდგომ ღრმა შესწავლას კლიმატურ და მიკროკლიმატურ ფაქტორების გათვალისწინებით.

ჰაერის აირეაცია

დახურული სადგომის მიკროკლიმატის პარამეტრები მოიცავენ ჰაერის არა მარტო ფიზიკურ თვისებებს, არამედ ქიმიურსაც. ჰაერის ქიმიურ თვისებებში იგულისხმება ჰაერში შემცველი ირები. უზარმაზარი აირების მასას, რომელიც დედამიწას ირგვლივ აკრავს, ატმოსფეროს უწოდებენ. მეცნიერების განვარიშებით ატმოსფერო შეიცავს დაახლოებით 10^{14} სხვადასხვა აირების მოლეკულას. ატმოსფერო ბიოსფეროს მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმები.

დადგენილია, რომ ატმოსფეროს ზედა ზღვარი 2000—3000 კმ-ს აღწევს, საღაც ჯერ კიდევ მოიპოვება ზოგიერთი გაზები. ატმოსფერო ხუთი შრისაგან შედგება: 1) ტროპოსფერო, ქვედა ზონა,

რომელშიც მოთავსებულია ატმოსფეროს მთელი მასის 79%. მასი ზედა საზღვარი ეკვატორზე 16—18 კმ-ია, ზომიერ განედებში — 10—12 კმ და პოლარულში — 7—10 კმ; 2) სტრატოფერო — შეიცავს ატმოსფეროს მთელი მასის 20%-ს და მისი ჭერი — 40 კმ-მდეა; 3) მეზოსფერო — 80 კმ-მდე; 4) ოონისფერო — 1000 კმ და 5) ეგზოსფერო — 3000 კმ-მდე. როგორც ვხედავთ, ატმოსფეროს ძირითადი მასა პირველ — ორ შერშია მოთავსებული. ატმოსფეროს ჰაერი წარმოადგენს მისი შემცელი აირების ფიზიკურ ნარევს, ატმოსფეროს ჰაერი შეიცავს მოცულობით პროცენტებში შემდეგ ძირითად აირებს: აზოტი 78,09, უანგბაღი — 20,95, ნანშირორეანგი 0,03, არგონი — 0,93; უნიშვნელო რაოდენობით ის აგრეთვე შეიცავს ჰელიუმს, ნეონს, კრიპტონს, წყალბაზს, ოზონს და სხვ. გარდა ამ აირებისა, ატმოსფეროს ჰაერი ყოველთვის შეიცავს სხვადასხვა რაოდენობით წყლის ორთქლს (0,01—4,0, საშუალოდ 0,47) იმის გამო, რომ ატმოსფეროს აირები მუდმივად ერთმანეთში ირევიან, ქვედა ზონაში ჰაერის შედგენილობა თითქმის არ იცვლება. აღსანიშნავია, რომ თუ სხვადასხვა სიმაღლეზე აირების მოცულობითი შედგენილობა პრაქტიკულად ერთნაირია, ეს არ ითქმის მათ წონით კონცენტრაციისა და პარციალურ წნევაზე. საყურადღებოა, რომ სიმაღლის მიხედვით ჰაერის სიმკვრივის დაჭვეოთების შედეგად ეცემა აირების კონცენტრაცია და პარციალური წნევა. ასე მაგალითად, ზღვის დონეზე უანგბაღის კონცენტრაცია შეადგენს 299 გ/მ³, ხოლო 20 კმ-სიმაღლეზე — 15 გ/მ³-მდეა, შესაბამისად — პარციალური წნევა შეადგენს 160 და 8,7 მმ-ს.

გარდა ძირითადი აირებისა, ზოგჯერ ცალკეულ პუნქტებში პოლინენ ბუნებრივი წარმოშობის სხვადასხვა მინარევებს, როგორიცაა: ამიაკი, გოგირდწყალბაზი, გოგირნახშირბაზი, აზოტის უანგი, ნახშირბაზის უანგი, მეთანი და ზოგი სხვ.

ატმოსფეროს ჰაერი შეიძლება გაჭუჭყიანდეს სამრეწველო ობიექტების, მანქანების გამონაბოლქვით, წვის პროდუქტებით — და ა. შ. გამოანგარიშებულია, რომ წლის მანძილზე მოპოვებული მხოლოდ ქვანახშირის დაწვით ატმოსფეროს ჰაერში გროვდება: 6 მლრდ ტ ნახშირორეანგი, 300 მლნ ტ-მდე ნახშირბაზის უანგი, 37 მლნ ტ. გოგირდოვანი ანჰიდრიდი, 94 მლნ ტ მტვერი. განსაკუთრებით საყურადღებო გოგირდის შემცველი ნივთიერებებით ჰაერის გაჭუჭყიანება; ამათგან აღსანიშნავია გოგირდნახშირბაზი, გო-

გირდშეყალბადი და მეტკატტანი. ამათ დიდი ტოქსიკურობა ახასიათებთ. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰაერის დასვრა კანცელინი გენური ნივთიერებებით (3,4—ბენზპირენი და სხვ.). ატმოსფეროს ჰაერში ჰევარტლის რაოდენობა 2—8%-ს აღწევს, ხოლო 3,4—ბენზპირენის — 0,01%-ს. გაჭუჭყიანებული ჰაერი ზიანს აეყნებს ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს; აქვეითებს ჰაერის გამჭვირვალობს მზის რაღაცისადმი; ზრდის ნისლიანობას და სხვ. სხვანარიად რომ ვთქვათ, მძიმდება კეოლოგიური პირობები. გახშირდა ცხოველებისა და ადამიანის მოწამვლის შემთხვევები. ბირთვული დაშლის პროცესებით ჰაერის გაჭუჭყიანება კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.

ჰაერის აირების ჰიგიენური მნიშვნელობა. სუჯთა ჰაერი ყველგან აუცილებელია: საწარმოში, მეცხოველეობის ფერმებში, საცხოვრებელ სახლებში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში; ამიტომაც გაჭუჭყიანებისაგან მისი დაცვა სახელმწიფოებრივი, უფრო სწორად გლობალური ხასიათის ამოცანაა. პრიმიტიული წარმოდგენა, რომ ჰაერის კომპონენტები უსასრულო და ამოუწურავია, დიდი შეცდომაა. მაგალითად, ჰაერის უანგბადის ხარჯვას თავისი ზღვარი აქვს. არ უნდა შემცირდეს უანგბადის ბუნებრივი შემვსებნი — მცენარეები; არ უნდა დავუშვათ წყალსატევების ზედაპირზე (ზღვა, მდინარე, ტბა და სხვ.) ნავთის აპკის გაჩენა. სხვადასხვა საშუალებათა (ქვანახშირი, მაზუთი, გაზი და სხვ.) დაწვაზე ყოველწლიურად იზრდება უანგბადის ხარჯვა; სამაგიეროდ იზრდება ნახშირორჟანგის კონცენტრაცია, რამაც შეიძლება კატასტროფულ ზღვარს მიაღწიოს. მართალია ჯერჯერობით ატმოსფეროს ჰაერის აიროვანი შედგენილობა სიცოცხლისათვის დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მისი კატასტროფამდე დაყვანა გამორიცხული არ არის.

ცხოველთა დახურული საღომების ჰაერის აიროვანი შედგენილობა ძირითადად ისეთივე როგორც ატმოსფერული ჰაერის (აზოტი, უანგბადი, ნახშირორჟანგი). უნდა აღინიშნოს, რომ დახურული საღომის ჰაერში იზრდება ნახშირორჟანგის რაოდენობა და მცირდება უანგბადისა. ცხოველთა დახურული საღომების ჰაერში შეიძლება გაჩენდეს და დაგროვდეს ზოგიერთი მავნე აირები, როგორიცაა: ამიაკი, გოგირდშეყალბადი; კლოაკური აირები და ორგა-

ნულ ნივთიერებათა ხრწნის პროდუქტები (ინდოლი, სკატოლი, მეთანი, ეტანოლი, პროპანი, ბუტანი, ჰექსანი და სხვ.)

ცხოველთა დახურულ სადგომის ჰაერის აიროგანი შედგენილობის გაუარესებას იწვევს ცხოველების მიერ ამოსუნთქული ჰაერი. ამოსუნთქული ჰაერი, ატმოსფერულთან შედარებით თითქმის 100-ჯერ მეტს შეიცავს ნახშირორეანგს; უანგბადის რაოდენობა კი მასში საშუალოდ 25%-ით ნაკლებია. ბალაზმუამელი ცხოველები გარდა ამისა, გამოყოფენ მეთანსა და წყაბლადს. ცხოველების ხანგრძლივად შენახვა დახურულ სადგომებში, რომლის ჰაერშიც ჭარბადაა დაგროვილი ნახშირორეანგი, ამიაკი, გოგირწყალბადი და კლოაკური აირები, ტოქსიკურად მოქმედებს ცხოველის ორგანიზმზე. ჭვეითდება ცხოველების რეზისტრნობა, ჯანმრთელობა, პროდუქტიულობა და არა იშვიათად სხვადასხვა პათოლოგიური პროცესებიც აღმოცენდებან. გავეცნოთ ჰაეროვანი გარემოს ზოგიერთი აირის მნიშვნელობას ცხოველის ორგანიზმისათვის.

აზოტი. ატმოსფეროს ჰაერის მთავარ მასას აზოტი წარმოადგენს. ცხოველთა დახურულ სადგომებში აზოტის მოცულობითი პროცენტული შედეგნილობა თითქმის ისეთივეა, როგორც ატმოსფეროს ჰაერში. ბუნებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს აზოტის ბრუნვა, რის შედეგად ატმოსფერული აზოტი ორგანულ ნაერთებად იქცევა, ხოლო მათი დაშლის შედეგად ის განიცდის აღდგენას და უბრუნდება ატმოსფეროს ჰაერს. ამის შედეგად ატმოსფეროს ჰაერში აზოტის შემცველობა თითქმის ერთნაირია.

მართალია ჰაერში არსებული აზოტი უშუალოდ არ მონაწილეობს ცხოველის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში, მაგრამ მის ბიოლოგიურ დანიშნულებას იმაში ხედავენ, რომ ის წარმოადგენს ჰაერის აირების, განსაკუთრებით უანგბადის გამზავებელს. დამტკიცებულია, რომ სუფთა უანგბადის პირობებში სიცოცხლე შეუძლებელია. ჰაერში არსებული აზოტი არც ინდიფერენტულ აირად შეიძლება ჩაითვალოს. ექსპერიმენტის პირობებში სცადეს ჰაერის აზოტი შეეცვალათ წყალბადით. მოკლე დროში საცდელ ცხოველებს დაეწყოთ სუნთქვის გაძნელება და დაიხოცენენ. ასევე უშედეგო აღმოჩნდა აზოტის შეცვლა ინდიფერენტულ არგონით, რა დროსაც უანგბადის რაოდენობა ისეთივე იყო, როგორც ატმოსფეროს ჰაერში. ასეთ ჰაერში ქათმის ემბრიონები დაიღუპნენ მეცხრე დღეზე, ხოლო წიწილები—18 სათის შემდეგ.

აღრინდელი შეხედულება, რომ აზოტი და ჰაერის ინერტული აირები ფიზიოლოგიურად ინდიფერენტული არიან, არ გამართოდა. ნ. ლაზარევისა და თანამშრომლების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით დამტკიცდა, რომ ამ აირებს სუსტი ნარკოტიკული მოქმედება ახასიათებთ, მხოლოდ ჩვეულებრივი ატმოსფერული წნევის პირობებში მათ ნარკოზულ მოქმედებას არა აქვს ადგილი იმის წყალობით, რომ ასეთ ვითარებაში ისინი მცირე რაოდენობით იხსნებიან სისხლში. ექსპერიმენტებში, როცა აზოტის წნევა გაზრდილი იყო, ის ცხოველებში იწვევდა ნერვულ-კუნთოვანი კოორდინაციის მოშლას, შემდგომში მოტორულ აღგზნებას, ხოლო ბოლოს — განსაკუთრებულ ნარკოზულ მდგომარეობას, თანაბარი და ღრმა ძილის გარეშე. აზოტის მაღალი პარციალური წნევა ნარკოზულად მოქმედებს. შესუნთქულ ჰაერში აზოტის დიდი რაოდენობა ჰიპოქსემიის იწვევს, უანგბადის პარციალური წნევის შემცირების გამო. ანოქსემიის პირველი ნიშნები აღინიშნება როცა აზოტის რაოდენობა 83%-ს აღწევს, ხოლო უანგბადის პარციალური წნევა ეცემა 112 მმ-მდე; მძიმე ანოქსემია ვითარდება როდესაც აზოტის რაოდენობა 90%-მდე აღწევს და უანგბადის პარციალური წნევა ეცემა 60 მმ-მდე; თუ აზოტის რაოდენობამ 93%-ს მიაღწია, ეს უკვე სასიკვდილოა. რამდენადაც ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერში აზოტის რაოდენობა ისეთივეა, როგორც ატმოსფეროს ჰაერში, ამდენად მას რაიმე ჰიგიენური მნიშვნელობა არ უაქვს.

უანგბადი (O_2) — უფერო აირია, რომლის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. ადამიანი და ცხოველები, როგორც სიცოცხლის ყველაზე უფრო ორგანიზებული ფორმები, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენენ უანგბადით მომარაგებისადმი. უანგბადის უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე პაროლოგიური პროცესები. უანგბადი აუცილებელია სუნთქვისათვის, ნივთიერებათა ცვლისათვის და უშუალოდ მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე უანგვით პროცესებში. ჩასუნთქულ ჰაერთან ერთად ფილტვებში მოხვედრილი უანგბადი უერთდება სისხლის ერთორციტებს, რომლებიც მას ყველა ორგანოში, ქსოვილში და უჯრედებში მიიტანენ, საღაც მიმდინარეობს უანგვითი პროცესები. ცხოველს საშუალოდ ერთი საათის განმავლობაში 1 კგ ცოცხალ მასაზე უანგბადი ჭირ-

დება (სმ³): ცხენს მოსვენებულ მდგომარეობაში 253, მუშაობის დროს — 1780, ძროხას — 392, ჭათაში — 980, ცხვარს — 329. დახარჯული ყანგბადის რაოდენობა დამოკიდებულია ასაგზე, სესტენიზე და ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. საუკიდურებლა აღინიშნოს, რომ მნიშვნელობა აქვს ჰაერში ყანგბადის არა საერთო რაოდენობას, არამედ მის პარციალურ წნევის. ალვეოლარულ ჰაერიდან სისხლში ყანგბადის გადასვლა დამოკიდებულია პარციალურ წნევათა სხვაობაზე. შესუნთქულ ჰაერში ყანგბადის 15%-მდე შემცირება, კომპენსატორულ მოვლენებს იწვევს; რაც გამოიხატება, ღრმა სუნთქვაში, გულის კუნთის შეკუმშვის აჩქარებაში და ყანგვითი პროცესების დაქვეითებაში. ყანგბადის შემცირება 14—9%-მდე იწვევს სუნთქვის სიხშირის შეცვლას, კუნთების სწრაფად დალლას. ყანგბადის 6%-მდე შემცირება კი სიკვდილს იწვევს.

ცხოველთა დახურულ სადგომებში, ყანგბადის შემცველობა ჰაერში თითქმის მუდმივია და ახლოა ატმოსფეროს ჰაერში მის რაოდენობასთან. ბოსელში ზამთარში ყანგბადის რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20,2%-ს (ჩეხევები 19,64-დან, 20,71%), ე. ი. ატმოსფერულ ჰაერთან შედარებით 0,93%-ით არის შემცირებული. მრავალი გამოკვლევით დადგენილია, რომ დახურულ სადგომთა ჰაერში ყანგბადის რაოდენობის შემცირება 0,41%-ს არ აღემატება, რასაც რა თქმა უნდა ფიზიოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს. რამდენადაც, როგორც ატმოსფერულ, ასევე ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერში ყანგბადის რაოდენობა უმნიშვნელოდ მერყეობს, მას ჰიგიენური მნიშვნელობა არა აქვს. აქედან გამომდინარე ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერის ჰიგიენური შეფასების დროს ყანგბადისა და აზოტის რაოდენობის განსაზღვრა საჭირო არ არის.

ნახშირორჟანგი (CO_2) — უფერო, უსუნო, მუავე გემოს აირია. ის ატმოსფეროს ჰაერის მნიშვნელოვანი ინგრედიენტია, რომლის კონცენტრაცია გაუტუჭყიანებულ ზონაში 0,03%-ს ან 591 მგ/მ³ შეადგენს. გამოანგარიშებულია, რომ მისი ძირითადი რაოდენობა გახსნილია ოკეანეებისა და ზღვების წყალში და ბუნებრივ პირობებში განუტყვეტილი ადგილი აქვს ნახშირორჟანგის ბრუნვის ბუნებაში. ატმოსფეროს ჰაერში ნახშირორჟანგის წყაროა ნიაღავი, დედამიწის წიაღიდან ვულკანური ამოფრქვევა, ორგანული ნივთი-

ერებების ლპობისა და ხრწნის პროცესები, ადამიანისა და ცოვე-
ლების სუნთქვა, მცენარეთა ღამის „სუნთქვა“. მიუხედავად ატმოსფერი
სფეროს ჰაერში ნახშირორჟანგის კოლოსალური რაოდენობას მართვული
ევისა, მისი რაოდენობა ატმოსფეროს ჰაერში მეტნაკლებად მუდ-
მივია.

უნდა ითქვას, რომ ნახშირორჟანგი დიდი მნიშვნელობის აი-
რია. ატმოსფეროს ჰაერში მის პროცენტულ შემცველობაზე დამო-
კიდებულია ბევრი მეტეოროლოგიური მოვლენა. განსაკუთრებით
ნახშირორჟანგის კონცენტრაცია გავლენას ახდენს ჰაერის ტემპე-
რატურაზე. ნახშირორჟანგი ხსიათდება დიდი თბოტევადობით.
რამდენადაც მეტია ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობა, იმდენად
მაღალია მისი ტემპერატურა. ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობის
მკვეთრ შემცირებას მოსდევს მისი ტემპერატურის დაცემა. ვარა-
უდობენ, რომ დედამიწაზე გამყინვარების გაჩენა გამოიწვია ჰაერ-
ში ნახშირორჟანგის მკვეთრმა შემცირებამ. დღეისათვის ატმოს-
ფეროს ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობის შემცირების საშიშ-
როება არ არსებობს. ამჟამად უფრო საჭინააღმდეგო მოვლენა აღ-
ინიშნება. ოუმცა გლობალური მასშტაბით ნახშირორჟანგის რაო-
დენობა ჰაერში მუდმივია, მაგრამ ზოგიერთ ზონებში, განსაკუთ-
რებით მძიმე ინდუსტრიის კერებში (კერძოდ, შავი მეტალურგიის)
1 კმ რადიუსით ამ გაზების კონცენტრაცია ხშირად 1%-ს აღწევს.
თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეცენტული გამოყენებული საწ-
ვავის (ქვანახშირი, მაზუთი და სხვ.) წვისა და სხვა პროცესების
შედეგად ატმოსფეროს ჰაერში ნახშირორჟანგის კოლოსალური
რაოდენობა გროვდება, რომლის ასიმილაცია არ შეუძლია მცენა-
რებს და ასევე შთანთქმა ოკეანეებსა და ზღვებს, თანდათანობით
ატმოსფეროს ჰაერში იზრდება ნახშირორჟანგის რაოდენობა. მეც-
ნიერების გაანგარიშებით, გლობალური მასშტაბით ატმოსფეროს
ჰაერში ნახშირორჟანგის მეათედი პროცენტითაც კი კონცენტრა-
ციის ზრდა კატასტროფის მიზეზად შეიძლება იქცეს. მთელი დე-
დამიწის ზედაპირზე ძლიერ დაცხება, მათ შორის პოლუსებზედაც,
რაც გამოიწვევს პოლუსებზე არსებულ უზარმაზარი ყინულოვანი
მასის დნობას, ამის შედეგად ოკეანეებსა და ზღვებში წყლის დონე
96 მ-ით მოიმატებს და დაიწყება წარღვნა. ზოგიერთი მეცნიერის
აზრით, თუ დროზე არ იქნა მიღებული შესაბამისი ღონისძიებანი,
ეს არც ისე შორეული მომავალის ამბავია.

ნახშირორჟანგი ადამიანისა და ცხოველების სიცოცხლის აუ-
კოლებელი ფაქტორია. მისი ფიზიოლოგიური დანიშნულება ძმაში
მდგომარეობს, რომ ის არის სასუნთქი ცენტრის აღმგზნები. უნდა
აღინიშნოს, რომ პარამეტრი ნახშირორჟანგის შემცირება (რაც ფაქტი-
ურად არ ხდება) ცხოველისა და ადამიანის სიცოცხლეს საფრთ-
ხეს არ უქმნის; საქმე იმაშია, რომ ორგანიზმის ნორმალური ცხო-
ველმყოფელობისათვის სისხლში ნახშირორჟანგის საჭირო პარცა-
ლური წნევა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას ნივთიერებათა
ცვლის შედეგად ორგანიზმში წარმოქმნილი ნახშირორჟანგითაც.

ატმოსფეროს, ასევე დახურული სადგომის პარამეტრების ნახშირორ-
ჟანგის კონცენტრაციის დიდად მომატება სასურველი არ არის.
ძველი შეხედულება, რომ ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 0,07—
—0,1%-ის ფარგლებში (ზოგის მიხედვით 1—2%-იც) არავითარ
გავლენას არ ახდენს ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე, არ
გამართლდა. დადგენილი იქნა, რომ ადამიანის მიერ ხანმოკლე შე-
სუნთქვა პარამეტრისა, რომელიც შეიცავს 0,5% ნახშირორჟანგს, იწვე-
ვს მნიშვნელოვან ძვრებს გარეგან სუთქვაში, პერიფერიულ სის-
ხლმიმოქცევაში და თავის ტვინის ელექტრულ აქტივობაში. ა. სკო-
რობოდკოს ცნობით ნახშირორჟანგის კონცენტრაცია პარამეტრი 0,5%-
დან დანართულ არ იწვევს ფურებში ფიზიოლოგიური პროცესების შემცვლას.
ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 1%-ის ფარგლებში ლაბორატო-
რულ ცხოველებში იწვევს სუნთქვის აჩქარებასა და გაძლიერებას.
1—4% მისი რაოდენობა იწვევს სისხლში და ქსოვილებში მის დაგ-
როვებას. 10% რაოდენობა ლაბორატორულ ცხოველებში პათოლო-
გიურ მოვლენებს არ იწვევს. როდესაც კამერის პარამეტრი ნახშირ-
ორჟანგის კონცენტრაცია 25%-მდე აიყვანეს, ამან საცდელ ცხოვ-
ელებში ნარკოზი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის
ცხოველები განსხვავებულ დამკიდებულებას იჩენს ნახშირორჟა-
ნგის მიმართ. კროლისათვის სასიკვდილოა 25%, ძალლი ამდენი
მე საათს უძლებს 35—45%-ს, 50% იწვევს სწრაფ სიკვდილს. ნახ-
შირორჟანგით ცხოველების ქრონიკული მოწამვლის შესაძლებლო-
ბა დამტკიცებული არ არის..

ცხოველთა კეთილმოწყობილ დახურულ სადგომებში, სადაც
დაცულია სისუფთავე, კარგად მოქმედებს ვენტილაცია, ცხოველე-
ბი ნორმალურადაა განლაგებული (დატვირთული), ნახშირორჟან-

გის რაოდენობა მომატებულია არა უმეტეს 2—3-ჯერ, ატმოსფეროს ჰერთან შედარებით. როდესაც კანალიზაცია და სავენტილაცია მოწყობილობა კარგად არ მოქმედებს და ცხოველები დიდი რაოდენობით არის მოთავსებული, ჰერში ნახშირორჟანგის რაოდენობა 20—30-ჯერ იზრდება. ა. სკოროხოდვის ცნობით ცხოველთა დახურული სადგომების ჰერში ნახშირორჟანგის რაოდენობაში შეიძლება მიაღწიოს 0,4—0,5%-ს; ხოლო გამონაკლის შემთხვევაში 0,8—1%-ს. ნახშირორჟანგის განაწილება არათანაბარია. ყველაზე ჭარბი რაოდენობით ის გროვდება შენობის შუა ადგილზე, კერძოდ, საკვებულებთან; დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი გროვდება ჭერთან ახლოს; ჰორიზონტალურ სიბრტყეში მისი რხევები უმნიშვნელოა. დახურულ სადგომის ჰერში ნახშირორჟანგის დაგროვების ძირითადი წყარო ცხოველების მიერ ამოსუნთქმული ჰერია. ასე, მაგალითად, 600 კგ ცოცხალი მასის და 30 კგ წველადობის ფური ერთ საათში ამოსუნთქულ ჰერთან ერთად გამოყოფს 200 ლ ნახშირორჟანგს, 150 კგ ძუძუმწოვარა ქუბი — 90 ლ, 50 კგ მაკე ნერბი — 23 ლ, 600 კგ ცხენი — 140 ლ-ს. ნახშირორჟანგი შეიძლება განხდეს გასათბობი საშუალებებითაც (ლუმელი და სხვ) ცხოველთა დახურულ სადგომებში ნახშირორჟანგი ჰერში არასოდეს არ გროვდება ისეთი რაოდენობით, რომ ცხოველები მოიწამლონ, მაგრამ მისი გაზრდილი კონცენტრაცია რა თქმა უნდა არასასურველად მოქმედებს ცხოველთა ჭანმრთელობასა და პროდუქტულობაზე. ცხოველთა სადგომში დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის დაგროვება ამასთან ერთად იმის მაუწყებელია. რომ ჰეროვანი გარემო გაუარესებულია, არ მოქმედებს სავენტილაცია სისტემა და სხვ.

აუცილებელია ჰერიოდულად შემოწმდეს დახურული სადგომის ჰერი ნახშირორჟანგის კონცენტრაციაზე და მიღებული იქნას ზომები მისი დაგროვების გასაფრთხილებლად (მთავარი მნიშვნელობა აქვს სავენტილაციო სისტემის მოქმედებას). ცხოველთა დახურული სადგომების ჰერში ნახშირორჟანგის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია შეადგენს: ძროხისათვის 0,25%-ს, ხოლო დანარჩენი სახის ცხოველებისათვის — 0,3%-ს. უკანასკნელ ჰერიოდში ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სასურველია ცხოველთა სადგომებში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია არ აღე-

მატებოდეს 0,25%-ს, ხოლო მაღალპროდუქტიული ცხოველებისა და მოზარდისათვის — 0,15—0,2%-ს.

ამიაკი (NH_3) მძაფრი, გამაღიზიანებელი სუნის მექონებულების შემცირებისას მისი სიმკვრივე 0,596-ია, ხოლო 1 მგ 0°-სა და 760 მმ წნევაში იჭავებს 1,316 სმ³ მოცულობას. ატმოსფეროს ჰაერში ამიაკი პრაქტიკულად ორ მოიპოვება; ის შეიძლება იყოს ზოგიერთი საწარმოს და ნაკელსაცავების ახლოს ძალიან მცირე კონცენტრაციით. იშვიათად აღწევს 0,002—2,5 მგ-ს 1 მ³ ჰაერში. ატმოსფეროს ჰაერში არსებული ამიაკის ჰიგიენური მნიშვნელობა ძალზე უმნიშვნელოა.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში, თუ ნაკელი და წუნწუხი სწრაფად გააქვთ, კარგადაა მოწყობილი და შეუფერხებლად მოქმედებს ვენტილაცია, ამიაკის შემცველობა თითქმის ნულის ტოლია. როდესაც ორ იცავენ ცხოველთა დახურული სადგომების ექსპლუატაციის ჰიგიენურ პირობებს, ვენტილაცია ორ მოქმედებს, შეიძლება ამიაკი საკმაოდ დიდი კონცენტრაციით დაგრძელეს (0,03% და მეტი). ჰაერში ამიაკი შეიძლება აირის სახით იმყოფებოდეს; უფრო ხშირად ჰაერში მოიპოვება ამიაკის ნახშირმეავა, აზოტ—და აზოტოვანმჟავა მარილების სახით. ამიაკის ნახშირმეავა ნაერთები ამქროლადია და ჰაერში-საკმაოდ თანაბრად ნაწილდება; რაც შეეხება აზოტოვან და აზოტმეავა-მარილებს, ისინი ორ არის აქროლადი, შეიძლება დაილექს, რის გამოც არათანაბრად ნაწილდებიან სადგომში. თუ ჰაერში არის ცილოვანი მტვერი, შეიძლება წარმოიქმნას ე. წ. ალბუმინოიდური ამიაკი. ალსანიშნავია, რომ ამიაკი ადგილად აღსორბირდება იატკის, კედლების და სხვა საგნების ზედაპირზე. აღსორბირებული ამიაკის რაოდენობა დამოკიდებულია ჰაერში მის კონცენტრაციაზე. დაბალი ტემპერატურა და დიდი ტენიანობა აღლიერებს ამიაკის აღსორბიას. დიდი რაოდენობით ამიაკის აღსორბციას ახდენს ფორიანი, მსუბუქი საგნები, განსაკუთრებით ხის მასალა. როდესაც დახურულ სადგომში ჰაერის ტემპერატურა მაღლა იწევს, საგნების მიერ აღსორბირებული ამიაკი უკუ გამოიყოფა და ხელს უწყობს ჰაერში მისი კონცენტრაციის ზრდას.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში ამიაკის გაჩენის წყაროს წარმოადგენს აზოტის შემცველ ორგანულ ნივთიერებათა დაშლის, ლპობისა და ხრწნის პროცესები. საყურადღებოა, რომ ამიაკი ცხოველის ორგანიზმშიც ჩნდება ცილების დაშლის შედე-

გად. ეს ამიაკი ორგანიზმში შარდოვანად გარდაიქმნება, რომელიც ტოქსიკური არ არის. ცხოველთა დახურულ სადგომებში ამიაკის გაჩენის მთავარი წყარო ნაკელი და წუნწუხია. განსაკუთრებულ ბეჭრი ამიაკი მოიპოვება თავლებში, შემდეგ სალორეებში, სახბორებში, თუკი კანალიზაცია და ვენტილაცია კარგად არ მუშაობს. დიდი რაოდენობით ამიაკი გროვდება საფრინველებში იატაზე შენახვის დროს და სკორეს ყუთებში შეგროვებისას. ვ. დოლგოვას ცნობით, სალორეებში ამიაკის დაგროვების მთავარი წყარო საწუნწუხე ღარებია. ღარებში ამიაკის რაოდენობა აღწევს 35 მგ/გ³-ში. ამიაკი კარგად იხსნება წყალში, რის შედეგად იზრდება მისი ად-სორბირება ზღუდეების ზედაპირების მიერ.

ამიაკი ტოქსიკური აირია. მას ახასიათებს ორგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადი მოქმედება ცხოველის ორგანიზმზე. ამიაკის ადგილობრივი მოქმედება ვრცელდება კანზე, თვალისა და სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებზე. ხანგრძლივი ჩასუნთქვა ჰაერისა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ამიაკს, იწვევს ლორწოვანი გარსების გალიზიანებას, ანთებას; ხორხის ლორწოვანი გარსის შეშუბებას, სასუნთქი ნაპრალის შევიწროებას, სპაზმს, რასაც შეიძლება სუნთქვის შეწყვეტა და ცხოველის სწრაფი სიკვდილი მოჰყვეს. ჰაერში ამიაკის დიდი რაოდენობით არსებობის დროს ხშირია ცხოველებში ფილტვების, პლევრის ჩირქოვანი ანთება და აგრეთვე გულის პერანგის დაზიანება.

ამიაკის დიდი კონცენტრაცია ჰაერში იწვევს კანის გალიზიანებას, შეშუბებას და ანთებას. ცნობილია აგრეთვე, რომ წუნწუხი, რომელიც ჰარბად შეიცავს ამიაკს, იწვევს ჩლიქების და მათი ახლომდებარე კანის დაზიანებას. ამიაკის მოქმედებით კანის ხანგრძლივი გალიზიანების შედეგად ცხვარს ცვივა მატყლი და უარესდება მისი ხარისხი. ამიაკი აგრეთვე ალიზიანებს თვალის ლორწოვან გარსს და იწვევს ცრემლდენას, რაც შეიძლება კონიუნქტივიტით დამთავრდეს.

განსაკუთრებით საშიშია ამიაკის ზოგადი ტოქსიკური მოქმედება. თუ ჰაერში ამიაკის კონცენტრაცია დიდია, ამან შეიძლება ცხოველის სიკვდილიც გამოიწვიოს. როგორც ცნობილია, ამიაკი კარგად იხსნება წყალში, რის გამოც ჩასუნთქული ჰაერით ალვეოლებში მოხვედრილი ამიაკი ადვილად შეაღწევს სისხლში (ალვეოლების ეპითელი ადვილად ატარებს ამიაკს). ამიაკი უერთდება

ერითროციტების ჰემოგლობინს და მას ტუტე ჰემატინად აქცევს; ამის შედეგად მცირდება ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა; ვითარდება ანემია, მაღლდება სისხლის შედედების უნარი. ნ. ზამალინას ცდებით დადგენილი იქნა, რომ თუ ფურები ხანგრძლივად ისუნთქავენ ჰაერს, რომელშიც ამიაკის რაოდენობა 0,33—0,97%-ს აღწევს, მათ უმცირდებათ ჰემოგლობინი, სისხლის ტუტე რეზერვი, აირცვლა, საკვების (პროტეინი, ცხიმი, უჯრედანა) მონელება და ქვეითდება მათი პროდუქტიულობა. დიდი რაოდენობით ამიაკის სისხლში მოხვედრა იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის, თავის, ზურგის და განსაკუთრებით მოგრძო ტვინის ძლიერ აგზებას; იწყება მთელი სხეულის კრუნჩხვები; კრუნჩხვებს შორის პერიოდში ცხოველი კომატოზურ მდგომარეობაში ვარდება; იზრდება სისხლის წნევა; ბოლოს ცხოველი იღუპება სასუნთქი ცენტრის დამბლის შედეგად.

ლემანის ცდებში 0,1 მგ/ლ ამიაკის კონცენტრაცია იწვევდა ლორწოანი გარსების გალიზიანებას. ხორვატის ცნობით, 0,19 მგ/ლ ამიაკის კონცენტრაცია იწვევდა ზღვის გოჭების 80%-ის დახოცას 4—9-ე დღეზე. 0,38 მგ/ლ ამიაკმა ბოცვერში გამოიწვია სისხლჩეცევები ტრაქეასა და ბრონქებში, პლევრისა და გულის პერანგის ფიბრინოზული ანთება, ღვიძლისა და თირკმლების პარენქიმული გადაგვარება.

ცხოველების ხანგრძლივი შენახვა დახურულ სადგომში, როდესაც ჰაერში ამიაკის კონცენტრაცია 0,15% და მეტია, აუარესებს ცხოველის საერთო მდგომარეობას, საკვები ცუდად შეითვისება; სხეულის ცოცხალი მასის სადღელამისო მატება ეცემა, ხშირია სასუნთქორგანოთა დაავადებების შემთხვევები. ამიაკის კონცენტრაციის კიდევ უფრო მეტ ზრდას მოსდევს მწვავე მოწამვლა და ცხოველის სწრაფი სიკვდილი.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერში ამიაკის მაღალი კონცენტრაცია საშიშია არა მარტო ცხოველებისათვის, არამედ აქ მომუშავე აღამიანებისათვისაც. ამიტომ ამიაკი დახურული სადგომის ჰაერის ხარისხის პირდაპირი მაჩვენებელია და ის გათვალისწინებული უნდა იქნას მიკროკლიმატის სანიტარულ-პიგიენური შეფასების დროს.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერში ამიაკის მაქსიმალუ-

რი დასაშვები კონცენტრაციაა 0,02 მგ/ლ ან 20 მგ/მ³ (0,0026%). ასეთი კონცენტრაცია აღამიანისთვისაც დასაშვებია.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში ამიაკის გამოწვენისა და დაგროვების საჭინააღმდევო ღონისძიებანი თავისთვად გამომდინარეობს ყოველივე ზემოთქმულიდან. საჭიროა გვეპონდეს კეთილმოწყობილი სადგომები; დავიცვათ მათი ექსპლუატაციის სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებანი; სწრაფად გავიტანოთ ნაკელი და წუნწუხი; კარგად უნდა მოქმედებდეს სადგომის კანალიზაცია და ვენტილაცია. ამიაკის რაოდენობას ჰაერში ამცირებს ზოგიერთი ქვეშაფენი, მაგალითად ტორფი. ექსტრემალურ პირაბებში ქიმიური საშუალებებითაც შეიძლება შევამციროთ ამიაკი ჰაერში. ტ. გუჯაბიძემ ამ მიზნით გამოიყენა ტექნიკური მარილმჟავას სუსტი (0,1—0,3%-იანი) ხსნარი. საჭიროა ასეთი ხსნარი კვირაში ერთხელ მოვაშეუროთ ქედლებს, იატაკს, საკვებურებს და სხვა ზედაპირებს.

გოგირდწყალბადი (H₂S) უფერული მექროლავი აირია. მას აქვს ლაყე კვერცხის სუნი, რომელიც უკვე მეღავნდება 0,001—0,002%-ის რაოდენობით მისი ჰაერში დაგროვების დროს. გოგირდწყალბადის მოლეკულური წონაა 34,09; მისი ერთი ლიტრი 0°-ზე და 760 მმ წნევაზე იწონის 1,5395 გ, ხოლო მისი ერთი მილიგრამი 0,6497 სმ³ მოცულობას იყავებს. 15° ტემპერატურაზე ერთ მოცულობა წყალში იხსნება სამი მოცულობა გოგირდწყალბადი. მცირე რაოდენობით გოგირდწყალბადი ატმოსფერულ ჰაერშიც მოიპოვება. გოგირდწყალბადითა და სხვა გოგირდოვანი ნაერთებით ატმოსფერული ჰაერის დასკრის წყაროა სამრეწველო ობიექტები — ელექტროცენტრალები და თბოელექტროცენტრალები; შავი და ფერადი მეტალურგიის ქარხები, ქიმიური კომბინატები და სხვ. გოგირდწყალბადი გოგირდის შემცველ ორგანულ ნივთიერებათა დაშლის შედეგადაც წარმოიქმნება.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში გოგირდწყალბადის გაჩენისა და დაგროვების წყაროა გოგირდის შემცველი ცილების ხრწნა; ცხოველების კუჭ-ნაწლავიდან გამოყოფილი აირები, განსაკუთრებით როდესაც ისინი უხვ ცილოვან ულუფას იღებენ. გოგირდწყალბადი სადგომში შეიძლება შემოვიდეს საწუნწუხე ორმოდანაც თუკი არ იყენებენ ჰიდრავლიკურ სარქველს. გოგირდწყალბადი წარმოიქმნება საწუნწუხე ლარებშიც. ზოგჯერ ცხოველ-

თა დახურული სადგომების პაერში აღინიშნება გოგირდწყალბა-
დის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვება. ა. სკორონტლდები
ცნობით გოგირდწყალბადის კონცენტრაციამ შეიძლება მისამართის
ბოსელში 0,0075—0,00109 პროცენტს; სახმარებში 0,009-დან
0,0168%-ს, ზოგჯერ კი 0,0124%-ს, საღორეში იატაკთან — 0,0058
—0,008%-ს.

გოგირდწყალბადი ძლიერ ტოქსიკური აირია და მაღალი კონ-
ცენტრაციის დროს მისი მოქმედება ციანწყალბადისას წაავავს.
სისხლში გოგირდწყალბადი შეიწოვება სასუნთქი გზების ლორ-
წოვანი გარსებიდან. გოგირდწყალბადის კონცენტრაცია 10 მგ/მ³
ზევით საშიშია ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისათვის;
მათ ეწყებათ არითმია და გულის ტონების მოდუნება, გუგების
შევიწროება და ლებინება. ასეთი პაერის ხანგრძლივ შესუნთქვეს
შეუძლია გამოიწვიოს ქრონიკული მოწამვლა. ცხოველები სუსტ-
დებიან, კარგავენ ცოცხალ მასას. აღინიშნება ოფლიანობა, კონი-
უნქტივიტი, ზედა სასუნთქი გზების კატარი და გასტროენტერიტი.
გოგირდწყალბადის უფრო მეტი კონცენტრაცია იწვევს ფილტვე-
ბის მწვავე ანთებას და შეშუპებას. თუ პაერში გოგირდწყალბა-
დის კონცენტრაცია 1 მგ/ლ და მეტია, ცხოველები სწრაფად იღუ-
პებიან სასუნთქი და სისხლძარღვთა მამოძრავებელი ცენტრების
დამბლის ნიადაგზე. ვ. გუდინამ აღწერა ადამიანის სასიკვდილო
მოწამვლის შემთხვევა, რომელიც საღორის საწუნწუხე ორმის
ასუფთავებდა; გოგირდწყალბადის კონცენტრაცია აღმოჩნდა 0,379,
ე. ი. დასაშვებ რაოდენობაზე 38-ჯერ მეტი.

გოგირდწყალბადის მოქმედების მექანიზმი ასეთია: როდესაც
გოგირდწყალბადი ეხება სასუნთქი გზების ან კონიუნქტივის სველ
ლორწოვან გარსებს, ის უერთდება ქსოვილის ტუტებს და წარ-
მოიქმნება ნატრიუმის ან კალიუმის სულფიდი (N_2S , K_2S), რომ-
ლებიც აღიზანებენ ლორწოვან გარსებს და იწვევენ მათ ანთებას.
ეს სულფიდები შეიწოვებინ სისხლში, სადაც ხდება მათი ჰიდრო-
ლიზი და თავისუფლდება გოგირდწყალბადი. სწორედ ეს გოგირ-
დწყალბადი მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და იწვევს ორგანიზმის
ზოგად მოწამვლას. გოგირდწყალბადი უკავშირდება ჰემოგლობინ-
ში არსებულ რკინას და აქცევს მას გოგირდოვან რკინად. კატალი-
ზატორულად მოქმედი რკინის დაკარგვის შედეგად ჰემოგლობინი

ვერ შთანთქავს უანგბადს და იწყება ქსოვილების უანგბადით შიმ-
შილი, უანგვითი პროცესების შეკავება და რა თქმა უნდა, ყოველი-
ვი ეს მთავრდება ცხოველის დაღუპვით.

თუ დაცული იქნება ცხოველთა დახურული სადგომის ექსპ-
ლუტაციის რეჟიმი, დროულად გაიტანენ წუნწუხსა და ნაკელს,
გამართულია და კარგად ფუნქციონირებს კანალზაცია და ვერტი-
ლაცია, თავიდან იქნება აცილებული სადგომებში გოგირდწყალბა-
დის წარმოქმნა და საშიშ კონცენტრაციებში მისი დაგროვება. ექ-
სტრემალურ შემთხვევებში გოგირდწყალბადის რაოდენობის შე-
სამცირებლად იყენებენ ნატროუმის ჰიპოქლორიდის 1%-იან ხსნარს.
თუ გოგირდწყალბადის კონცენტრაცია $0,005$ — $0,05$ მგ/ლ არ აღე-
მატება, გოგირდწყალბადისაგან ჰაერის გაწმენდამ 94—100%-ს
შეიძლება მიაღწიოს.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში გოგირდწყალბადის
მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია შეადგენს $0,001\%$ -ს ან
 5 — 10 მგ/მ³ ჰაერში.

მხუთავი აირი (CO) უსუნო, უფერო აირია. ცხოველთა ჰიგიე-
ნაში ამ აირს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან
იშვიათია მისი დახურულ სადგომთა ჰაერში დაგროვება.

ატმოსფეროს ჰაერში მხუთავი გაზი ხვდება ჭვარტლით, კვამ-
ლით, სამრეწველო ობიექტებით გამოყოფილი აირებით, აფეთქე-
ბების დროს და სხვ. სხვადასხვა წყაროში ამ გაზის პროცენტული
შემცველობა ასეთია: საყოფაცხოვრებო გათბობის კვამლი— $1,5$,
თოვის წამლის აირი— 50 , მარტენის ღუმელების გამონაბოლევი— 30 ,
ავტომანქანების გამონაბოლევი— $13,5$, თამბაქოს ბოლი— 1
და სხვ. მხუთავი აირის კონტრტრაცია ქალაქების ჰაერში დამო-
კიდებულია ავტომობილების მოძრაობის ინტენსივობაზე. ასე მავ-
ალითად, პარაზში პატარა ქუჩებზე ის აღწევს 120 მგ/მ³-ს, ხოლო
მსხვილ მაგისტრალებზე — 200 მგ/მ³-მდეა. პრაქტიკულად, მხუთა-
ვი აირით ჰაერის დასკრა ხდება ყველგან, საღაც კი დიდი საავტო-
მობილო გზებია.

ცხოველთა დახურულ სადგომებში მხუთავი გაზი შეიძლება
გაჩნდეს გაზით გათბობისას ან ღუმელებში არასრული წვის შედე-
გად და სხვ.

მხუთავი აირი აღამიანისა და ცხოველებისათვის ძლიერ ტოქ-
სიკურია. ნახშირბადის უანგის ტოქსიკური მოქმედების მექანიზმი

იმაში მდგომარეობს, რომ ის აძევებს ჰემოგლობინიდან უანგბალს, წარმოქმნის რა მასთან მყარ ნაერთს—კარბოქსილ ჰემოგლობინს (HBCO). ამის შედეგად ირღვევა ქსოვილების უანგბალთ მომარტება, ქვეითდება უანგვითი პროცესები და ორგანიზმში გროვდება ნივთიერებათა ცვლის დაუუანგვი პროდუქტები. მოწამვლას ახასიათებს სუნთქვის აჩქარება, ღებინება, კრუნჩხევები, კომატოზური მდგომარეობა. მხუთავი აირის შესუნთქვისას, როდესაც ჰაერში მისი კონცენტრაცია $0,4\text{--}0,5\%$ -ია ($0,4\text{--}0,5$ მლ/ლ ჰაერში), $5\text{--}10$ წუთის შემდეგ ცხოველი იღუპება. მხუთავი აირი ორგანიზმში არ იწევის; ამიტომ საჭიროა მოწამლული ცხოველის სუფთა ჰაერზე, გარეთ გაყვანა. უნიშნავენ უანგბალის შესუნთქვას, უკეთესია უანგბალის (95%) და ნახშირორჟანგის ნარევი (5%). ასეთი ნარევი აღავტნებს სასუნთქ ცენტრს.

გასათბობ საშუალებათა (ლუმელი, გაზი და სხვ.) ნორმალური გამოყენება თავიდან აგვაცდეს დახურულ სადგომში მხუთავი გაზის გაჩენასა და ლაგროვებას. მისი მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციაა $0,002$ მგ/ლ, ან 2 მგ/მ³.

ჰაერის მთვარი და მიკროორგანიზმები

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერის ჰიგიენური შეფასების დროს, გარდა მიკროკლიმატის ჩამოთვლილი პარამეტრებისა, აგრეთვე საჭიროა ყურადღება მიერცეს მტვერსა და მიკროორგანიზმებს. არაიშვითად, ატმოსფეროსა და ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერი შეიცავს უმცირეს მექანიკურ მინარევებს მტვრის, წვეთების, მიკრობების, ჭვარტლის, კვამლის და სხვათა სახით.

მტვერი. როგორც ცხოველთა დახურული სადგომების, ასევე ატმოსფეროს ჰაერი მუდმივად შეიცავს მექანიკურად შეწონადებულ მკვრივ ნაწილაკებს, რომელთა ერთობლიობას მტვერს, ანუ აეროზოლს უწოდებენ. ისინი წარმოადგენენ აეროზოპერსულ სისტემას და შეიცავენ დისპერსულ ფაზას (მტვერი—და სხვა მინარევები) და დისპერსულ გარემოს (ჰაერი). სხვადასხვა ზედაპირებზე დალექილ მტვერს აეროგელს უწოდებენ.

ჰაერის მტვრით დასვრა ადამიანის სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის უველავე მეტად არასასურველი და საშიში მოვლენის 60

ნაა. ეს აიხსნება არა მარტო სხვადასხვა მტკრის ხარისხობრივი, არამედ ფიზიკური ქიმიური თვისებებითაც, რომლებითაც ის მკვეთრად განსხვავდება მისი წარმოქმნელი მასალისაგან (არადასტერიული რეინებულისაგან).

მტკრისაგან ატმოსფეროს ჰაერი თავისუფალი არ არის დიდ სიმაღლეზე და ოკეანების ზონაში. ჰაერის მოძრაობის სისტრაფის ინხედვით აეროზოლი დიდ მანძილზე შეიძლება გადატანილი იქნას და ჰაერში ხანგრძლივად რჩება. ატმოსფეროს ქვედა ფენებზე მტკრის რაოდენობა ჰაერში 0.25 -დან 25 მდე 1 m^3 -ში აღწევს.

ატმოსფეროს ჰაერში მტკრის გაჩენის და დაგროვების მთავარი წყაროა ნიადაგი, გზები, ტყისა და ტორფის ხანძარი (კვამლის მტკრი), ჭვარტლი და ნაცარი, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტების წვის შედეგად ჩნდება და იფრქვევა ჰაერში. განსაკუთრებით მტკრის დიდი კორიანტელი დგება ძლიერი ქარის დროს (ქვიშის ბუღი).

მრავალი გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ ატმოსფეროს ჰაერის დამტკერიანების ხარისხი დაკავშირებულია ამა თუ იმ ზონის სპეციფიკისთვის. ასე, მაგალითად, მტკრის წლიური რაოდენობა აღწევს ქალაქისპირა ზონაში $4—5$ t/km^2 , საცხოვრებელ მასივებში — $80—200$ t/km^2 , ხოლო სამრეწველო დაწესებულებათა ტერიტორიაზე — $400—700$ t/km^2 , ხოლო ზოგჯერ 1000 t/km^2 -საც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია ცნობები, თუ როგორია ჰაერის დამტკერიანების დონე მეცხოველეობის ობიექტებთან. რა თქმა უნდა, აქაც მნიშვნელობა აქვს თუ სად არის ის განლაგებული. გარდა დედამიწისეული მტკრისა, ჰაერში აგრეთვე ჩნდება ე. წ. კოსმოსური მტკრი, მაგრამ მას დიდი სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა არა აქვს. წლის მანძილზე დედამიწის ზედაპირზე დალექილი კოსმოსური მტკრის რაოდენობა აღწევს 0.00007 t/km^2 .

ცხოველთა დახურულ სადგომებში ჰაერის დამტკერიანების წყაროა: ატმოსფერული მტკრი; მტვერი, რომელიც ჩნდება საკვების დარიგების, სადგომის, ცხოველების სადგომში - წმენდის, აღკაზმულობისა და სხვა საგნების გაბერტყვის დროს; ასევე საურადლებოა ცხოველთა ხველების, ბლავილის, ფრუტუნის დროს გამოსროლილი ლორწოს წვეთები. განსაკუთრებით ბევრი მტკერი ჩნდება საფრინველებში და ცხოველთა დაუბმელად შენახვის დროს. ზოგჯერ დახურულ სადგომში პირდაპირ მტკრის ბუღი დგას.

ცხოველთა დახურულ საღომებში ჰაერის დამტვერიანების ხარისხის შესწავლისადმი მიძღვნილი შრომების რაოდენობა საერთო მცირება.

ჰაერში არსებულ მტვრის რაოდენობას ორი მეთოდით საზღვრავენ: 1) აღგენენ 1 მ³ ჰაერში არსებულ მტვრის წონით რაოდენობას მეში, რასაც გრავიმეტრია ეჭოდება და 2) ითვლიან 1 სკ³ ჰაერში არსებულ მტვრის ნაწილაკების რაოდენობას, რასაც კონიმეტრია ეჭოდება. ცხოველთა ჰიგიენაში უპირატესობას გრავიმეტრიას აძლევენ და ძირითად მეთოდად არის აღიარებული.

ჰაერის ტენიანობა აფერხებს მტვრის წარმოქმნას და აჩქარებს მის აეროგელში გადასვლას. ეს იმით არის გაპირობებული, რომ მტვრის სველი ნაწილაკები უფრო მძიმეა და გარდა ამისა, ადგილად ხდება მათი კოაგულირება, ფიფქების გაჩენა, დალექვა. ჰაერის ტენიანობის მატების შესაბამისად იცვლება მტვრის ნაწილაკების შეფარდებაც: მსხვილი ნაწილაკების რაოდენობა მცირდება, ხოლო მცირები, პირიქით—იზრდება.

წარმოშობის ხასიათის მიხედვით ასხვავებენ მინერალურ (არაორგანულ) და ორგანულ მტვერს. მინერალური მტვერი შეიცავს ნიადაგის ფრაირეს ნაწილაკებს (კვარცი, კირი, ცარცი, ტყვია, მარგანეცი, ფტორი, ლარიშხანი და სხვ.). ორგანულ მტვერს მიმდევნება მცენარის, საკვების, ქვეშაფენის, ნაკელის, ეპიდერმისის, ბალნის და სხვა ნაწილაკები. ასევე საყურადღეობა ყვავილების მტვერი, სოკოების სპორები, სხვადასხვა მიკროორგანიზმები და სხვ. ატმოსფეროს ჰაერში მინერალური მტვერი ჭირბობს (2/3—3/4), ხოლო დახურული საღომების ჰაერში—ორგანული (50%—მდე და მეტი).

მტვრის ჰიგიენური მნიშვნელობა. მტვერი ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმზე პირდაპირ და არაპირდაპირ მოქმედებს. ატმოსფეროს ჰაერში არსებული მტვერი იწვევს წყლის რჩქვლის კონდენსაციას და ნამის გაჩენას. ჰაერის მტვერი შთანთქმას მზის სხივურ ენერგიას და მძაფრად ამცირებს სხივურ, განსაკუთრებით ულტრაიისფერ რადიაციას; ამ უკანასკნელს კი როგორც ცნობადია, ცხოველთა ჯანმრთელობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მტვერი და ჰერცოლიტი ფარავს საღომის ფანჯრების მინას და აქვეთებს საღომის ბუნებრივ განათებას, ულტრაიისფერი სხივების 62

ბის შეღწევადობას. არაიშვიათად ინდუსტრიულ ცენტრებში, ქალ-
აქებში, მტვრის ნაწილაკები წარმოქმნიან კვამლის სქელ ფენას,
რასაც მოსდევს ჩამობნელება. სამრეწველო ლანდშაფტისათვის
ძალიან დამახასიათებელია მტვრის ფარდა. უნდა დავძინოთ, რომ
რაც უფრო დიდია ქალაქი, იმდენად მჭიდრო და გამდლეა ეს ფარ-
და. საყურადღებოა, რომ პაერის დამტვერიანება არა მარტო გარე-
მოს შეხედულებას ასვამს დალს, არამედ მნიშვნელოვნად შეუძ-
ლია შეცვალოს მიკროკლიმატი. არაიშვიათად, დიდი ქალაქების თა-
ვზე ჩნდება ტოქსიკური ნისლი; აღარ ხდება პაერის ცირკულაცია
და აღამიანები იხრჩობიან უჰაერობით. ასეთი ტოქსიკური ნისლი
თავს დაატყდა 1952 წლის დეკემბერში ლონდონს. 4—5 დღის გარ-
მავლობაში ქალაქი გახვეული იყო საშინელ ნისლში და 4 ათასი
კცი დაიღუპა.

მტვრის პირდაპირი მოქმედება შეღავნდება კანზე, ლორწოვან
გარსებზე განსაკუთრებით, თვალისა და სასუნთქ ორგანოებზე. აშ
მხრივ განსაკუთრებით საშიშია ქიმიური (მინერალური) მტვერი.
კანის ზედაპირზე დალექილი მტვერი ოფლისა, ცხიმოვან ჯირკვლე-
ბის გამონაყოფებსა, ეპიდერმისის მკვდარ უჯრედებსა და მიკრო-
ორგანიზმებთან ერთად, აღიზიანებს კანს; იწვევს ქავილსა და ან-
თებასაც კი. ერთდროულად ირღვევა კანის თერმორეგულატორუ-
ლი და გამოყოფის ფუნქცია. მტვრის ნაწილაკები ახშობს საოთლე
და ცხიმოვანი ჯირკვლების საღინარებს. რის გამოც კანი კარგავს
ელასტიკურობას და ადგილად ზიანდება მექანიკური ზემოქმედებ-
ით. ცხიმოვანი ჯირკვლების საღინარების დახშობას მოსდევს ფო-
ლიკულარული დერმატიტის, ხოლო ჩირქმბადი კოკებით გართუ-
ლებისას, პიოდერმის აღმოცენება. თვისთავად ცხადია კანის
მთლიანობის დარღვევა კარს უხსნის ინფექციას. დიდი მტვერი
ანაგვიანებს ცხვრის მატყლს და სცემს მის სასაქონლო ღირსებას.
თვალის ლორწოვან გარსზე მოხვედრილი მტვერი იწვევს კონიუნ-
ქტივიტისა და კერატიტის, რაც ხშირია ძლიერი ქარების დროს.

ორგანული ხასიათის მტვრიდან, ზოგიერთ მნიშვნელობას მი-
აწერენ ყვავილოვან მტვერს. ასეთი მტვერი ბევრი ჩნდება მცენა-
რეთა მასიური ყვავილობის დროს. ბალახის ყვავილების მტვერი
ცხენს ულიზიანებს ზედა სასუნთქ გზებს (ე. წ. „თივის კატარი“),
ხოლო აღამიანებში იწვევს ალერგიულ დავადებას.

მტვრის მთავარი პიგიენური მნიშვნელობა მისი სასუნთქ ღანკობზე ზემოქმედებაში მდგომარეობს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია მინერალური მტვერი. სასუნთქ ორგანოებზე მტვრის ზემოქმედების ხასიათს საზღვრავს მტვრის ნაწილაკების სიღილუ, დისპერსულობა, სასუნთქ გზებში შეღწევის სიღრმე და იქ ხანგრძლივად დარჩენის უნარი. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად მნიშვნელობა აქვს ჰაერში არსებულ მტვრის რაოდენობას, ნაწილაკების ფორმას, ხსნადობასა და ტოქსიკურობას. მრავალი მკვლევარის მონაცემებით დადასტურებულია, რომ განსაკუთრებით საშიშია მტვერი, რომლის ნაწილაკების ოდენობა 0,2-დან 5 მიკრომს უდაბენს. ასეთი მტვერი აღწევს ალვეოლებამდე და მისი 60—100% იქ ილექება. მტვრის ნაწილაკები, რომელთა ოდენობა 10 მიკრომზე მეტია, მთლიანად ზედა სასუნთქ გზებში კავდება, ხოლო 10-დან 5 მიკრონიანი მტვერი 80—100%-ით. 0,2 მიკრონის მტვრის ნაწილაკები განუწყვეტელ ბროუნულ მოძრაობაში იმყოფებიან და ალვეოლებში მათი მცირე რაოდენობა იღებება. მათი ძირითადი მასა ამოსუნთქულ ჰაერს ამოჰყება.

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის მტვერი, რომელიც ჭარბობს ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში, როგორც წესი, მთლიანად კავდება ზედა სასუნთქ გზებში (ცხვრის ღრუ, ხორხი, ტრაქეა, მსხვილი და საშუალო ბრონქები), ამდენად, მცირე ხნით ცხოველის ყოფნა ასეთა გარემოში დიდად საზრანო არ არის, ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსა, დალექილი მტვერი თანდათანობით გამოდის გარეთ, დახველებით, ფრუტუნით, მოციმციმე ეპითელის წყალობით. მტვრის ნაწილი ალაგდება, ფაგოციტებით და ასევე ლორწოში გახსნით. მიუხედავად მისა, საჭიროა ვაცოდეთ, რომ თუ ლორწოვან გარსზე სისტემატურად ხვდება მტვერი, მას შეუძლია სასუნთქი ორგანოების დაავადება გამოიწვიოს.

მტვრის ნაწილაკები იწვევენ ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის დაზიანებას (ტრავმას), მიკრობების შეჭრას და ამით ხელს უწყობენ მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების ჩამოყალიბებას (რინიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი და სხვ.).

საკვებით ან წყლით მომნელებელ სისტემაში მოხვედრილი მტვრის ნაწილაკები დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა ფეკალთან ერთად გამოდის გარეთ, ხოლო ნაწილი იხსნება ლორწოსა და სხვა სითხეებში. მხოლოდ მსხვილი მტვრის

დიდი რაოდენობით მოხვედრას. მომნელებელ სისტემაში შეუძლია
ისეთ დაავადებათა გამოწვევა, როგორიცაა, ნაწლავების დანაგვა-
ანება ქვიშით და სხვ.

ცხოველის დიდი ხნით ყოფნა ძლიერ მტვრიან ჰაერზე, სასუ-
რველი არ არის; ის აღიზიანებს ცხოველს და არღვევს ნორმალურ
ფუნქციებს. ძლიერ მტვრიან ჰაერში ყოფნისას ცხოველს ეწყება
ზედაპირული სუნთქვა, არ ხდება ფილტვების სრული ვენტილაც-
ია, რის შედეგად შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა დაავადება. 6.
კრაკოსევიჩმა დაამტკიცა, რომ ოუ ცხოველი შეისუნთქავს ჰაერს,
რომელშიც მტვრის რაოდენობა აღწევს 0,6—6 მგ/მ³, ვითარდება
მნიშვნელოვანი ცვლილებები. ასე, მაგალითად ფილტვების ვენ-
ტილაციის მოცულობა მცირდება 7,2%-ით და უანგბადის გამოყე-
ნება 3—4%-ით. ოუ მტვრის რაოდენობა 1 მ³ ჰაერში აღწევს 1,8—
—4,8 მგ-ს, ბოცვერის ფილტვების ვენტილაციის მოცულობა საშ-
უალოდ მცირდება 9,3%-ით, ხოლო უანგბადის მოხმარება—8,8%-
ით. მტვრის მავნე მოქმედების ხსიათი დამოკიდებულია 1 მ³ ჰაე-
რში მის რაოდენობაზე, ნაწილაკების სიდიდესა და მტვრის ქიმიურ
თვისებებზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მტვრის მოხვედრასა
და დალექვას ალვეოლებში. ალვეოლებამდე ძირითადად მცირე
დისპერსულობის მქონე მტვრის ნაწილაკები აღწევენ. ამ მხრივ
განსაკუთრებით საშიშია მტვერი, რომლის ნაწილაკების სიდიდე
0,2-დან 5 მიკრონამდეა. ასეთი სიდიდის ნაწილაკების მქონე მტვე-
რი თითქმის მთლიანად ალვეოლებში ილექტება. ალვეოლებში და-
ლექილი მტვრის ნაწილაკები იჭრებიან ეპითელურ უჯრედებს შო-
რის სივრცეში, ლიმფურ ნაპრალებში. და თანდათანობით უფრო
ღრმად. მტვრის ნაწილი კავდება ლიმფურ საღინარებში, ან აღ-
წევს ბრონქიალურ ლიმფურ კვანძებს, საიდანაც შესაძლებელია
მათი გატანა სხვა ქსოვილებსა და ორგანოებში და დაიწყება მტვ-
რის მავნე მოქმედება მთელ ორგანიზმზე. ბრონქიალურ ლიმფურ
კვანძებში მოხვედრილი და შეკავებული მტვერი დიდ საშიშროე-
ბას არ წარმოადენს. მთავარი მნიშვნელობა აქვს მტვერს, რომე-
ლიც ლიმფურ საღინარებში ილექტება. ეს მტვერი აზიანებს ფილ-
ტვის ქსოვილს და ხელს უწყობს სკლეროზული მოვლენების აღმო-
ცენებას, რაც საბოლოოდ მთავრდება ფიბროზით — ფილტვებში
ჩნდება გამჭვრივებული ქერები; ასეთი ქერები კარგავენ სუნთქ-

ვის უნარს და ვითარდება მძიმე, ქრონიკული დაავადება.

მტკრის ნაწილაკებით ფილტვის ქსოვილის გაუღენთვა — პნევმოკონიზეს უწოდებენ. ამ დაავადების გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ხასიათის მტკრის. პნევმოკონიზეს ახტებით ფილტვის შეგუბება, შემაერთებელი ქსოვილის ჰიტეროპლაზია, ფილტვის ქსოვილის უჯრედების დაშლა, დაღუპვა და მათ ადგილზე მკვრივი ფიბროზული ქსოვილის ჩატრდა. პნევმოკონიზის დროს ფიბროზს შეიძლება ჰქონდეს კერობრივი ხასიათი, ან შეიძლება ის მოდებული იყოს მთელ ფილტვებზე — დიფუზური ბნევმოკონიზი.

ცნობილია პნევმოკონიზის შემდეგი სახეები: ტაბაკოზი — თამბაქოს ჭვარტლით ფილტვების გაუღენთვა (დამახასიათებელია ადამიანისათვის); ანთრაკოზი — ქვანახშირის მტკრით ფილტვების გაუღენთვა. უმეტესად ადამიანის დაავადებაა; აღრე ცხენებშიც ალინიშნებოდა, რომელთაც ქვანახშირის მაღაროებში ამუშავებდნენ. სილიკოზი — კაჟის მტკრით ფილტვების გაუღენთვა, ცემენტოზი, და სხვ.

პნევმოკონიზებიდან ყველაზე საშიში და გავრცელებული დაავადება, განსაკუთრებით ადამიანში, სილიკოზი. სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში სილიკოზი შედარებით იშვიათი დაავადებაა.

სილიკოზი ადამიანის ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც იწვევს სილიციუმის სამრეწველო მტკერი. როგორც ბ. ველიჩკოვსკი აღნიშნავს, ადამიანის სილიკოზი შრომის ჰიგიენისა და პროფესიული პათოლოგიის პირველხარისხსვანი პრობლემაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად სილიკოზით დაავადების რისკის ქვეშ იმყოფება 2—3 მლნ ადამიანი; იტალიაში — 1 მლნ. ამათგან კვდება 1%.

როგორც ნ. ვიგდორჩიკი აღნიშნავს, ადამიანის სილიკოზი ფილტვების მძიმე დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს მძიმე კლინიკური მოვლენები და სიკვდილით მთავრდება. დამტკიცებული იქნა, რომ სილიკოზით ადამიანები უძველეს დროშიც ავადლებოდნენ. ეს გარემოება დაადასტურა ეგვიპტის მუმიების შესწავლაში. მუმიების ფილტვებში აღმოაჩინეს სილიკოზისათვის დამახასიათებელი ცვლილებები. საერთოდ ადამიანის პნევმოკონიზი უძველესი დაავადებაა და ის სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი, როგორიც არის „ქვანახშირის მთხრელთა ჭლექი“, „ქვის მთლელ-

თა ჭლექი“ და სხვ. სახელშოდება „პნევმოკონიოზი“ პირველად 1886 წელს შემოიღო გერმანელმა ექიმმა ცენკერმა. ეს სიტყვა შე-რძნულია და ნიშნავს „ფილტვების დამტვერიანებას“. მეცნიერთა უმრავლესობა პნევმოკონიოზად თვლის ისეთ დაავადებას, რომელიც ხასიათდება ფილტვის პარენქიმაში შემაერთებელი ქსოვილის პროლიფერაციით და დიფუზური ან კერიბრივი ფიბროზის ჩამოყალიბებით. აღამიანის სილიკოზის ჩამოყალიბებას დიდი დრო — 10—15 წელი და მეტი სჭირდება. რაც უფრო დიდხანს მუშაობს აღამიანი სამრეწველო მტვრის პირობებში, მით ხშირია სილიკოზით დაავადება. ასე, მაგალითად, ასეთ პირობებში 16—20 წლის მანძილზე მომუშავე აღამიანების 80% სილიკოზის პირველი ან მეორე სტადიითა დაავადებული.

სილიკოზს იწვევს სილიციუმის ორჟანგის მტვრით დასვრილი ჰაერის ხანგრძლივად ჩასუნთქვა. თუმცა სილიკოზი პროფესიული დაავადებაა, მაგრამ დღეს ის მოსახლეობის დიდი კონტინგენტისათვის საშიშროებას წარმოადგენს, განსაკუთრებით, მსხვილ სამრეწველო ქალაქებში. საყურადღებოა, რომ სამრეწველო ცენტრების ჰაერის მტვერი ძირითადად მინერალური ხასიათისაა და მასში სილიციუმის ორჟანგის რაოდენობა 23,8%-ს აღწევს. მრავალი იმის დამადასტურებელი ცნობა არსებობს, რომ ასეთ ზონებში მოსახლეობაში ხშირია დიფუზური პნევმოსკლეროზის საწყისი სტადიები. ის განსაკუთრებით სჭარბობს ბავშვებში.

როგორც აღნიშნეთ, სილიკოზის გამომწვევი მიზეზია სილიციუმის ორჟანგის მტვერი. სილიციუმი (Si). მენდელეევის სისტემის IV ჯგუფის ელემენტია. უანგბადის შემდეგ ის ბუნებაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. დედამიწა (ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ჩათვლით) შეიცავს თავისი წონის 1/4 ნაწილს სილიციუმის სახით. საყურადღებოა, რომ ბუნებაში თავისუფალი სილიციუმი არ მოიპოვება. სუფთა სილიციუმი მხოლოდ ლაბორატორიებში მიიღეს. ბუნებაში ვხვდებით სილიციუმის სხვადასხვანაერთს. ყველაზე მეტად გავრცელებულია უანგბადთან სილიციუმის ნაერთი — სილიციუმის ორჟანგი (კაჟი). თავისუფალი სილიციუმის ორჟანგი უმეტესად კვარცის ფორმით ვკევდება, რომელიც წარმოქმნის გრანიტს და ფართოდ გავრცელებულ ე. წ. მთის ქანებს. სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებით მთის ქანები იშლება, ჩამოირეცხება და კვარცის მარცვლებისა და მცი-

რე ნამსხვრევების სახით ჩაირეცხება მდინარეებში, ხოლო ამ გზით — ზღვასა და ოკეანეებში. მოქცევის დროს ზღვა მას ქვიშის სახით გამორიყავს.

ბუნებაში კვარცის ორ ფორმას ვხვდებით: კრისტალურს და ამორფულს. ამორფული კვარცი ნაკლებად საშიშია და არ იწვევს სილიკოზს. სილიკოზის გამომშვევია კრისტალური კვარცის წვრილ-დისპერსული ფორმა (ნაწილაკების სიდიდე 0,2—5 მიკრონი). გან-საკუთრებით საშიშია ახლად წარმოქმნილი კრისტალური კვარცის მტვერი.

სილიკოზით ადამიანის დაავადების გაფრთხილების მიზნით და-დგენილია ჰაერში კრისტალური სილიციუმის ორეანგის ზღვრული რაოდენობა. ის არ უნდა აღემატებოდეს 1-დან 4 მგ/მ³-ში.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში სილიკოზის გავრცელების საკითხი საკმარისად არ არის შესწავლილი. ა. სკოროხოდვო აღნიშნავს, რომ სილიკოზს თითქმის ყველა სახის ცხოველში ვხვ-დებით და ის საკმარისადაა გავრცელებული. ეს ნაკლებად სარწმუნოა; როგორც ცნობილია ადამიანში სილიკოზის ჩამოყალიბებას 10—15 წელი სჭირდება. შინაურ ცხოველებს კი ასე ხანგრძლივად არ ინახავენ. ამდენად, სილიკოზი შეიძლება აღმოაჩნდეს მხოლოდ ფრიად ხანდაზმულ ცხოველს.

შინაურ ცხოველებში სილიკოზის გავრცელების საკითხი სპე-ციალურად შეისწავლა ვ. მატუსევიჩმა. მან გამოკვლევები ჩაატა-რა ცხერებზე. დადგინდა, რომ ახალგაზრდა ცხვრის ფილტვებში სილიციუმის ორეანგის დაგროვება მცირეა და ის არ აღემატება 1,4 %-ს; სამწლიან ცხვარში კი აღწევდა 3,75 %-ს. გარდა ბუნებ-რივი შემთხვევებისა, მან ჩაატარა ექსპერიმენტები ბოცვერზე, ცხვარსა და მოზვრებზე. ბოცვერში ექსპერიმენტული სილიკოზის გამოწვევა ძნელი არ არის; საკმარისა მას ტრაქეაში შეუყვანონ 40—50 მგ კვარცი, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მათ ჩამოუყალ-იბდეთ ტიპობრივი სილიკოზი. კვარცის სხვა გზით შეყვანა (პირის ღრუდან, მუცლის ღრუში, ვენაში) სილიკოზს არ იწვევს.

ცხოველთა დახურული საღგომების ჰაერის დამტვერიანების გასაფრთხილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი გაჩენის წყარ-ობი და ვებრძოლოთ მათ.

1. არ დავუშვით იატაკისა და დერეფნების მშრალი დაგვა; კედლებზე, ფანჯრებზე და სხვა ზედაპირებზე დაგროვილი მტვერი სველი ჩვრით მოვაშოროთ.

2. არ შეიძლება ცხოველთა კანის წმენდა სადგომში. ეს და-
საშვებია მხოლოდ მტვერსასრუტის გამოყენებით.

3. მტვრიანი საკვები და ქვეშაფენი უნდა გაიბერტყოს გარეთ
და არა სადგომში.

4. როცა ცხოველები მიკიონზე იმყოფებიან, გავაღოთ კარგი
ები, ფანჯრები გასანიავებლად და მტვრიანი ჰაერის გასაძევებლად.

5. ელექტრიფიცირებულ ფერმებში უნდა გამოვიყენოთ მტვ-
ერსასრუტი.

6. სავენტილაციო დანალგარს შემწოვ და გამომწოვ მილებში
უნდა მოთავსდეს მტვერშემქავებელი ფილტრები.

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა ღონისძიებების გატარება. რა-
თა გარემოში, სადგომების ირგვლივ შევამციროთ მტვრის წარმოქ-
მნის წყაროები.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერში მტვრის რაოდენობა
არ უნდა აღემატებოდეს 2—5 მგ/მ³-ს.

ჰაერის მიკროორგანიზმები. როგორც ატმოსფეროს, ასევე ცხო-
ველთა დახურული სადგომის ჰაერში მუდმივად მოიპოვება მიკ-
როორგანიზმები. ისინი ფიქსირებული არიან მტვრის ნაწილაკებ-
სა და სითხის წვეთებზე. პრაქტიკულად ყოველი აეროზოლი მიკ-
რობებს შეიძლავს. მკვრივი ან თხიერი სუბსტრატის გარეშე ჰაერში
მიკროორგანიზმები ჩვეულებრივად არ მოიპოვებიან. თავისუფა-
ლი სახით ჰაერში მხოლოდ სოკოების სპორები შეიძლება იყოს. ჰა-
ერში არსებული მიკროორგანიზმები მტვერთან ერთად ილექტებიან
სხვადასხვა ზედაპირებზე. ჰაერის მოძრავ ნაკადს მიკროორგანიზ-
მები მნიშვნელოვან განძილზე შეუძლია გადაიტანოს.

ჰაერი საზოგადოდ არ წარმოადგენს ხელსაყრელ გარემოს მიკ-
როორგანიზმებისათვის და ისინი აქ მაღვე იღუპებიან გამოშრობის,
სხივური ენერგიის, განსაკუთრებით — ულტრაიისფერი რადიაციის
გავლენით. რაც მთავარია, ჰაერში არ არსებობს მიკროორგამიზმე-
ბისათვის საჭირო სასაზრდოო ნივთიერებანი. სწორედ ამიტომ მიკ-
რობთა დიდი რაოდენობა ჰაერში მაღვე იღუპება. თუ რამდენ ხანს
ძლებენ ისინი ჰაერში, არ არის კარგად შესწავლილი. საპროფექტი
მიკრობები უფრო დიდხანს ძლებენ, ხოლო პათოგენურები — ნაკ-
ლებს. მეტი და ხანგრძლივი გამძლეობით ხასიათდებიან სპორები.

ატმოსფეროს ჰაერში მიკროორგანიზმების რაოდენობა სხვადა-
სხვაა. 1 მ³ ჰაერში შეიძლება იყოს რამდენიმე ათეული ან ასეული

მიკრობი. ქალაქებისა და დასახლებული ზონების ჰაერში მიკრობთა რაოდენობა მეტია, ვიდრე ტყის, მინდვრის, საძოვრის, ზღვისა და ოკეანების ჰაერში. ძლიერი ქარი ზრდის მტკრისა და მიკრობების რაოდენობას; ატმოსფერული ნალექები კი ატკირებს. მიკრობთა რაოდენობა ჰაერში მეტია გაზაფხულზე და ზაფხულში, ვიდრე შემოდგომასა და ზამთარში.

ატმოსფეროს ჰაერში 100-მდე სახის სხვადასხვა მიკრობია აღმოჩენილი, ძირითადად საპროფიტები. რაც შეეხება პათოგენურ მიკრობებს, ისინი ატმოსფერულ ჰაერში პრაქტიკულად არ მოიპოვებიან.

ჰაერში არსებულ მტკრის ნაწილაკებზე ფიქსირებული მიკრობები დიდ მანძილზე შეიძლება გავრცელდნენ. ზომიერ ქარი მიკრობები შეუძლია გადაიტანოს 30 კმ-ზეც კი. არის შეხედულება, რომ დედამიწაზე მიკრობები კოსმოსურ მტკრსაც შეუძლია მოიტანოს. ჰაერის ბაქტერიული დასვრა მეტია მეცხოველეობის მეურნეობების ზონაში. აქ ჰაერის მეოხებით ინფექციის გავრცელებაც კი შესაძლებელია.

ჰიგიენური თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ცხოველთა დახურული საღვომების ჰაერის ბაქტერიული დასვრა. ცხოველთა დახურული საღვომების ჰაერში მიკრობების შენახვის უფრო ხელსაყრელი პირობებია, ვიდრე ატმოსფეროს ჰაერში. აქ თითქმის გამორიცხულია ულტრაიისფერი რადიაციის გავლენა: მნიშვნელოვნად შემცირებულია კუბატურა, მიღლია ჰაერის ტენიანობა და სხვ. როგორც მრავალრიცხოვანი გამოკვლევებითაა დადგენილი, დახურულ საღვომის ჰაერში მიკრობთა რაოდენობა 50—100-ჯერ მეტია; ვიდრე ატმოსფეროს ჰაერში. რა თქმა უნდა, ცხოველთა დახურული საღვომის ჰაერში ძირითადად საპროფიტული მიკროორგანიზმები იმყოფებიან, მაგრამ საკმარისად ხშირად აგრეთვე მოიპოვებიან პათოგენური და ნახევრადპათოგენური მიკრობებიც. ცხოველთა დახურული საღვომის ჰაერში პათოგენური მიკრობების დაგროვების ძირითადი წყაროა აშკარა ან ფარული ფორმით დაავადებული ცხოველები. რომლებიც მრავალ გამონაყოფთან ერთად (ლორწო, ნერწყვი, შარდი, ფეხალი და სხვ.) აფრიკებს მათ. პათოგენური მიკრობებით დასვრილი ჰაერი არაიშვიათად ინფექციის გაჩენის წყაროა. მაგალითად, მეცხოველეობის კო?

პლექსებში გახშირდა ე. წ. რესპირატორული ინფექციები, რომლებიც ძირითადად ინფიცირებული ჰაერის საშუალებით აღმოცენდებიან და ვრცელდებიან. ინფექციებს, რომლებიც ჰაერის საშუალებით ვრცელდებიან, აერო გენულ ინფექციებს უწოდებენ ცნობილია აეროგენული ინფექციის ორი ფორმა: მტვროვანი და წვეთური.

მტვროვან ინფექციის მიეკუთვნება ტუბერკულოზი, ზოგჯერ ცისტიკული წყლული და ბევრი ფილტრში გამავალი ვირუსით გამოწვეული დააგადება. ავაღმყოფი ცხოველების გამონაყოფები (ნახველი, ლორწო, ფეკალი და სხვ.) საღომში შრება, ხმება, წვრილ ნაწილაკებად ჭრის მიერთა ერთად ჰაერში ატივტიგდება. ასეთი მიკრობებით ჰაერის მასიური დასკრის შემთხვევაში, მისი ჩასუნთქვით ხდება ცხოველის დააგადება. რაც უფრო დისპერსულია მტვერი, მით საშიშია მტვროვანი ინფექცია. ამ მხრივ მეტი მნიშვნელობა აქვს ინერტულ მტვერს, რომელიც არ აღიზიანებს სასუნთქ გზებს და არ იწვევს დამცველობითი ფაქტორების ამოქმედებას (ხველება, ფრუტუნი, ცხვირის ცემინება და სხვ.). ეს საშუალებას აძლევს პათოგენურ მიკრობს ღრმად შეიჭრას სასუნთქ გზებში, სწრაფად გავრცელდეს და გამოიწვიოს დაავადება.

წვეთური ინფექცია აღმოცენდება ავაღმყოფი ცხოველის მიერ გამოფრქვეული და პათოგენური მიკრობების შემცველი წვეთების განმრთელი ცხოველის სასუნთქ ორგანოებში მოხვედრით. ინფიცირებული წვეთების ამოფრქვევა ხდება დახველებით, ბლავილით, ფრუტუნით და სხვ. ასევებენ მსხვილწვეთოვან ბაქტერიულ აეროზოლს და წვრილწვეთოვან აეროზოლს. უფრო მსხვილი და მძიმე წვეთები მაღა ილექება, ხოლო წვრილდისპერსული ექვემდებარება ძლიერ დისპერსული აეროზოლების გამძლეობის საერთო კანკალი. ჰაერის ძალზე უმნიშვნელო სიჩქარით მოძრაობას (0,0001—0,0002 მ/წ) შეუძლია უმცირესი წვეთები მთელ საღომში გაავრცელოს.

ნახველისა და საზოგადოდ ლორწოს წვეთები უფრო პძიმეა, ვიღრე ნერწყვისა და წყლის, რის გამოც ისინი უფრო სწრაფად ილექებიან. მიაჩნიათ, რომ მსხვილი წვეთები სუსპენზირებულ შდგომარეობაში რჩებიან 30 წუთამდე, ხოლო წვრილი—4—6 საათი; უახლესი მონაცემებით კი ორი დღე და მეტიც. ძირითადი

ძნი ძველობა აეროგენული ინფექციების გავრცელებაში ბაქტერიული აეროზოლის წვრილწვეოვან ფაზას ეკუთვნის.

ეპიდემიოლოგიაში მიღებულია ,რომ ლაპარაკისა და ხველების დროს საშიში ზონა ავადმყოფიდან 1,5 მ-ს აჩ აღემატება. რა თქმა უნდა, ამ დებულების გავრცელება ცხოველებზე შეუძლებელია. კარგადაც ცნობილი, რომ ხველების დროს ცხოველები უფრო ძლიერი ბიძგებით გადმოისვრიან ამ წვეთებს; ამასთან ერთად ცხოველთა დახურულ სადგომში ჰაერის მოძრაობა უფრო ჩქარია, ვიდრე საცხოვრებელ სახლში. ისიც საყურადღებოა, რომ დაბმულ ან ერთ ღოლფარაში მოთავსებულ ცხოველებს შორის კონტაქტი უფრო მჭიდროა, ამიტომ ცხოველთა პათოლოგიაში წვეთური ინფექციის პირდაპირი გავრცელების საშიში ზონა გაცილებით დიდია.

ამ საკითხის გასარკვევად ვ. პიჩუგინმა და ვ. ალიკაევმა სპეციალური ცდები ჩაატარეს. ისინი ფურებს პირის ღრუში ავლებდნენ მიკრობი პროდუგიოსუსის კულტურას (ეს მიკრობი აგარზე წითელ კოლონიებს იძლევა). ფურებიდან სხვადასხვა მანძილზე ათავსებდნენ პეტრის ფინჯნებს ავარ-ავარით. ცხოველებში იწვევდნენ იძულებით ხველებას. ცხოველების მიერ გადმოსროლილი წვეთები ითესებოდა პეტრის ფინჯანზე. დადგენილი იქნა, რომ თუ ჰაერის მოძრაობა 0,05—0,1 მ/წმ-ია და ემთხვევა ხველებით ამოფრქვეული წვეთების მოძრაობას, ხველებით ამოფრქვეული წვეთები გადისროლება 5 მ მანძილზე; თუ ჰაერის მოძრაობა საწინააღმდეგოა — 3,5 მ-ზე, ამ დროს წვეთების გაფრქვევის განი 2 მ-ს შეადგენს. მეორე ცდაში განმრთელი მოზარდი დააბეს ზღავზე, რომლის მოპირდაპირე მხარეზე იმყოფებოდა ტუბერკულოზის მძიმე ფორმით ავადმყოფი ფური. მათ შორის მანძილი 2—2,5 მ იყო. ცხოველები თავებით ერთმანეთისაკენ იყვნენ მიქცეულნი. ხუთის თვის შემდეგ მოზარდები დაავადდნენ ტუბერკულოზით. წვეთური ინფექციის კლასიკურ მაგალითს ტუბერკულოზი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, გარდა ტუბერკულოზისა ამ გზით სხვა ინფექციური სწრულებებიც ვრცელდება და პირველ რიგში ე. წ. რეაპირატორული ინფექციები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერის ბაქტერიული დასვრა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ატმოსფერული ჰაერისა. ჰაერის ბაქტერიული დასვრის ხარისხს ად-

շընեն 1 թ³ Ֆայրֆի առևելական մոյրութա հառաջենութա. Կեռուցածա
գուշուրսուն սագցոմեծին Ֆայրի ծայրական գուցալու
մշակութա սիրացութա դա մուս Շեստեց սայմարինու վրանցի քայլեցա.
Ժհուենու գուշուրսուն սագցոմեծին Ֆայրի ծայրական գուցալու
ա. Կողորոշուրսուն սագցոմեծին Ֆայրի ծայրական գուցալու
121000—2530000 1 թ³ Ֆայրֆի; Եցրու վրանցի ու Շեագցեցն
45000—60000 թ³-ի. Իզենմա գաւուրամ Շեստացու մերժեցուն յոմ-
կլայի քայլեցին Կեռուցածա սագցոմեծին Ֆայրի ծայրական գուցա-
մոյրութա հառաջենուն 1 թ³ Ֆայրֆի ալֆիցու: Սամանուարու զան-
պուուրեցան 75—156 առասն, Կրուցուլայի ու հունին 50—156 առասն,
Սասծորեցի յու — 280—340 առասն.

Տարուրու Ֆայրի ծայրական գուցալուն սագցոմեծին Կարուսեմա Շեումանց
մուալֆինու: 246 առասն (Եցմուռու), 1146000 (գուշերու); Սագրունց-
լուն Ֆայրֆի: 1600 առասն (Մարյու), 18840 առասն (Եցսարածու),
9470000 (Կուպումանէց) դա ա. Ռ.

Կեռուցածա գուշուրսուն սագցոմեծին Ֆայրֆի մոյրութա յանաշո-
լեցա յայլան յրտնասիրու ար արու. յս զամուցուցուն արա մար-
թու Տաթարմոռ-Երեմունցուցուն Վրուցեցին եսսուաթիւ, արամեց այ-
րութուրունուս դա Ֆայրի մոներամեանց; ու Եմուրաց յոտեցցա այրո-
թուրուն Ուգալուցունան.

Մոյրուուրգանցութեցիութա յայլան մերտաց յայլենուունուա Ֆայրի
Կեռուցածա գուշուրսուն Ֆոնան: ուսուն Տայպեցին մուսաթուցեցլ յուրեց-
նուն Ֆայրֆի մերտա, վուրդի նայելուն յասաբան յուրեցնուն Ֆայրֆի.
Շունունութեց մերտա, վուրդի լամուտ. Ֆայրի ածուլութուն Երենանունուն
Ֆոնա ովցուն մոյրութա հառաջենունուն Շեմուրեցան Ֆայրֆի. Ֆայրի նա-
յալունուն Շեյսկան Մամբուրուն, ան Տորոյիու — յաճարլուն մոյրու-
թա հառաջենուն. մոյրութա յայլան դուռու հառաջենուն սագցոմեծին
Շուն Ֆոնան դագրուունու. յասթարու յելլունուն մոմարտուլունուու
մատու հառաջենուն մուրութա ալապացուն յարեթան յու մոյրութա
հառաջենուն Ֆայրի մույլ սուսկեցի մշակութա մուրութա հաց յա-
րեցան Շեմուսունուն սույտա Ֆայրի յաճարաց յայլեցի.

Սագցոմեծա դա Կեռուցածա մոմարտ Բաթարեցուն յայլա Տաթար-
մոռ Վրուցեցին Ֆայրֆի մոյրութա դա միւրուն դագրուունուն
Շունուն եցլուն. ամ Վրուցեցիութա մենշենցունուն յայլեցի Տայպեցին
մութուցիա, Կեռուցածա յաճարաց Շմենուն դա Ֆոնայի դուռունուն
դոգցուն դա յայլեմսագրուն յամուրունուն դորու մշակութա ութիւնուն

მიკრობთა რაოდენობა ამ ზონაში და იატაკიდან 120 სმ სიმაღლე-
ზე 2 საათის განმავლობაში ჰაერი გაუღენთილია მიკრობებით. კე-
დლებისა და ჭერის მშრალად ჩამოგვა იქვევს 1 მ³ პარტიაში 18 თ-
ლიონამდე მიკრობის დაგროვებას. 2—3 საათის შემდეგ მიკრობთა
რაოდენობა მცირდება. ისინი მტვერთან ერთად ილექტებიან იატაკ-
სა და სხვა ზედაპირებზე. ცხოველთა დახურული სადგომების ჰაე-
რის ბაქტერიული დასვრა დამრკიდებულია ამ ზონაში გარემო ჰაე-
რის ძლიერ დამტვერიანებასა და მიკრობებით გაუღენვასთან.

რაც შეეხება ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერის მიკრო-
ორგანიზმების სახეობრივ შედგენილობას, ის ძირითადად საპრო-
ფიტულია და დიდად არ განსხვავდება მოცემული ზონის ნიაღა-
ვის, საკვებისა და წყლის მიკროფლორისაგან. ჰაერში ჭარბობს მიკ-
რობთა სპოროვანი და პიგმენტური სახეები; ასევე საფუარისა და
ობის სოკოების სპორები, როგორიცაა ასპერგილუს, მუკორ, პენი-
ცილიუმ და აქტინომიცეს. ჰაერში ბევრია აგრეთვე სხვადასხვა კო-
კები. უფრო ხშირად ჰაერიდან გამოიყოფა ისეთი ბაცილიები, რო-
გორიცაა: სუბტილის, მეგათერიუმის, მიკოიდეს, მეზენტერიკუს ას-
სხვ. მიკროკოკები: კანდიკანს, ციტრეუს და სხვ.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერიდან არაშეგიათალ
გამოიყოფა ზოგიერთი პათოგენური და პირობით პათოგენური
მიკრობები. ასეთებს მიეკუთვნება პასტერელა, სალმონელა, ბრუ-
ცელა, ლისტერელა; ტუბერკულოზისა და პარატუბერკულოზის
ჩხირი; გაზოვანი განგრენის გამომწვევი კლოსტრიდები, ნაწლავის
ჩხირი, პსევდომონას ერუგინოზა, სტაფილოკოკები, სტრეპტოკო-
კები, ბაცილუს ანთრაცის (სპორები), თურქულის, ღორის ჭირის,
პარაგრიპის, მარეკის დაავადების გამომწვევი ფილტრში გამავალი
ვირუსები და სხვ. სადგომის ჰაერში პათოგენურ და ნახევრაუ-
პათოგენურ მიკროორგანიზმთა გაჩენისა და დაგროვების წარმო-
და მიზეზია სადგომში აშკარად ავაღმყოფი, ფარული ფორმით ავაღ-
მყოფი და ბაცილ—ვირუსმტარებელ ცხოველთა შენახვა.

ცხოველთა დახურული სადგომის ჰაერის ბაქტერიული დაწ-
რის ჰიგიენური მნიშვნელობის განსაზღვრისას უნდა გავითვალი-
შინოთ თუ როგორი მიკროფლორითაა ჰაერი დასვრილი: საპრო-
ფიტული თუ პათოგენური.

ობლიგატური პათოგენური მიკრობებით დასვრილი ჰაერის
ჰიგიენური მნიშვნელობა აშკარაა: ასეთი ჰაერი შინაურ ცხოველ-

თა სხვადასხვა საშიშ ინფექციურ სწორულებათა წყაროა. ასეთ სა-
დგომებში ჯანმრთელ ცხოველთა ხანგრძლივ შენახვას მოჰყვება აე-
როგენული ინფექციების გაჩენა. ზოგიერთი მკვლევარის ძალით
თუ ჰაერში პათოგენური ნაწლავის ჩხირის რაოდენობა 1 მ³-ში
აღმატება 4500-ს, ეს უკვე ინფექციის ფეთქების საშიშროებას
იწვევს.

რაც შეეხება საპროფიტული მიკრობებით ჰაერის დასვრის
ჰიგიენურ მნიშვნელობას, ეს საკითხი დღემდე მთელი სილრმით
შესწავლილი არ არის. მაგრამ ლიტერატურაში მოიპოვება გარკვე-
ული ცნობები იმის შესახებ, რომ ჰაერის საპროფიტული მიკრო-
ბებით ძლიერი დასვრა უარყოფითად მოქმედებს ცხოველის ორგა-
ნიზმის საერთო მდგომარეობაზე და არღვევს მთელ რიგ პროცე-
სებს. ასე, მაგალითად, ვ. ცკუმანსკის ცნობით, თუ საფრინველს
ჰაერის 1 მ³-ში 250000-ზე მეტი მიკრობია, ეს იწვევს ე. წ. მიკ-
რობულ სტრესს. გ. პეტკოვის გამოკვლევებით საფრინველის ჰაე-
რის დიდი მიკრობული დასვრა იწვევს ფრინველის სისხლის შრა-
ტში ცილების შემცირებას; განსაკუთრებით ძლიერ მცირდება
ტრიპტოფანის რაოდენობა; ქვეითობა ფერმენტების აქტიურობა.
ყოველივე ამის შედეგად მცირდება წონამატი და უარესდება ბრო-
ილერის ხორცის ხარისხი და სხვ. ამ მიმართულებით საჭიროა უფ-
რო მეტი მეცნიერული გამოკვლევების ჩატარება.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერში მიკრობების რაო-
დენობა არ უნდა აღმატებოდეს 25—100 ათასს 1 მ³-ში.

ცხოველთა დახურული სადგომების ჰაერის ბაქტერიული დას-
ვრის თვითდან ასაცილებლად უნდა გამოვიყნოთ ყველა ის საშუა-
ლებანი, რომლებიც მოწოდებულია მტკრის საწინააღმდეგოდ. კარ-
გად უნდა ვიცოდეთ ჰაერში მტკრისა და მიკრობების დაგროვების
გზები და წყაროები და ვებრძოლოთ მათ.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აეროგენულ
ინფექციებთან ბრძოლას და მათ გათრთხილებას, ამ მიზნით დამა-
ტებით შემდეგი ორნისძიებებია მოწოდებული:

1) არ დავუშვათ ჯანმრთელ ცხოველთა სადგომში ავადმყო-
ფი ცხოველის შეყვანა. საჭიროა სისტემატურად ჩატარდეს ყველა
ცხოველის ღიაგნოსტიკური შემოწმება და სადგომიდან სასწრაფოდ
უნას გაყვანილი ყველა ავადმყოფი და ბაცილმტარებელი ცხოვე-
ლი;

2) ავაღმყოფი ცხოველის გამოვლინებისა და გაყვანის შემ-
დეგ ჩატარდეს საგულდაგულო დეზინფექცია;

3) აირძოლოს ცხოველთა სადგომებში უცხო პირთა შესვლა;

4) ტრანსპორტისათვის (ავტომანქანები და სხვ.) უნდა მოწყვეტილი კა-
ცის სანგამტარები და დეზობარიერები; ასევე უნდა მოწყვეტილი კა-
ცის სანგამტარები და დეზობარიერები; ასევე უნდა მოწყვეტილი კა-

5) ჩატარდეს პარას გაუვნებლობა ულტრაიისფერი სხივებით
და სადეზინფექციო აეროზოლებით;

6) მტვრისა და მიკრობებისაგან პარას გასაწმენდად გამოყე-
ნებული უნდა იქნეს სპეციალური ფილტრები. მმ ფილტრებს ათ-
ავსებენ სავენტილაციო სისტემის შემწოვ და გამწოვ მიღებში. თუ
მეცხოველეობის მეურნეობის ბასეინის პარას მტვერით და
მიკრობებითაა დასვრილი, ფილტრები მათ შებოჭის და დახურუ-
ლი სადგომის პარას დავიცავთ მტვრითა და მიკრობებით დასვრი-
საგან. ფილტრების გამოყენებას მეორე დადგებითი მხარეც აქვს.
იმ შემთხვევაში, როცა თვით სადგომის პარაია დასვრილი მიკრო-
ბებითა და მტვრით, ფილტრების გამოყენებით ავიცდენთ მათ გავ-
რცელებას ატმოსფეროს პარაში.

მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეურნეობების ტერიტო-
რის პაროვანი ბასეინის დამტვერიანებისა და ბაქტერიული დას-
ვრის გასაფრთხილებლად საჭიროა გარკვეული ონისძიებების გა-
ტარება. ამის მიღწევა შეიძლება სადგომების ირგვლივ ტერიტო-
რიაზე მრავალწლიანი ბალაზის თესვით ან მოასფალტება-მოცემუ-
ნტებით. დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე ნარგავების ზონის შექ-
მნას. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული დაკვირვებები ადასტუ-
რებს რომ მწვანე ნარგავების ზონა დიდ როლს ასრულებს პარას
მტვრითა და მიკროორგანიზმებით დასვრის გაფრთხილების საქმე-
ში. როგორც ნ. კრაკოსევიჩი აღნიშნავს, ასეთი მწვანე ზონის გავ-
ლის შემდეგ პარაში მტვრის ნაწილაკები მცირდება საშუალოდ
73%-ით, ხოლო მიკრობებისა 53%-ით. ასეთი შემცირება აღინიშნ-
ება მწვანე ზონიდან 75—100 მ-ზე.

პარას დამტვერიანებასთან ბრძოლა საჭიროა ცხოველების
განაკვებში და საძოვარზე შენახვის დროსაც. ამისათვის საჭიროა:
ბანაკები და ფარდულები არ უნდა იყოს მოწყვობილი შუბლის ქა-

რის მიმართულებით; ბანაკების ირგვლივ უნდა მოეწყოს მწვანე
ნარგავების დამცველი ზონა; საძოვრებზე გამოვიყენოთ ნაჭველ-
მორიგეობითი ძოვება და ხშირად ვცვალოთ ნაკვეთები.

საჯაროო ხაზი

ხმაური არის ბგერების მოუწესრიგებელი შერწყმა 16-დან
20.000 ჰა ფარგლებში. ხმაური ბგერის დაწოლით ხასიათდება,
რისთვისაც მნიშვნელობა აქვს ბგერითი ენერგიის სიხშირეს და
სიმკვრივის დონეს. ბგერითი წევა დეციბალებში (დბ) იზომება.
ამისთვის გამოყენებულია სხვადასხვა მარკის ხმაურმზომი.

მეცნოველეობის მეურნეობებში, კერძოდ, ცხოველთა სად-
ვომებში, ხმაური იწვევს სხვადასხვა ტექნოლოგიური ხელსაწყოე-
ბის მუშაობა: საწველი დანადგარები, საკვების შესამზადებელი
და გამანაწილებელი, ნაკელის გამომტანი, სავენტილაციო დანად-
გარები და სხვ.

ძლიერი ხმაური ცუდად მოქმედებს ადამიანსა და ცხოველზე
და პირველ რიგში სმენის აპარატზე. ასხვავებენ ხმაურის სპეცი-
ფიკური მოქმედების შემდეგ ფორმებს: ხმაურით გამოწვეული ტრა-
ვმა, სმენის დაღლა და პროფესიული დაყრუება. ტრავმას იწვევს
ქალიან დიდი ხმაური, ომელიც ჩნდება აფეთქებების დროს, მძლა-
ვრი ძრავების გამოცდისას, მიკროფონების ელექტრული დამუხტ-
ვით და სხვ. დაზარალებულთ ეწყებათ ყურების ტკივილი, თავბრ-
უსხმა, ბარაბნის აპკის დაზიანება, ზოგჯერ გასკდომაც კი.

დიდი ხმაური არა მარტო სასმენ აპარატს აზიანებს, არამედ
მოქმედებს მთელ ორგანიზმზე და პირველ რიგში — ცენტრალურ
ნერვულ სისტემაზე. სმენის ანალიზატორების მძლავრი გაღიზია-
ნება იწვევს ქერქისა და ქერქებში ცენტრების აღვზნებას. ხმაუ-
რი სისხლის მიმოქცევაზედაც მოქმედებს; იზრდება არტერიული
წნევა, გულის არეში ადამიანს ტკივილები ეწყება და ვითარდება
არითმია. ხანგრძლივი ხმაური იწვევს კუჭისა და ნაწლავების სექ-
ტოციის მოშლას; ზოგჯერ ირლვევა ენდოკრინული აპარატის მუშა-
ობა და სხვ. არის შეხედულება, რომ არსებობს ე. წ. ხმაურის და-
ფარებაც.

ცხოველის ორგანიზმზე ხმაურის გავლენა ჯერჯერობით საკ-
მარისად შესწავლილი არ არის. არის ზოგიერთი მეცნიერის

(ნ. კრაკოსევიჩი, ა. გოლიქოვი, ნ. მირონოვი და სხვ.) დაკვირვება, რომ ძლიერი ხმაური უარყოფითად მოქმედებს ცხოველის ჯაშმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. ნ. კრაკოსევიჩმა დააღვინა, რომ ხმაურით გაღიზინება ფურებში იწვევს პულსის (8,9%-ით) და სუნთქვის (35,2%) აჩქარებას, სისხლის წარმოქმნის შემცირებას (6,7%) და წველადობის დაკლებას (5%). 60-დნ 120 დბ აჭვეითებს ცოცხალი მასის მატებას, წველადობას, კვერცხმდებლობას და საერთოდ ცხოველის ჯაშმრთელობას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ცხოველები დავიცვათ ძლიერი ხმაურისაგან და საღომებში გავატაროთ სათანადო ღონისძიებანი (მთავარია სხვადასხვა დანადგარების მუშაობის წესრიგში მოყვანა) საორიენტაციო მონაცემებით, ხმაურის ღონის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს 70 დბ-ს.

არომონიზაცია

სხვადასხვა ზონის ატმოსფეროს ჰაერში ხშირად მოიპოვება ე. წ. აეროიონები. აეროიონები ჩნდება დედამიწის ატმოსფეროში არსებული აირების მოლეკულებისა და ატომების დაშლის შედეგად. ატომებისა და მოლეკულების დაშლის იწვევს ულტრაინფერი სხივების, ელექტრული ძაბვისა და მზის კორპუსკულარული სხივების ზემოქმედება. ამ მოვლენას აეროიონიზაციას უწოდებენ. აეროიონიზაციას აგრეთვე იწვევს რადიოაქტიური ნივთიერებები, ოკეანებსა და ზღვებში წყლის მძლავრი ჭავლები და სხვ. ცნობილია ბუნებრივი და ხელოვნური აეროიონიზაცია. ბუნებრივი, აეროიონიზაცია აღმინშება ატმოსფეროს ჰაერში ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენით. ხელოვნურ აეროიონიზაციას იწვევენ სპეციალური დანადგარით—აეროიონიზატორით.

აეროიონები ჯერ კიდევ 1899 წელს იქნა აღმოჩენილი ლ. ელსტერისა და ჰ. ჰეიტელის მიერ. აეროიონები წარმოადგენს უმცირეს ნაწილაკებს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად აჩინდამუხტული. ჰაერის ელექტროგამტარობა სწორედ აეროიონების არსებობითად განპირობებული. როგორც აღვნიშნეთ, ისინი წარმოიქმნება ჰაერში არსებული აირების ატომებისა და მოლეკულების საგან. ნეიტრალურ ატომებში ბირთვის დადებითი მუხტების რაო-

დენობა თანაბარია ელექტრონების უარყოფითი მუხტებისა. ონი-ზატორების გავლენით ატომის გარსებიდან ამოიყრება ერთი პნამდენიმე გარეგანი ელექტრონი, რის შედეგად ატომი იქცევა და-დებით იონად. უარყოფითი იონები ჩნდება ნეიტრალური ატომებისა და იონების მიერ თავისი უფალა ელექტრონების მიერთებით, მათი ურთიერთშეჯახების შედეგად. მოლეკულური ოდენობის წყვილად გაჩენილი ასეთი იონები უერთდებიან-რა ნეიტრალური მოლეკულების ჯგუფს, ვალიქმნებიან მსუბუქ აეროიონებად ($N\pm$). მსუბუქ აეროიონებს, რომელთა ზომა 10^{-8} სმ-ია, ელექტრულ კი-ლში დიდი მოძრაობა ახასიათებთ (1—2 სმ/წმ), აღვილად ერთდე-ბიან და ნეიტრალურ ატომებად და მოლეკულებად გარდაიქმნებიან. მსუბუქი აეროიონები მხოლოდ რამდენიმე აუცულ წამს არ-უჰქმდენ. თუ ჰაერში მკვრივი და თხიერი აეროზოლები არსებობს, მსუბუქი იონები მათზე ილექტრიზან, რის შედეგად ჩნდება მძიმე აეროიონები ($N\pm$), რომლებიც უფრო მსხვილია, ნაკლებმოძრავი და უფრო დიდხანს ძლებენ.

ცხოველთა დახურული საღვომის ჰაერი, რომელიც გაუღენ-თილია წყლის ორთქლით, მტკრითა და მიკროორგანიზმებით, უფრო ნაკლებს შეიცავს მსუბუქ უარყოფით იონებს, ვიდრე კა-რგად ვენტილირებული საღვომის ჰაერი. ასე, მაგალითად, თუ ატ-მოსფეროს ჰაერი შეიცავს 1 სმ⁻³-ში მსუბუქი აირის უარყოფით იონებს 250—450 ათასს, დადებითს — 450—500 ათასს, მძიმე უარყოფით იონებს 1500—2000 და დადებითს 3000—5000, ცხი-ველთა დახურული საღვომის 1 მ³ ჰაერში მსუბუქი უარყოფითი იონების რაოდენობა ეცემა 50—100-მდე, ხოლო მძიმე იონების რიცხვი 15—100 ათასამდე იზრდება. თუ საღვომის ჰაერის ცირ-კულაცია კარგია, დაცულია მიკროკლიმატის პარამეტრები და სის-ტერაცია, მაშინ აეროიონების რაოდენობა ჰაერში უახლოვდება ატ-მოსფეროს ჰაერის იონიზაციის დონეს. დადგენილია, რომ ჰაერის უარყოფითმცხტიან მსუბუქ იონებს, დადებითებთან შედარებით ახასიათებთ უფრო კარგი და სასარგებლო მოქმედება ცხოველის ირგანიზმზე და აქვთ ჰიგიენური და სამკურნალო მნიშვნელობა. აეროიონები, როგორც სამკურნალო საშუალება, მედიცინაში კარგა-ზანია ცნობილია და გამოიყენება.

ცხოველის ორგანიზმზე აეროიონების ბიოლოგიური მოქმედ-ბა ჯერ ძიდევ ოცდაათასი წლებში ა. ჩიუევსკიმ შეისწავლა. მის

მიერ იქნა დადგენილი ცხოველთა სადგომების ჰაერში ოპებული უარყოფითი მსუბუქი იონების დადებითი გავლენა ცხოველს ჩრ-
განიზმზე. ბოლო ხანებში ამ საკითხს სწავლობდნენ. ნ. კომაროვი,
გ. ვოლკოვი, ნ. ხრენოვა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ.
ვოლკოვის დამსახურება ამ საქმეში. მან საფუძველი ჩაუყარა ცხო-
ველთა დახურულ სადგომებში ხელოვნური აეროიონიზაციის გა-
მოყენებას და შექმნა სათანადო აეროიონიზატორები.

მეცხოველობაში აეროიონიზაციის ჰიგიენური მნიშვნელობა
იმაში მდგომარეობს, რომ უანგბადის მსუბუქი უარყოფითი იონები
სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსებისა და კანის გზით მოქმედე-
ბენ ნეიროპუმორალურ რეგულაციაზე. აეროიონებს შეუძლიათ
აღავზნონ ან შეავავონ ფილტვების ინტერორეცეპტორები. სისხლ-
ში გადასული აეროიონები თავის მუხტს გადასცემენ უჯრედის
კოლოიდებსა და სხვა ელემენტებს. ვ. მოუერინი ფიქრობს, რომ
იონიზებული ჰაერი ლორის ორგანიზმზე მოქმედებს კანის რეცეპ-
ტორების საშუალებით, ასევე სასუნთქი გზითაც და ორგანიზმში
იწვევს სხვადასხვა ფიზიოლოგიურ რეაქციას (კაპილარების გაგა-
ნიერება, დეპოზან ერითროციტების გამოსვლა, უჯრედებსა და
ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის ნეირონდოკრინული რეგულა-
ციის ამაღლება და სხვ.). მაშასადამე ამ ჰიპოთეზის თანახმად,
აეროიონების მოქმედების ნერვულ-რეფლექტორული მექანიზმი
მდიდრდება ჰუმორალური და ჰიპოთეზის ფაქტორით.

ცხოველებზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდებით დად-
გენილია, რომ დახურული სადგომების ჰაერის ხელოვნური აერო-
იონიზაცია იწვევს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესის
სტიმულირებას, აძლიერებს ჰემოპოეზს, ნეიტროფილების ფაგოცი-
ტურ აქტივობას, ზრდის ცილების გლობულინების ფრაქციას, აუმ-
ჯობესებს მოზარდის ზრდა-განვითარებას. ზრდის სუქების დროს
ლორის ცოცხალი მასის მატებას, ფურების წველადობას და ფრინ-
ველთა კვერცხმდებლობას; ასევე უმჯობესდება კუროების სპერმა-
ტოგენეზი და სქესობრივი აქტივობა.

გ. ვოლკოვის მონაცემებით, პროფილაქტორიუმსა და სახ-
ბორეში ჰაერის იონიზაცია ამცირებს ხბორების ზედა სასუნთქი
გზების დაავადებას, ხელს უწყობს ხბოს დისპეცისისა და ბრონ-
ქოპენევმონიების უფრო მსუბუქად მიმღინარეობას. გარდა ამისა,

აეროიონიზაციის გავლენით ცხოველთა საღვომის ჰაერში არსებული მცვრივი და თხიერი აეროზოლები გარკვეულ პოტენციალამდე დამტკრებიან ან განიმუხტებიან და ელექტრულ ველში გავლით ილექტებიან იატაქსა და სხვა ზედაპირებზე. საყურადღებოა, რომ მათთან ერთად ილექტებიან მიკროორგანიზებიც. ცხოველთა დახურული საღვომების აეროიონიზაცია აუმჯობესებს მიკროფლიმატს; 3—4-ჯერ მცირდება მტკრისა და 3—4-ჯერ მიკრობების რაოდენობა ჰაერში; ამასთან ერთად 5—8%-ით მცირდება შეფარდებითი ტენიანობა.

ამგვარად, ჰაერის ხელოვნური აეროიონიზაცია ითვლება დახურული საღვომის ჰაერის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების კარგ საშუალებად. აქედან გამომდინარე, ის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ყველა სახის ცხოველთა საღვომებში, ვეტსამქურნალების სტაციონარებში, ხელოვნური დათესვლის საღვურებში და სხვა ვეტერინარულ დაწესებულებებშიც.

მეცხოველეობაში ხელოვნური აეროიონიზაციის ფართედ გამოყენების მიზნით, საჭიროა საღვომების დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნას იონიზაციის მოწყობილობათა მონტაჟი; განსაკუთრებით, მეცხოველეობის კომპლექსებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში. სამამულო წარმოება უშვებს სხვადასხვა სახის აგრეგატებს ხელოვნური აეროიონიზაციისათვეს.

პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებისათვის დამუშავებულია იონიზაციის რეჟიმი და მსუბუქი უარყოფითი იონების კონცენტრაცია. 30 დღის ასაკამდე ხელორებისათვის საჭიროა კონცენტრაცია 200—250 ათასი 1 სმ³. იონიზაცია ტარდება ყოველდღიურად 6—8 საათის ხანგრძლივობით. ფურებისათვის—300 ათასი, 15—20 დღის მანძილზე, დღეში 5—6 საათი. კუროებისათვის ყოველდღიურად ორი თვის განმავლობაში, 350 ათასი, დღეში 8—10 საათი. მეორე კურსი ტარდება 20—30 დღის შემდეგ. ძუძუთა გოჭებისათვის საჭიროა 300—400 ათასი, ასხლეტილებისათვის—350—400 ათასი და მოზრდილთათვის 400—500 ათასი მსუბუქი უარყოფითი აეროიონები 1 მ³-ჰაერში. საჭიროა დღეში ორი სეასი 30 წუთიანი 3—4 კვირის განმავლობაში. მეორე კურსი ერთი თვის ინტერვალით. 3-დან 30 დღის წიწილებს სჭირდება 25 ათასი უარყოფითი მსუბუქი იონი 1 სმ³. სეასის ხანგრძლივობა 1—3

საათია, თითო საათის ინტერვალით. განმეორება — ხუთი დღის ინტერვალით. ბროილერებს სჭირდება 60—70 ათასი, კვერცხმდებელს — 100 — 250 ათასი.

ცხოველთა სადგომების ვარიაცია

ცხოველთა დახურული სადგომების მიკროკლიმატის რეგულირების და ოპტიმიზაციის ყველაზე მძლავრ საშუალებას ვენტილაცია წარმოადგენს. ვენტილაცია არის ჰაერცვლა სადგომსა და ოტმოსფეროს შორის. თუ დახურულ სადგომსა და ოტმოსფეროს შორის ჰაერცვლა არ ხდება, მაშინ დახურული სადგომის ჰაერი და მიკროკლიმატის ძირითადი მაჩვენებლები უარესდება. ჰაერში გროვდება ბევრი სითბო და წყლის ტენი; იზრდება მტკრის, მიკროორგანიზმების და მავნე აირების კონცენტრაცია. ასე, მაგალითად, ბოსელში სადაც მოთავსებულია 400 კგ და 10 კგ წველადობის 200 ფური, ერთი საათის განმავლობაში გროვდება ცხოველების მიერ გამოყოფილი 153 ათასი კკლ სითბო, 73,4 კგ წყლის ორიქლი და 22,8 მ³ ნახშირორჟანგი. ასეთი ჰაერი უარყოფითად მოქმედებს ცხოველების თერმორეგულაციაზე, მაღაზე, საკვების მონელებასა და ათვისებაზე, ნივთიერებათა ცვლაზე. საბოლაოდ ყოველივე ეს აირეკლება ცხოველის ჯანმრთელობაზე, პროდუქტიულობაზე და პროდუქციის ხარისხზე.

ასეთი მოვლენის გაფრთხილების ბუნებრივ საშუალებას წარმოადგენს ვენტილაცია — ჰაერის ცვლა დახურულ სადგომსა და ოტმოსფეროს შორის. ვენტილაციის მიზანია: 1) ჭარბი ტენის გატანა და სადგომში ჰაერის ტენიანობის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება; 2) ოპტიმალური ტემპერატურის შენარჩუნება და მისი რხევების გაფრთხილება; 3) ჰაერის მოძრაობის შექმნა ოპტიმალურ ფარგლებში; 4) მავნე აირების განზავება და მათი კონცენტრაციის შემცირება; 5) ზღუდეების ზედაპირებზე ტენის კონდენსაციის გაფრთხილება.

ცხოველთა სადგომებში გამოიყენება სხვადასხვა სავენტილაციო სისტემები, რომლებიც განსხვავდებიან კონსტრუქციით და მოქმედების პრინციპის ხასიათით. ძირითადად ასხვავებენ ვენტილაციის ბუნებრივ, ხელოვნურ და კომბინირებულ სისტემებს.

ბუნებრივი ვენტილაციის შემთხვევაში სადგომში ჰაერის ჟემოსვლა და იქედან გარეთ გასვლა ხდება შინაგანი და გარეთა ჰაერის ტემპერატურისა და სიმკვრივის სხვაობის შედეგად, რა დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქარის ძალასა და მიმართულების ბუნებრივი ვენტილაცია შეიძლება იყოს მილოვანი და უმიღრთ ვენტილაცია ხდება კარების, ფანჯრების გაღებით, კედლებში ნაპრალების არსებობით ან სპეციალურად მოწყობილი საშუალებებით. უმილო ვენტილაცია არასაჭმარისია და მისი რეგულაცია შეუძლებელია.

უფრო სრულქმნილია და ადგილად სამართავი მილოვანი ვენტილაცია. ის შეიცავს ვერტიკალურ გამწოვ მილს სარქველებით გაწოვის რეგულირებისათვის და შემწოვ მილებს. გამწოვი მილები სცილდება სახურავს და ზემოდან ვაკეთებული აქვს სპეციალური ნაცმი, ე. წ. დეფლექტორი, რომლის დანიშნულებაა ჰაერის გაწოვის გაძლიერება. გამწოვი მილების ჭრილი დიდია: $0,5 \times 0,5$ მ, $0,7 \times 0,7$, 1×1 მ. ჰაერი სადგომში შემოდის შემწოვი მილებით; ისინი ჩაყენებულია ჰორიზონტალურად გასწვრივ კედლებში, ჭერთან ახლოს. გამწოვი მილების ჭრილი შეადგენს 10×10 , 20×20 სმ. ვენტილაციის მოცულობის სარეგულაციოდ ამ მილებს შიგნით და გარეთ სარქველებს უკეთებენ. გამწოვი და შემწოვი მილების ჭრილის ფართის შეფარდება შეიძლება თანაბარი იყოს ($1 : 1$) ან შემწოვი მილების ჭრილი შეადგენდეს გამწოვი მილების ჭრილის 80%-ს. ამ ტიპის ვენტილაცია დამაკმაყოფილებლად მუშაობს როდესაც ატმოსფეროს ჰაერის ტემპერატურა დაბალია და არასაჭმარისად, როდესაც ჰაერის ტემპერატურა მაღალია. ზაფხულში ჰაერის შეწოვის გასაძლიერებლად ფანჯრები უნდა გავალოთ.

ძროხის, ცხენისა და ცხვრის სადგომებში, თუ შენობებს კარგი თბოიზოლაცია და საკმარისი კუბატურა აქვთ, ბუნებრივი ვენტილაცია საკმაოდ ეფექტურია. სამწუხაროდ, როდესაც გარემოს ჰაერის ტემპერატურა ძალიან დაბალია, ცხოველური სითბო საკმარისი არ არის სადგომში ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურის შესანარჩუნებლად, რის გამოც ვენტილაციას ამცირებენ, ან სრულიად გამოთიშვენ. ნორმალური ტემპერატურის შესანარჩუნებლად შეიძლება გამოყენებული იქნას გათბობა. ყველაზე უკეთესია დაიღგას აერეგატი, რომელიც შემოსულ ჰაერს გაათბობს. სამხრეთ ზონებში სადგომში ჰაერის ტემპერატურის შესამცირებლად საჭირო ხდე-

ბა ჰერის დიდი რაოდენობით შემოტანა ან ჰერის მოძრაობის სიჩ-
ქარის გაზრდა.

ერთი საათის განმავლობაში სადგომში შემოსულ და საღვოძი-
დან გასულ ჰერის მოცულობის შეფარდებას სადგომის შინაგან მო-
ცულობასთან ჰერცვლის ჭერადობას უწოდებენ. ასე, მაგალითად,
თუ სადგომის შინაგანი მოცულობა 400 მ³-ია, შეწოვის ჭერადობა
4, ხოლო გაწოვის 3, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი საათის განმავლო-
ბაში სადგომში შემოდის 16 ათასი მ³ და გადის 12 ათასი მ³ ჰერი.
ჰერცვლის ჭერადობამ უნდა უზრუნველყოს ცხოველები სუფთა
ჰერით.

ვენტილაცია ხელოვნური აღმძვრელებით. ბუნებრივი შემწოვ-
გამწოვი სავენტილაციო სისტემა, როგორც აღნიშნეთ, ყოველ-
თვის დამაკმაყოფილებლად ვერ მოქმედებს და ამიტომ თანამედ-
როვე მეცხოველეობის მძლავრ კომპლექსებსა და მეფრინველეო-
ბის ფაბრიკებში ის საჭმარისი არ არის. ამ ტიპის მეცხოველეობის
მეურნეობებში დანერგილია და დიდი გამოყენება აქვს ვენტილა-
ციას ხელოვნური აღმძვრელებით. ამ მიზნით გამოყენებულია ელექ-
ტროვენტილატორები. მათ აყენებენ შემწოვ ან გამოწოვ მილებში
ან ორივეში. ამ სისტემის ვენტილაციაში შეიძლება ჩაე-
რის გათბობა. შემოსულ ცივ ჰერის ათბობენ წყლის ან ელექტრო-
ნული-თბოგენერატორებით ან ე.წ. კალორიფერებით. სუფთა ჰა-
ერი უმჯობესია შევიტანოთ ზემოდან — ცხოველთა განლაგების
ზონაში, ხოლო გაწოვა მოხდეს ქვემო ზონიდან 70%-ით და ზემო-
დან — 30%-ით. ვენტილაციის სიმძლავრის განსაზღვრისათვის უნ-
და ვიცოდეთ ვენტილაციის საათობრივი მოცულობა და ვენტილა-
ტორის წარმადობა. თუ მაგალითად, ვენტილაციის მოცულობა ჟე-
აღგენს 36.000 მ³-ს სთ-ში, ხოლო ვენტილატორების წარმადობა
4500 და 3600 მ³-ია სთ-ში, მაშინ დასახელებული მოცულობის ჰე-
რის შემოსატანად და გასატანად საჭიროა 5 ვენტილატორი 4500
მ³ სიმძლავრის და 3.3600 მ³ სიმძლავრის.

კომბინირებული ვენტილაცია წარმოდგენილია ბუნებრივისა
და მექანიკურის შერწყმით. მაგალითად, სადგომში ჰერის შემოდის
ვენტილატორით, ხოლო გადის ჩვეულებრივი გამწოვი მილებთა-
კომბინირებული ვენტილაციის მოწყობისას გამოიყენება ვენტი-
ლატორები, კალორიფერები და შემწოვ-გამოწოვი მრლების სისტემა.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ყველა საღვოძიებში

მოწყობილი უნდა იქნეს ვენტილაცია ბუნებრივი, მექანიკური და კომბინირებული წესით ჰაერის მისაღებად და გასატანად.

დახურულ სადგომებში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის პარამეტრების დასაცავად, საჭიროა სავენტილაციო-გასათბობები აგრეგატის ავტომატიზებული მუშაობა. გარდა ამისა, დახურულ სადგომში ოპტიმალური მიკროკლიმატის შენარჩუნებისათვის აუცილებელია სადგომების ექსპლუატაციის სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვა და კარგად გამართული კანალიზაციის მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს სადგომიდან წუნწუხისა და ნაკელის ღროულად გატანას.

ძროხის სადგომების მიკროკლიმატის, ღორის სადგომების მიკროკლიმატის, ცხვრის სადგომების მიკროკლიმატისა და ფრინველთა სადგომების მიკროკლიმატის პარამეტრები მოცემულია დანართებში 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ცხრილების სახით.

დ ა ნ ა რ თ ი

ც ხ რ ი ლ ი

ცხვრის სადგომების მიკროკლიმატის პარამეტრები

მაჩვენებლები	ენერგეტიკის, ნერვულის, ასლურ ცენტრის ტემპერატურა	ცარცულის, ფარენჰიტის სამარტინოს ტემპერატურა	საბჭოო სამარტინო	საცენტრონო განვითარების სამარტინო
ტემპერატურა 0°C	5 (3—8)	15 (12—16)	18 (16—20)	15 (13—17)
შეფარდებითი ტენიანობა % -ში	75 (50—85)	70 (50—85)	70 (50—85)	75 (50—85)
ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მ/წ				
ზომისარში	0,5	0,2	0,2	0,5
გარტამავალი პერიოდი	0,5	0,3	0,2	0,5
ჰაერულში	0,8	0,5	0,3	0,8
მიკრობთა დასაშვები რაოდენობა 1 მ³-ში ათასი	არა უმტკ. 70	არა უმტკ. 50	არა უმტკ. 50	არა უმტკ. 75
მავნე არების დასაშვები კონცენტრაცია:				
ნახშირორჟანგი % -ში	0,3	0,25	0,2	0,3
ამიაკი მგ/მ³	20,0	20,0	15,0	20,0
გოგიჩლწყალბადი მგ/მ³	10,0	10,0	10,0	10,0

* ფრინხილებში მითითებულია ფარენჸბის ჰაერის ტემპერატურისა და შეფარდებითი ტენიანობის დასაშვები რეგები. წლის ობილ პერიოდში ფარენჸბში (სამრეწველო კომპლექსების გამოკლებით) ჰაერის ტემპერატურა და შეფარდებითი ტენიანობა ნორმირებული არ არის.

მაჩვენებლები	ცურების და ერთ წელშე ხნიერი მო- ზარდის სადგომი		სამუშაოზო გენერაცია		სადგომი ხსნასათვეის დღის ასაკის		სადგომი	
	ენ- ტე- ნა- ცი- ნა- ცი- ნა- ცი-	ც- ლ- ლ- ლ- ლ- ლ- ლ-	სამუშაოზო გენერაცია	პროცენტული გარები 20 დღის ასაკის დანართის	20—60	60—120	4—12 დღის	ენ- ტე- ნა- ცი- ნა- ცი- ნა- ცი-
ტემპერატურა 0°C	10 (8—12)	6 (5—8)	16 (14—18)	18 (16—20)	17 (16—18)	15 (12—18)	12 (8—16)	12 (8—16)
შეფარდებითი ტენიანობა %—ში	70 (50—85)	70 (50—85)	70 (50—85)	70 (50—80)	70 (50—85)	70 (50—85)	75 (50—85)	70 (50—85)
ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მ/წ- -ში	0,3—0,4 0,8—1,0	0,3—0,4 0,8—1,0	0,2 0,5	0,1 0,3—0,5	0,1 0,3—0,5	0,2 1,0—მდე	3,3 1,0—1,2	0,3 0,8—1,0
ზამთარში	0,5	0,5	0,3	0,2	0,2	0,3	0,5	0,5
გარდამავლ პერიოდში	70	70	70	70	70	70	70	70
დასშვები ხმაური და	70	70	50	20	50	70	70	70
1 გვ ჰაერში მიკრობთა რაოდენობა ათასი	არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ.	70	70	50	50	70	70	70
მავნე აირების დასაშვები კონ- ცენტრაცია:	0,25	0,25	0,15	0,25	0,15	0,25	0,25	0,25
ნახშირორეანგი %—ში	20,0	20,0	10,0	10,0	10,0	15,0	20,0	20,0
ამიაკი მგ/მ³-ში	10,0	10,0	5,0	5,0	5,0	10,0	10,0	10,0

* ფრჩხილებში მოცემულია დანურული სადგომის ჰაერის ტემპერატურისა და შეფარდებითი ტენიანობის დასაშვები რხევები. ყველა ასაკობრივი ფაზურის ძროხის სადგომი ში ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 25—27° ცელსიუსს, ხოლო მინიმალური შეფარდებითი ტენიანობა — არა ნაკლებ 50%-ს.

მაჩვენებელი	სხვადასხვა ჯგუფის ლორის სალგომი			მარტივი მიკრობას ბოლო პერი ოდის ქედი			მარტივი მიკრობას ბოლო ქედი			სასუქი მოზარდის სადაცმი		
	არამატე უნიტები	კერატი	კერატი	მარტივი მიკრობას ბოლო პერი ოდის ქედი	მარტივი მიკრობას ბოლო ქედი	გამჭვივა გამჭვივა	სარეზისტრ გარეშე	ასწლეული განვი	165 დღეში	165 დღეში	165 დღეში	
ტემპერატურა 0°C	14 (14—16)	15 (14—16)	18 (16—20)	18 (16—18)	30—32 70 (60—80)	16 (15—18) 70 (60—80)	22 (20—24) 70 (60—80)	18 (14—20) 75 (60—85)	16 (12—18) 75 (60—85)			
ჟენერალური ტენიანობა %-ში	75 (60—85)	75 (60—85)	70 (60—80)	70 (60—80)	70 (60—80)	70 (60—80)	70 (60—80)	75 (60—85)	75 (60—85)			
ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მ/წმ-ში												
ზამთარში	0,3	0,2	0,2	0,15	0,15	0,3	0,2	0,2	0,2			
გარდამავალი პერიოდი	0,3	0,2	0,2	0,5	0,15	0,3	0,2	0,2	0,2			
ზაფხულში	1—მდე 70	1—მდე 70	1—მდე 70	0,4—მდე 70	0,4	1—მდე 70	1,6—მდე 70	1—მდე 70	1—მდე 70			
დასაშვები ხელური დღე												
მიკრობთა დასაშვები რაო- არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ. არა უმეტ.	100	60	60	50	50	50	50	80	70			
დენობა ათასი 1 გ³-ში												
მავნე აირების დასაშვები												
კონცენტრაცია:												
ნახშირორუანგი %-ში	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2			
ამიაკი გვ/გ³	20	20	20	15	15	20	20	20	20			
გოგირდწყალბალი გვ/გ³	10	10	10	10	10	10	10	10	10			

* ფრჩხილებში მითითებულია სალორეში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის დასაშვები რხევები. ძუანეთა გოგირდის ტემპერატურა ბუნაგში უნდა იყოს: პირველი კვი რა 30°, მეორე კვირა — 26°, მესამე კვირა — 24°, მეოთხე კვირა — 22°. ძუანეთა გოგირდის ასტლეტის პერიოდისათვის ტემპერატურა უნდა აღწევდეს 22°-ს. გოგირდის გასათბობად გამოყენებული უნდა იქნას ლოკალური გათბობის საშუალება. ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა დასაშვებია 25, მინიმალური შეფარდებითი ტენიანობა 50%.

ურინველთა სადგომების შიკროკლიმატის პარამეტრები

ცხრილი 4

ფრინველის სახე და ასაკობრივი ჯგუფები	ჰაერის ტემპერატურა ც°					მავნე აირების დასაშენები კონცენტრაცია				
	თატაწერი შენახვისას		გალიური	ჰერცინი	ტემპერატურის ცალი გრძელება					
	თატაწერი	გასათბ.	შენახვისას	ჰერცინის ტემპერატურა	საშენები დღე					
მოზრდილი ფრინველი										
ქათმის	12—16	—	20—18	60—70	0,3—0,6	90	2—5	0,15—0,20	10,0	5,0
ინდური	12—16	—	—	60—70	0,3—0,6	90	2—5	0,15—0,0	10,0	5,0
იხვი	7—14	—	—	70—80	0,5—0,8	90	2—5	0,1—0,20	10	5,0
ბატი	10—15	—	—	70—80	0,5—0,8	90	2—5	0,15—0,20	10,0	5,0
წიწილა დღიანი										
1—30	31—24	35—22	31—22	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
31—60	18—16	—	20—18	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
61—70	16—14	—	18—16	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10	5,0
71—150	16—14	—	16—14	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
ინდაურის ჭუკი										
1—20 დღიანი	27—22	35—22	37—35	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
21—120 "	20—18	—	22—18	60—70	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
იხვის ჭუკი დღიანი										
1—10	22—20	35—26	31—22	65—75	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
11—30	20—13	26—22	—	65—75	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
31—55	16—14	—	—	65—75	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
ბატის ჭუკი დღიანი										
1—30	22—20	30	20	65—75	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
31—65	20—18	—	—	65—75	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0
65—240	16—14	—	—	70—80	0,2—0,5	90	2—5	0,2	10,0	5,0

* მოზარდი და მოზრდილი ფრინველის შესანახ ყველა საფრინველები დასაშენებია ჰაერის ტემპერატურა 30°-მდე. წლის ცალებული პერიოდისათვის დასაშენებია ჰაერის შეფარდებით ტენიანობის გადიდება ქათმისა და ინდაურისათვის 75%-მდე, იხვისათვის 85%-მდე, ასევე შემცირება ქათმისათვის — 50%-მდე, იხვისათვის — 60%-მდე. ნახევრად ღია და ღია ტაბის საფრინველებში ჰაერის მიკროკლიმატის პარამეტრები ნორმირებული არ არის.

ՏՐՈՒՅՑ ՀԱՐՄԱՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՇԱՌԱՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՇԱԿԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	365-Ր
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	5
Ա ՀԻՄԵՆ ՏՐՈՒՅՑ ՀԱՐՄԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	6
Ա ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	13
Բ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	19
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	21
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	34
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	41
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	45
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	60
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	77
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	78
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	82
Ա ԵՐԿՐՈՎԱՅ ՏՐԱՋԻՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՏԵՇԻՔ ԳԱԼՐՈՎԱՅ ՀԱՐՄԱՆ ՄԱՐՎԱԾՈՒՅԹ ԱՎԱՎԱՐՈՒՅԹ ՈՒ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԴՐԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ	85

030. Ա. 057
ՏՎԵՐ ՏՎԵՐ ՊԱՐՆԱԿ ԱՅՍԻՐ ՊԱՐՆԱԿ ՊԱՐՆԱԿ ԱՅՍԻՐ ՊԱՐՆԱԿ
ՏՎԵՐ ՊԱՐՆԱԿ ԱՅՍԻՐ ՊԱՐՆԱԿ ՊԱՐՆԱԿ ԱՅՍԻՐ ՊԱՐՆԱԿ

ГОСУДАРСТВЕННАЯ КОМИССИЯ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР
ПО ПРОДОВОЛЬСТВИЮ И ЗАКУПКАМ

Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

БИДЗИНА ВИССАРИОНОВИЧ ПАРЦВАНИЯ
МИКРОКЛИМАТ ЗАКРЫТЫХ ПОМЕЩЕНИЙ ДЛЯ ЖИВОТНЫХ
И ЕГО ОПТИМИЗАЦИЯ

Учебное пособие для студентов — 1507 ветеринарного и —
1506 зоотехнического факультета Грузинского зооветеринар-
ного учебно-исследовательского института

(На грузинском языке)

Рецензент зав. отделом и гигиены ГрузЗВУИИ,
доц. Г. Ш. Самхарадзе.

Редактор доц. кафедры зоогигиены и основ ветеринарии
Д. В. Начекебия

ТБИЛИСИ—1990

დედანი მომზადდა გამოსაცემად სსსი-ის
სარედაქციო-საგამომცემლო განცოფილების მიერ.
რედაქტორი თ. გიგინეიშვილი
გამომუშები ჟ. კვერცხია

შეკვ. 860

ტირ. 1000

გადაეცა წარმოებას 3.07.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.90;
ანაწყობის ზომა $6 \times 9,5$; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,75; სააღრიცხვო-საგამო-
მცემლო თაბახი 5,0;

ფასი 40 გაპ.

სსსი-ის სტამბა, თბილისი-31

Типография ГрузСХИ, Тбилиси-31.

၁၀/၁၃၂၆

အနောက်သမဂ္ဂ^၁
ဒုလိယူရေးဝန်ကြီးဌာန